K 32465
1

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

Леван Асатиани

Поэтессы Древней Грузии

Исследование и тексты

Грузинский филиал
Академии наук СССР
1936

821.353.1-1
ა 874

ლუკან ასათიანი

ძველი საქართველოს პოეტი ქალები

გამოკვლევა
ტექსტები

სსრკ მეცნიერებათა აკადემია
საქ. ფილიალი
1936

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის განკარგულებით

პ/მგ. რედაქტორი გ. თავზიშვილი


ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველი საქართველოს პოეტური ნაწერები

ეროვნული ბიბლიოთეკა



1. ფომინისია ბერიძე



ძველი საქართველოს პოეტი-ქალები

ქართველი დედაკაცები ტანმაღალნი და მშვენიერი მოყვანილობისანი არიან, ცხენოსნობაც იციან, სანადიროდ მიმინო დაჰყავთ ხელით და თან და აქვთ მშვილდ-ისარი და კაპარჭიო,—სწერდა მისიონერი პავლე მარია ფაიანცელი, რომელმაც 1621 წელს ნეაპოლში გამოსცა თავისი წიგნი საქართველოს შესახებ [1].

ამ ნაშრომში ავტორმა აღწერა ჩვენს ქვეყანაში ყოფნის დროს მიღებული შთაბეჭდილებანი, ხალხის ზნე და ცხოვრების წესები. ცნობისმოყვარე ევროპელს სხვა ღირსშესანიშნავ მოვლენასთან ერთად ქართველი ლამაზი ქალებიც არ გამოპარვია ყურადღებიდან და მათთვის აღტაცებული სტრიქონები უძღვნია.

---

[1] „გულწრფელი მოხსენება საქართველოს სამეფოების შესახებ პატრი პავლე მარია ფაიანცელი დომინიკიანის მიერ“. ნეაპოლი, 1621 წ. იხ. ამის შესახებ მ. თამარაშვილი „ისტორ. კათოლიკობისა საქართველოში“ გვ. 84.

ჩვენ აღარ შევჩერდებით სხვა მრავალ სახელებზე, რომელთაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გრძელ საუკუნეთა მანძილზე გულმოდგინეთ ხელი შეუწყვიათ ქართული მწიგნობრობის აყვავებისა და გავრცელებისათვის, თუ წიგნების მოკრებით, თუ გადაწერით, შეკაზმვითა და გამშვენებით. დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე ქალს, რომლებიც ღირსნი არიან მოგონებისა და დაფასებისა.

მე-11 საუკუნეში ბაგრატ მე-4-ის ასული დედოფალი მარიამი (დაახლ. 1065 წ.) უცნობ გადამწერს პერგამენტზე აწერინებს გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრებას. მისივე ბრძანებით წიგნის გვერდებს რთავენ ხელოვნური თავკაზმულობით, სათაურებს ხატავენ ოქროსვარაყიანი ასოებით, დასაწყისი ასოები გამოჰყავთ ფერად წერილობით..[1]

მე-12 საუკუნ. დამლევს „მახატლისა ძისა ივანეს ასული და გლონისთავის ძისა სარგისის მეუღლე", სახელად მანა, ვინმე იაკობს თხელ პერგამენტზე აწერინებს ოთხთავს. „სრულ იქმნა, — ვკითხულობთ წიგნის მინაწერში,— ღირსების და გულისმოდგინებისა მათისაებრ დეუფალთ დეუფლისა მანაჲსა, რომლისა ბრძანებისა მორჩილებითა ხელვყავ წმიდისა ამისა ოთხთავისა და მოვახსენე მე უღირსმან იაკობ და მათ დიდად შემიწყალეს და მიბოძეს სრული სასყიდელი" [2].

მწიგნობარ-მეცნიერების რიცხვს ეკუთვნის მთელი წყება მეფეთა ასულებისა, დედოფლების და დიდ ფეოდალთა თანამეცხედრეების, როგორც მაგალითად: უცნობი „პატ-

1 თ. ჟორდანია, Описан. рук. церк. музея, წ. 1, გვ. 87—90
2 თ. ჟორდანია, Описан. рук. церк. музея, წ. 2, გვ. 66—67.

რონი მზექალი“ (მე-16 საუკ.), თინათინ დედოფალი (მე-16 ს.), ბატონიშვილი ქეთევან (1511 წ.), ბატონიშვილი ხამფერმ (მე-17 ს.), პატრონი თამარ „დიასამიძის ასული და მოლარეთ უხუცესის ასლან ბარათაანთ ორბელიშვილის თანამემცხედრე“ (მე-17 ს.), დადიანის ასული დედოფალი მარიამ (1634-1682) და სხვ. — ყველა მათ უდიდესი გულმოდგინებით უზრუნველიათ სხვადასხვა შინაარსის საღვთო წერილის წიგნების შენახვისა და გადაწერინება— გამრავლებისათვის; ჟამანასკნელ მათგანს, დადიანის ასულს მარიამს, უფრო მეტი ღვაწლიც კი მიუძღვის: მას ჩვენი კულტურისათვის გადაურჩენია მე-10 საუკუნის ძეგლი, რომლის მინაწერშიდაც ვკითხულობთ შემდეგს: „ჩვენ, ხელმწიფემა პატრონმა დადიანის ასულმა დედოფალთ-დედოფალმა მარიამ ესე წიგნი ურუმთ ქვეყნიდამ გამოვიხსენ და გავაახლე დაშლილი და წამხდარი ჩემდა სადღეგრძელოდ და ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად..[1]“.

გარდა ამისა, ამავე მარიამ დედოფალს, — როსტომ მეფის მეუღლეს, — უკვდავუყვია თავისი სახელი „ქართლის ცხოვრების“ გადაწერინებით (1638 — 1646 წ. შორის [2]). ამ ვარიანტს, რომელიც ცნობილია „მარიამ დედოფლისეული“-ს სახელწოდებით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ ისტორიოგრაფიაში...

---

1 თ. ჟორდანია, Опис. წ. 1, გვ. 114. მარიამ დედოფალს თურქთაგან გამოსყიდული ხელნაწერის დარჩენილი ნაწილი ტყავის ყდაში ჩაუსმევინებია. ხელნაწერი გადაწერილია შესანიშნავ პერგამენტზე, რომლის გაკეთებასაც მონდომებია სამასოცდაცხრა ხბოს ტყავი. ხელნაწერი წარმოადგენს კალიგრაფიული ხელოვნების იშვიათ ნიმუშს.

2 ე. თაყაიშვილი, Опис. ტ. 2. ნაწ. 1, გვ. 34.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ღვაწლი იმ აქნარდ უცნობი ქალებისა, რომელთაც საკუთარი ძალა და ენერგია არ დაუშურებიათ ჩვენი მწიგნობრული კულტურის განვითარებისათვის. ესენი არიან ძველი ქართული ძეგლების გულმოდგინე გადამწერ-შემკაზმავნი. მათ შორის არ შეგვიძლია მოუხსენებლად დავტოვოთ ვინმე დიასამიძის ასული გულქანი, რომელიც ცხოვრობდა მე-15 საუკუნეში და რომლის სახელიც დარჩენილია მე-12 საუკუნის ძეგლის მინაწერში: „ამისა შემკაზმავსა დიასამიძის ასულსა გულქანს შეუნდე წმიდაო ნინო მოციქულო"...[1] მე-16 საუკუნეში, ოდიშში, დადიანის ასული იღწვის ლოცვანის გადაწერისათვის და შრომის დამთავრების შემდეგ სასოებით სწერს: „ღმერთო შეინდე ამის უცბად მწერალი ლიპარტიანი ქალი მანია"...[2]

წიგნების გადამწერლობა-გამშვენების საქმეში ბევრი უმუშავნია აგრეთვე მე-17 ს. პოეტს-ჰიმნოგრაფს მარიამ-ყოფილ მაკრინესაც, რომელიც ალავერდის მონასტერში მოღვაწეობდა...

საგულისხმოა ის გარემოება, რომ წიგნების გადაწერის ენტუზიასტ-ქალებს მე-19 საუკუნის ნახევრამდეც კი მოუღწევიათ. ამათ რიცხვს ეკუთვნის თარხან-მოურავის ასული ელისაბედი, რომელსაც 1835 წელს გადაუწერია ვეებერთელა კრებული სხვადასხვა ნაწარმოებთა. „დასრულდა და სრულ იქმნა ესე მშვენიერი წერილი, — ამბობს მინაწერში ელისაბედი, — რომელიცა არის ქეთევან დედოფლისა ცხოვრება... მიჯნურიანი, იოსებისა და ზილიხანის ამბავი და სხვადასხვა კარგი ანბანთ-

1 თ. ჟორდანია, Опис. рук. церк. музея, წ. 1, გვ. 371
2 იქვე, წიგნი, 2. გვ. 214.

ქება. ვისაც გსურდეთ ამა მშვენიერის წიგნის წაკითხვა და აღმოიკითხოთ, თუ რაიმე შეცდომა ჰპოვოთ, ნუ დაგვიზრახავთ, რადგან ქალის გადაწერილი გახლამსთ და მეტი ვერ დავსდიე...“[1]

* * *

მე-13-14 საუკუნეთა მანძილზე, საქართველო ხდება ასპარეზი აღმოსავლეთის მრავალრიცხოვან ურდოების შემოსევის და შინაგანი აშლილობისა. ჩვენი ქვეყანა ამ პერიოდში წარმოადგენს ეკონომიურად განადგურებულს, პოლიტიკურად დარღვეულსა და კულტურულად სრული დაქვეითების გზაზე მდგომს მხარეს. ამ დროს მეტად საგულისხმო მოვლენას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კულტურულ სარბიელზე ჩუმ მუშაკებად გამოდიან ქალები. ამ პერიოდში ჩვენი კულტურისა და კერძოთ ლიტერატურის სფეროში არამც თუ იქმნება რაიმე ღირსშესანიშნავი ორიგინალური ძეგლი, არამედ ნადგურდება და დავიწყებას ეძლევა წარსულ საუკუნეთა მონაპოვარიც. მომდევნო საუკუნეებში (15-17 ს.) თითქოს უკეთესი პირობები იქმნება ქვეყნის აღორძინებისათვის. ამ დროს იწყება კულტურული ძალების მოღონიერება. ქვეყანა თითქოს დგება ნელი განვითარების გზაზე, მაგრამ საერთო მძიმე სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური პირობები მაინც არ იძლევა საშუალებას საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველო ამ ეპოქაში დაყოფილი არის მრავალ სამეფო-სამთავროებად, მისი ტერიტორიის მეტად საგრძნობი ნაწილი,—მესხეთი წაღებული აქვს თურქეთს, კახეთისა და ქართლის სამხრეთი ტერიტორია მთლიანად გა-

1 ე. თაყაიშვილი, Описание... ტ. 2, წ. 2, № 174

ნადგურებულია მტრების შემოსევისაგან და უკაცრიელს უმოსახლოდ არის დარჩენილი. ცენტრალური ხელისუფლება უღონოა ალაგმოს გამძლავრებული ფეოდალები, გლეხობა ბატონყმობის მძიმე უღელშია გაბმული, აღებმიცემობა და მრეწველობა მიყუჩებულია, ქვეყნის ეკონომიური მაჯისცემა შენელებული... ასეთ პირობებში, ცხადია, ძნელი იყო ქვეყნის მძლავრი კულტურული აღორძინება. ასეთ არევ-დარევის ხანაში სწავლა-განათლებისათვის ფიქრი და ზრუნვა ხშირად შეუძლებელიც იყო; ამგვარივე მდგომარეობა გრძელდებოდა მე-18 საუკუნეშიდაც, როდესაც დ. გურამიშვილის თქმით:

„სულ გარს მტრად გვადგა თურქ-ყიზილბაში;
მით იკლო სწავლამა,—ჩვენში ლეკთ დავლამა
წიგნნი წარსტყვენნა!
დარჩნენ უწიგნო ბერებ-ხუცები,
ჩემის დროს ყრმანი უწვრთელ-უცები“[1].

საერთო უმეცრება ამ დროს დამახასიათებელი იყო არა მარტო სოციალური იერარქიის უმდაბლეს საფეხურზე მდგომი გლეხური მასების, არამედ თავადაზნაურობისთვისაც. ფრიად საგულისხმო დოკუმენტს მე-18 საუკუნის ქართული ფეოდალური საზოგადოების შეხედულებათა გასათვალისწინებლად წარმოადგენს ი. ხელაშვილის ეპისტოლარული კრებული (წ. კ. № 1532):

„აჰა, მამასა და პაპასა არა სცოდნიათ წიგნი, მაგრამ თვისის გვარითა მდიდრათ უცხოვრიათ გვარეულისა სახელოებითა,—გაიძახის თავისი უმეცრებით კმაყოფილი იმ დროის ფეოდალი,—წიგნები მხოლოდ მღუდელმა უნდა იცოდეს და სომეხთა, რომელნიც მდივნებად არიან და

1 „დავითიანი“, გვ. 272, „ქართული წიგნი“-ს გამ. 1931 წ.

რად; და ეგრეთუე ქალებმა შამშობლოებმა სწერენ ქარტათა და შეიტყობენ სიცხლეთა და სიკუდილთა...

... თავი რისათვის აიტკიოს დიდმან კაცმან წიგნით და ანგარიშით".

ასეთი დამოკიდებულება სწავლისა და ცოდნისადმი მარტო აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალურ კლასს როდი ახასიათებდა. იგი ხშირი და ჩვეულებრივი იყო საქართველოს სხვა კუთხეებშიდაც. არქანჯელო ლამბერტი, კათოლიკე მისიონერი, რომელმაც მე-17 საუკუნეში (1633—1653 წ. წ.) საქართველოსა და კერძოდ სამეგრელოში ოცი წელიწადი გაატარა, ერთ ადგილას, თავის წიგნში, ეხება სწავლა-განათლების მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში. „მეგრელები იმდენად უმეცარნი არიან,—მწუხარებით მოგვითხრობს ლამბერტი,— რომ მათ შორის თითქმის არავის არ ესმის ის ქართული წიგნები, რომელიც დაწერილია მათის ნამდვილის ძველებურის და წმინდა ენით. ამ ენისაგან მათი მდაბიური ენა ისე განირჩევა, როგორც ჩვენი მდაბიური ლათინურიდან. აქ არ თავდება მათი უმეცრება: ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეენახათ იგი. ისე რომ, თუ ვისმე უნდა კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელსამე ქალს მიებაროს სასწავლებლად!" [1].

როგორც ვხედავთ, მე-17-18 საუკუნეებში მხოლოდ ქალები ითვლებოდნენ წერა-კითხვის მცოდნეებად. ისინი მამაკაცებსაც ასწავლიდნენ და ამით ხელს უწყობდნენ სწავ-

---

[1] არქ. ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა", ტფ. 1901 წ. გვ. 174.

ლა-განათლებას და ხალხის კულტურული დონის ამაღლებას. აქედან თავისთავად ცხადია, რომ ქალების აქტიური როლი ქართული მწიგნობრობისა და გადამწერლობის საქმეში შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა საქართველოში. მათი კულტურულ სარბიელზე გამოსვლა და გამოჩენება, განსაკუთრებით მე-17-18 საუკუნეებში, განპირობებული იყო ქვეყნის გარკვეული სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობით.

მართალია, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში თავი იჩინა ერთგვარმა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობამ, მაგრამ ეს მოძრაობა მაინც არ წარმოადგენდა მასიურ, დამახასიათებელ მოვლენას ფეოდალური საზოგადოების მამრობითი ნაწილისათვის. ეს გარემოება კარგათ შეუმჩნევია რუსეთიდან გარკვეული მისიით ჩამოსულ კაპიტან იაზიკოვსაც:

„რაც შეეხება კეთილშობილ ქალებს, — გვიამბობს იგი, — წერა-კითხვა ყველა მათგანმა იცისო“ [1].

მაგრამ მარტო წერა-კითხვის ცოდნითა და გავრცელებით, წიგნების მოგროვება-შენახვითა და მათი კითხვა-გადამწერლობით არ ამოწურულა ქალების როლი საერთოდ ქართული კულტურის ისტორიაში. მათი ინტერესები და შემოქმედებითი უნარი უფრო ფართო გასაქანს პოულობდა, უფრო ღრმად იჭრებოდა ჩვენი კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

და ჩვენ ვხედავთ, რომ მწიგნობრული ერუდიციისა და კულტურული დაინტერესების უპრეტენზიო ფარგლებიდან ქალები გამოდიან ლიტერატურულ შემოქმედების

---

[1] პროფ. კ. კეკელიძე, „ქართ. ფეოდ. ლიტ. პერიოდიზ.“ გვ. 64.

უფრო ფართე ასპარეზზედაც. ქალები — საუკეთესო მკითხველნი და მცოდნენი ჩვენი პოეტური ძეგლებისა, ქალები, საუცხოვო ინტერპრეტატორები და დეკლამატორები ქართული კლასიკური მხატვრული ქმნილებებისა, უკვე თვითონ გვევლინებიან ორიგინალურ ოსტატებად, საყურადღებო და პოპულარულ პოეტებად. მათი ნაწერები ინტერესით იკითხება თანამედროვე საზოგადოებისა და მომდევნო თაობების მიერ, ვრცელდება ხელნაწერების სახით და მკითხველთა გემოვნების ესტეტიურ ამაღლებასთან ერთად ემსახურება გარკვეულ სოციალურ ფენათა საზოგადოებრივი აზრის დამუშავება-წარმართვის საქმეს.

ჩვენს სიძველეთსაცავებში შენახულია ბევრი ხელნაწერი ამ პოეტი ქალებისა. მათი ლექსებისა და პოემების უდიდესი ნაწილი ჯერ გამოუქვეყნებელია და სრულიად უცნობია მკითხველისათვის. მაგრამ, სანამ ამ ნაწერებს წავიკითხავდეთ, ჩვენ გვინდა მოკლედ შევეხოთ მათ უცნობსა და ორიგინალურ ავტორებს.

* * *

პოეტი ქალების სახელს ჩვენს საისტორიო დოკუმენტებში ვხვდებით მხოლოდ მე-17 საუკუნიდან. მაგრამ შეუძლებელია, რომ წინა საუკუნეებშიდაც მწიგნობრობასთან და საერთოდ წიგნის კულტურასთან ახლოს დგომას ქალთა შორის არ გამოეწვიოს ერთგვარი შემოქმედებითი იმპულსი.

კლასიკური და თანამედროვე პოეტური ნიმუშების საუცხოვო ცოდნა, რომლითაც მუდამ გამოირჩეოდნენ ჩვენი ძველი ქალები ნიადაგ ომებსა, შექცევა-ნადირობასა და სამეურნეო საქმიანობაში გართულ მამაკაცებისაგან, მათ-

შიდაც აღძრავდა ერთგვარი წამებაძველობისა და ხშირად ორიგინალური, საკუთარი შემოქმედების სურვილს. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერჯერობით არავითარი ცნობები არ მოგვეპოება იმ ქალების შესახებ, რომლებიც ჩვენი ისტორიის უძველეს პერიოდში ასე თუ ისე დაკავშირებულნი იყვნენ ლიტერატურასთან და რომელთაც თავისი წვლილი შეჰქონდათ ნაციონალური კულტურისა და მხატვრული მეტყველების საგანძურში.

ამ მხრივ, უძველეს საუკუნეთა სიღრმეში დაკარგულ ფეოდალური წრის ქალების ბედს, — იმ ქალების, რომლებიც მოღვაწეობდნენ ეგრედწოდებული „ხელოვნური პოეზიის“ სარბიელზე და რომელთა სუსტ სიმღერებს დროთა სასტიკ ცვალებადობაში ჩვენს ეპოქამდე ვეღარ მოუღწევია, — იზიარებენ თაობები ხალხში უსახელოდ გამქრალი გლეხი ქალებისა, რომლებიც ამდიდრებდნენ და ამკობდნენ ჩვენს პოეტურ ფოლკლორს. თუ მწიგნობარი ქალების უმეტესობას, რომელიც უმთავრესად მაღალ წოდებას, ფეოდალურ კლასს ეკუთვნოდა, სამუდამო დავიწყების ნისლი გადაეფარა, ადვილი წარმოსადგენია რა მოუვიდოდა იმ სოციალურად ყველაზედ უფრო დაბეჩავებულ მომღერლებს, რომელნიც შავბნელ საუკუნეთა მანძილზე განიცდიდენ გაათკეცებულ ჩაგვრას: გლეხის ქალი მონა იყო ბატონის, ქმრის, ოჯახის, ცრუმორწმუნოების, უვიცობის და საერთოდ უკუღმართი საზოგადოებრივი წყობისაგან მომდინარე ათასი უბედურების.

ვისაც ცოტაოდენი ცნობა მაინცა აქვს ჩვენი ხალხური პოეზიისა, მას შეუძლია წარმოიდგინოს ის უდიდესი წვლილი, რომელიც ქალს შეუტანია ჩვენი ზეპირსიტყვაობის, ხალხური პოეტური მეტყველების შექმნა-გამდიდრების საქმეში. ქალწულის გატაცება, ცოლის

სიყვარული, განშორების სევდა, დედის ალერსი ან გულისა დაკარგული ქმრისა და შვილისა, აღტაცებული პანეგირიკი ვაჟკაცის ღირსებებისა, ათასგვარი ვარიაცია ქალის განცდებისა, სოციალ-ეკონომიურ და ბიოლოგიურ მოტივებით გამოწვეული,— უდიდესი სიმძაფრით და მხატვრული სიძლიერით არის გამოხატული ხალხურ პოეზიაში. და შეუძლებელია ამ შედევრების ნაწილი მაინც ქალის შემოქმედების ნაყოფად არ მივიჩნიოთ.

დროთა მსვლელობაში დავიწყებულ მწიგნობარ ქალთა რიცხვს მიეკუთვნება, სხვათა შორის, სახელი ერთი უცნობი გურული ქალისა, რომლის სახე შეუნახავს მისიონერს ქრისტეფორე კასტელს თავის ცნობილ ალბომში. ეს ქალი არის ფომინისია ბერიძისა,— კასტელის სიტყვით,— „პოეტი მეტად ნიჭიერი და დიდად საქებელი სხვადასხვა სათნოებისათვის". ქრისტეფორე კასტელი, თეათინელი პატრი, გურიაში მისიონერობდა 1634 წლიდან. როგორც მ. თამარაშვილი გვიამბობს, ეს კასტელი, პატრი ანტონ ჯარდინა და ძმა ქლაუდიო, გურიის პირველი მისიონერები იყვნენ, მთავარ მალაქია კათალიკოზის დროს. ამ მისიონერებს, სხვათა შორის, ძალიან დიდი გავლენა და პატივისცემა მოუპოვებიათ გურიაში, განხაკუთრებით გურულ ქალებს შორის. ამას მოწმობს სამწუხარო თავგადასავალი ათაბაგის ქალის ელენესი, რომლის მასწავლებელი და „სულიერი მამა" ქრისტეფორე კასტელი ყოფილა. ეს ელენე, განთქმული თავისი სილამაზით, მისი სურვილის წინააღმდეგ მიუთხოვებიათ ირანის შაჰისათვის. სასოწარკვეთილ ქალის სანუგეშებლად, რადგან მას შაჰის ცოლობაშიაც არ გამოუცვლია სარწმუნოება, ქრისტეფორე კასტელს ქართულ ენაზე შეუდგენია

ერთი წიგნი: „სიტურფე საღვთო სიყვარულისა“ და გადა-
უგზავნია ირანში.

იმავე კასტელს, ელენეს გარდა, როგორც სჩანს, დაახ-
ლოვება ჰქონდა სხვა გურულ ქალებთანაც, უწინარეს
ყოვლისა, ალბად წარჩინებულთა წრიდან. მის ალბომში,
რომლის პირი საქართველოს მუზეუმშია დაცული,
ფომინისია ბერიძის გარდა, მოთავსებულია პორტრეტი
მეორე ქალის, რ ო დ ი ა მ ი ქ ე ლ ა ძ ი ს ა. ეს მანდილო-
სანი, მისიონერის თქმით, ყოფილა „მხატვარი, მომღე-
რალი, უმაღლესად ნიჭიერი და კეთილი ზნეობით შემ-
კული“.

როგორც მ. თამარაშვილი გვიამბობს, ამავე ქრისტე-
ფორეს „დაუწერია წიგნი საქართველოს და სამეგრელოს
შესახებ და რადგან მხატვრობა კარგად სცოდნია, შიგ-
ვე ჩაურთავს მეფეებისა და მთავრების სურათები“. ეს
წიგნი ჯერ არ არის აღმოჩენილი არც ქართულ, არც
იტალიურ ენაზე[1]. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ნაშრომში
მისიონერს მოთხრობილი ექნებოდა მრავალი საინტერესო
ამბავი და სხვათა შორის, ბიოგრაფიებიც ფ ო მ ი ნ ი ს ი ა
ბ ე რ ი ძ ი ს ა და რ ო დ ი ა მ ი ქ ე ლ ა ძ ი ს ა. ჯერჯერობით
კი მათ შესახებ არაფერი ვიცით. დარჩენილია მხოლოდ
პორტრეტები და ლაკონიური დახასიათება მათი არტის-
ტიული მოწოდების...

ფომინისია ბერიძის უფროსი თანამედროვეა ქ ე თ ე-
ვ ა ნ ი, პოეტისა და კახეთის მეფის თეიმურაზ პირვე-
ლის დედა, ჩვენს ისტორიაში „წამებულად“ ცნობილი.

საჭიროა აღინიშნოს ერთი ფაქტი, რომელიც მეტად
მნიშვნელოვანია ევროპა-საქართველოს კულტურული ურ-

[1] მ. თამარაშვილი „ისტორია კათოლიკობისა საქართვე-
ლოში“, გვ. 163.



ბათუმის
საჯარო ბიბლიოთეკა

Т 32465

2. როდია მიქელაძე

№ _____

АКАКI ЦЕРЕТЕЛИ BATUMI PUBLIC LIBRARY

თიერთობის გასათვალისწინებლად მე-16-17 საუკუნეებში: ქეთევანს, ისევე, როგორც ზემოდხსენებულ გურულ წარჩინებულ ქალებს, ახლო ნაცნობობა უნდა ჰქონოდა ევროპელ კათოლიკე მისიონერებთან — ჯერ კიდევ სამშობლოში, შაჰაბაზის ტყვეობამდე.

რაც შეეხება ირანში ცხოვრების პერიოდს და იქ ქეთევანის ახლო ურთიერთობას ევროპელ მისიონერებთან, ამის შესახებ უტყუარი ისტორიული საბუთებიც არსებობს [1].

„სახელოვანი მგზავრი, რომაელი პატრიციო და ქართველების ნამდვილი და ერთგული მეგობარი“ პ ი ე ტ რ ო დ ე ლ ლ ა ვ ა ლ ე, რომელმაც დიდი თანაგრძნობა და შემწეობა აღმოუჩინა სპარსეთში შაჰაბაზის მიერ ტყვედ წაყვანილ ქართველებს და განსაკუთრებით ანუგეშა დატყვევებული ქეთევან დედოფალი, რომის პაპისადმი 1625 წელს წარდგენილ მოხსენებაში, სხვათა შორის, ადასტურებდა სხვა მისიონერთა ცნობებს იმის შესახებ, რომ „ბოლო დროებში ქეთევან დედოფალს კარმელიტანების წესის პატრები ეწეოდნენ სულიერად და მათი ჩაგონებით გამხნევებული, კათოლიკედ აღესრულაო“ [2].

ევროპელების, თუნდაც ანაფორაში გამოწყობილ მისიონერების ნაცნობობას და ყოველდღიურ ურთიერთობას შეუძლებელია გარკვეული კულტურული გავლენა არ მოეხდინა ქეთევანზე. ეს ქალი, როგორც ვიცით, დედა იყო სახელოვანი პოეტის, რომელსაც თანამედროვენი რუსთაველსაც კი ადარებენ. პოეტური და მწიგნობრული ატმო-

1 იხ. თამარაშვილი, „ისტ. კათ. საქართ.“ გვ. 83-88.

2 მ. თამარაშვილი, გვ. 88.

სფერო ქეთევანსაც აღძრავდა შემოქმედებითი მუშაობის სათვის. ყოველივე ეს დასაშვებად მიგვაჩნია, რადგან ჩვენ არ მოგვეპოება მისი პოეტური შთაგონების სხვა ნაყოფი, გარდა ერთი ელეგიური ლექსისა, რომელიც, როგორც სჩანს, ტყვეობაში უნდა იყოს დაწერილი.

ეს ლექსი გადამწერლებს შეუნახიათ თაობიდან თაობაში, როგორც პოეტური ნიმუში სარწმუნოებისათვის თავდადებული ქალისა; რასაკვირველია, ამ ლექსს ჩვენთვის დღეს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს,—იგი წარმოადგენს ყველაზე ადრინდელ ნაწარმოებს ქართველ პოეტ ქალებისგან დარჩენილ შემოქმედებაში.

ქეთევანის გარდაცვალების შემდეგ ერთი საუკუნის მანძილზე ჩვენ ვერსად ვხვდებით პოეტი ქალის სახელს.

მხოლოდ მე-18 საუკუნის განთიადზე, კახეთში, ალავერდის მონასტრის მყუდრო სენაკში ჩვენ ვპოულობთ ამქვეყნიურ „ამაოებათაგან“ განშორებულ ახალგაზრდა ქალს... მას მიუტოვებია გვირგვინოსანი ძმის სამეფო პალატები, უარუყვია ფეოდალი ქმრის მოზღუდული ციხე-კოშკები, უარი უთქვამს მეფის ასულისათვის შესაფერ პატივსა და წარჩინებაზე და მოსულა აქ, ალაზნის პირას, უძველესი ტაძრის განმარტოებაში. ნინოწმინდის ეკლესიის სახარების მინაწერში ეს ქალი ასე უწოდებს თავის თავს: „გლახაკი სულითა და მდაბალი ცნობით, ქვემთრევი ცოდვასა შინა მხევალი... ასული დიდებით ამაღლებულისა ქართველთა მეფისა ერეკლესი[1] და დაჲ დიდად წარჩინებულისა კახთ მეფის დავითისა [2] და თანამემცხედრე კახეთის სახლთუხუცისა ჩოლოყაშვილის ედიშერისა [3], სძალი ამბა

1 გარდაც. 1709 წელს.

2 მეფობდა 1703-1722 წ. წ.

3 მოკლეს ლეკებმა 1714-16 წ. შორის.

ალავერდელის ნიკოლოზისა. სოფლისა-საცთურებათაგან განცდილი და აწ ენკრატის ქმნილი, პირველ მარიამ-მობით ხმობილი, უბადრუკი მაკრინა"..

ამ მარიამ-მაკრინეს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძველი საქართველოს პოეტ-ქალებს შორის. მაკრინე უმთავრესად სასულიერო პოეტია—მის კალამს ეკუთვნის ჰიმნები, შეთხზული „წმინდანის" იოსებ ალავერდელის სადიდებლად. როგორც ჰიმნოგრაფს, მაკრინეს ჩვენი სასულიერო პოეზიის ისტორიაში ფრიად საყურადღებო ადგილი უკავია: მაკრინე ავტორია ჩვენი ეკლესიის მიერ თავის დროზე დიდათ მოწონებული საგალობლებისა, რომელსაც ქართულ ტაძრებში ასრულებდნენ მაკრინეს სიკვდილის შემდეგ ორასი წლის განმავლობაში, ჩვენს დრომდე.

გარდა მეტად მხატვრული ენით დაწერილი სასულიერო ოდებისა, რომელიც ყურადღებას იქცევს პოეტური სახეების და შედარებების სიმდიდრით, მაკრინეს ბევრი უმუშავნია, როგორც სამღვდელმსახურო წიგნების რედაქტორს და კალიგრაფ-მხატვარს.

მაკრინესვე გაუკეთებია რედაქცია მისი ძმის, დავით იმამ-ყული-ხანის მიერ დაწერილი საღვთისმეტყველო-საბუნებისმეტყველო ტრაქტატის — „ღვთაების გუჯრისათვის", რომელიც შესრულებულია მეტად ჩინებული სტილით და ითვლება ჩვენს ძველ მწერლობაში ფრიად საყურადღებო ძეგლად.

მარიამ-მაკრინე, როგორც ნიჭიერი პოეტი, უსათუოდ აღსანიშნავია მე-17-18 საუკუნის სასულიერო პოეტ-ოსტატებს შორის.

თუ ქეთევანისა და მაკრინეს ბიოგრაფიიდან ზოგიერთ მნიშვნელოვან თარიღებსა და ცხოვრების მომენტებს მა-

ინც ვიცნობთ, ეს არ შეიძლება ითქვას მეთვრამეტე საუკუნის ისეთ პოეტ-ქალებზე, როგორიც არიან მანანა და სალომე.

განსაკუთრებით ეს შეეხება მანანას. მისი ვინაობა საიდუმლოების ნისლით არის მოცული. შეიძლება ითქვას, რომ მანანა მკვლევარისათვის ერთგვარ გამოცანას შეადგენს.

მანანას სახელით ძველ ხელნაწერებში დარჩენილა ბიოგრაფიულ-რელიგიური ხასიათის „შაირნი“, სახუმარო დიალოგები „ციებასთან გაბაასება“-ას სახელწოდებით და აგრეთვე პორნოგრაფიული ხასიათის ლექსად გაკამათება ვინმე ახალციხელ მესტვირე კოტაშვილთან.

ყველაზე საინტერესო მოვლენა ის არის, რომ ვერსია „ციებასთან გაბაასებისა“ ხალხშიდაც არსებობს — ჩვენს ზეპირსიტყვაობაში [1]. აქ ეს ვარიანტი ტექსტის თვალსაზრისით ცოტაოდენ სახეცვლილია, პერსონაჟადაც მანანას ნაცვლად გამოდის გაუპიროვნებული ვინმე „გოგონა“. „ლექსი „ციება და გოგო“, — ამბობს ხალხური პოეზიის მკვლევარი ვახტანგ კოტეტიშვილი, — ეკუთვნის „მანანასა და ციების“ ლექსის ციკლს, რომელიც მრავალი სახით გვხვდება მწიგნობრულ ლიტერატურის ხელნაწერ ძეგლებში. ეს ციკლი, ჩვენის აზრით, ხალხური პოეზიიდან მომდინარეობს. შესაძლებელია ხშირად „მანანა“ იყვეს პირობითი სახელი, რომლის გარშემოც თავი მოიყარა განსაზღვრული ჟანრის სიმღერებმა. გარკვეულად ჯერ არას ვამბობთ, რადგან საკითხს უფრო დაწვრილებით უნდა შესწავლა... შესაძლებელია ისიც ვიფიქროთ, — გა-

1 იხ. ვ. კოტეტიშვილი, „ხალხური პოეზია“, სახელგამი 1934 წ. გვ. 244 — 46.

ნაგრძობს ზემოხსენებული მკვლევარი, — რომ ლიტერატურული გზით არის ეს ლექსი ხალხში შესული, აკლიმატიზაციაქმნილი და სათავე იმ ბურუსში გახვეულ პოეტი ქალის მანანას პოეზიაში უნდა მოიძებნოს, რომლის სახელიც თითქოს შეექსოვა ციებასთან გაბაასების ლექსთა ავტორს... ყოველ შემთხვევაში კითხვა დამაფიქრებელიაო," — დასძენს იგი [1].

ჩვენის აზრით „ციებასთან გაბაასების" ვარიანტი სწორედ მწიგნობრული გზით არის გადასული ზეპირსიტყვაობაში. როგორც ვხედავთ, მანანას ხელნაწერ პოეტურ მემკვიდრეობიდან, ერთგვარი აპერცეპციის ძალით, ხალხს შეუთვისებია სწორედ მსუბუქი იუმორით გაჟღენთილი, ხალხური შაირით დაწერილი სახუმარო პოემა და არა მანანას სკეპტიკურ-მისტიური და ქრისტიანულ-რელიგიური სულით გამსჭვალული „შაირნი".

ყოველ შემთხვევაში მანანა რომ ისტორიული პირია და არა ერთგვარი შემკრებლობითი, „პირობითი სახელი, რომლის გარშემოც თავი მოიყარა განსაზღვრულ ჟანრის სიმღერებმა", — ეს იქიდან სჩანს, რომ მანანას „შაირებში" ჩვენ ვხვდებით გარკვეულ ისტორიულ ფაქტების დასახელებას, როგორიც არის მაგალითად ერეკლეს ბრძოლა ჭარელ ლეკებთან, დაღესტანთან და სხვ.

თავის შემოქმედებაში მანანამ ასახა თანადროული ფეოდალური საზოგადოების დამახასიათებელი განწყობილებები: დაცემულობის გრძნობა, სკეპსისი, რელიგიურ-მისტიური ლტოლვა, როგორც ერთგვარი საშუალება ამქვეყნიურ ცხოვრებიდან გაქცევისა, — ყველა ეს მოტივები გვხვდება მე-18 საუკუნის ქართულ პოეზიაში, როგორც

1 იქვე, გვ. 390 — 391.

გამოძახილი საქართველოს იმდროინდელი უკუღმართი სოციალ-პოლიტიკური პირობებისა.

უფრო საინტერესო პიროვნებაა მეორე პოეტი-ქალი, სალომე, — ფრიად ნიჭიერი და ორიგინალიური ავტორი ანბანთქებათა კრებულისა. უნდა ითქვას რომ, სამწუხაროდ, მისი ბიოგრაფია ჩვენთვის თითქმის უცნობია. არავითარი თარიღი სალომეს დაბადება-გარდაცვალებისა ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოება. დანამდვილებით ვიცით მხოლოდ, რომ სალომე ერეკლე მეფის თანამედროვეა და მისი „მწუხარებისა ანბანთქებანი“, ანუ „სევდის წიგნი“, დაწერილია ამ მეფის სიცოცხლეშივე, აღამაჰმადხანის შემოსევამდე.

სალომე ყველაზე საინტერესო და საგულისხმო პოეტია ქალებს შორის. არსად, არც ერთი ჩვენი პოეტი-ქალის შემოქმედებაში არ ასახულა ისე ძლიერი გრძნობით ქალური განცდები, როგორც სალომეს ანბანთქებებში. აქ ჩვენ გვაქვს ნიმუში ეროტიული პოეზიისა, რომელიც, ცხადია, თავისი დროის რელიგიურ-მისტიურ განწყობილებათა შესაფერად და პოეტის პირად ბიოგრაფიულ ამბებთან შეფარდებით, ჩაყენებულია ერთგვარი მხატვრული ზომიერების კალაპოტში.

ამავე დროს სალომე თავისი პოემების საშუალებით, გვაძლევს წარმოდგენას თავისი მღელვარე დროის ამბებზე, თუმცა, ცხადია, არა ისე ნათლად და კლასიკური უბრალოებით, როგორც გურამიშვილი.

ყოველ შემთხვევაში სალომე თავისი ორიგინალური თემატიკით, პოეტური პოტენციით და მხატვრული ღირსებებით ყველაზე ძლიერი და მნიშვნელოვანი პოეტია მეთვრამეტე საუკუნის ქართველ მწერალ ქალთა შორის.

იგივე არ შეიძლება ითქვას ზაზა გაბაონის ასულის მაიას შესახებ.

მაია გაბაშვილი წარმომადგენელია იმ პოეტური ფრთისა, რომელიც ლექსებს ქმნიდა „სააშიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად". ამ პოეტურ ჟანრის უდიდესი წარმომადგენელი იყო ბესიკი, თავის შემოქმედების უმთავრეს ნაწილში. მაიას კალამს ეკუთვნის ერთად-ერთი ანბანთქება, ორიგინალური ფორმისა, რომლის შემოღებაც მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს უნდა მიეწეროს. ეს არის ანბანთქება „ანზე სით მიხვალ", რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ვირტუოზობამდე მიდიოდა ჩვენი მე-18 საუკუნის ფეოდალურ-არისტოკრატიული პოეზია, სისხლნაკლული, დაშორებული საღ საზოგადოებრივ მოტივებს, იდეურ და თემატიურ შინაარსობრივობას.

მაია გაბაშვილის ნაწარმოები საგულისხმოა, როგორც ნიმუში ძველი საქართველოს ფეოდალური არისტოკრატიის მიერ შექმნილი სალონური პოეზიისა, რომელიც ასე მრავალფეროვან ყვავილად გაიფურჩქნა მე-18 ს. მიწურულში. ამავე სალონურ პოეზიას უნდა მივაკუთვნოთ „მცირე ფორმის" სხვა პოეტური ქმნილებებიც, — ეპიგრამა, პაროდია და სხვ. რომელიც ისე უხვად იწერებოდა იმ დროს და ისე პოპულარული იყო არისტოკრატიულ საზოგადოებაში, რომ ღირსი გახდა პოეზიის ხელნაწერ კრებულებში შეტანისა.

მაიას ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება. საფიქრებელია, რომ იგი ცხოვრობდა მე-18 საუკუნის მიწურულში და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. მისი მამა, ზაზა, ვფიქრობთ, უნდა იყოს გარსევან ჭავჭავაძის დელეგაციის შემადგენლობის წევრი და მდივანი — ზაზა გაბაონი.

მაია გაბაშვილი თანამედროვეა ერეკლეს ასულებისა, რომლებიც თავისი ცხოვრების ნახევრით ეკუთვნიან მე-19 საუკუნის დასაწყის პერიოდს.

ეს ქალები არიან მარიამი, ქეთევანი და თეკლე... ცხადია, არც ერთი მათგანი არ ყოფილა პროფესიონალ პოეტი, თვითეულ მათგანს ორი-სამი ლექსი თუ აქვს დაწერილი, მაგრამ ლექსებსაც აქვთ თავისი ბედი... ხშირად ლექსები ცოცხლობენ და ასრულებენ თავის საზოგადოებრივ ფუნქციას, მიუხედავად იმისა, იყო მათი დამწერი თავისი ძირითადი მოწოდებით მგოსანი თუ შემთხვევითი მოშაირე, რომელმაც თქვა „ერთი, ორი“.

ყოველ შემთხვევაში ბატონიშვილ დების ლექსები წარმოადგენდნენ ფაქტს ლიტერატურაში და მას ანგარიშს უწევდნენ, როგორც თანამედროვენი, ისე შემდეგი დროის თაობები, ლიტერატურის ისტორიკოსების ჩათვლით.

ის, რაც ვერ მოახერხეს მრავალრიცხოვანმა მეფისწულებმა: ალექსანდრემ, იულონმა, თეიმურაზმა, დავითმა და სხვებმა, ერეკლეს ქალებმა განიზრახეს თავისი ლექსებით. ეს ლექსები ბატონიშვილებისათვის ჩამორთმეული ხმლების მოვალეობას ასრულებდენ ერთხანს.

მეფისწულთა საწადელს შეადგენდა ბედითად დატრიალებული ისტორიის ჩარხის უკუღმა შებრუნება, ძველი საქართველოს მეფობის აღდგენა. რაც უკვე ყოვლად შეუძლებელი იყო შექმნილი პოლიტიკური პირობების გამო.

რუსეთის აგრესიულმა იმპერიალიზმმა შეუპოვრად გაანადგურა ყოველივე ცდა ქართველ ფეოდალების უკმაყოფილო ნაწილისა, მიმართული ძველი წყობილების აღდგენისაკენ. ბრძოლაში დამარცხებულთ დარჩათ მხო-


ლოდ რომანტიკა დაუბრუნებელი წარსულისა და გულის სიღრმეში დაგუბებული სევდა, გამოწვეული თავისი უღონობით.

ეს რომანტიზმი და აწმყოთი უკმაყოფილების გრძნობა უდიდესი ექსპრესიით იქნა გამოხატული ერეკლეს ქალების შემოქმედებაში. მათ ლექსებში არის ერთგვარი ტენდენცია პირადი, კლასობრივი და წოდებრივი უკმაყოფილების საერთო ნაციონალურ განზოგადოებამდე აყვანისა, თუმცა იმ ხალხურ მოძრაობასა და აღშფოთებას, რომელმაც მთიულეთისა და კახეთის აჯანყებაში ჰპოვა გამოსავალი, სრულიად სხვა კლასობრივი სოციალ-ეკონომიური მიზეზები ედვა სარჩულად და არაფერი ჰქონდა საერთო ფეოდალებისა და თავად-აზნაურობის მისწრაფებებთან.

ერეკლეს ქალების ლექსები გარკვეულ ფეოდალურ-არისტოკრატიულ საზოგადოებრივობის სულისკვეთებას ასახავდა გასული საუკუნის დასაწყისში. და ეს განწყობილებები, როგორც ვიცით, მომდევნო პოეტურ თაობებსაც გადაჰყვა, როგორც შემოქმედების ძირითადი მოტივი. გენეზისი მე-19 საუკუნის პატრიოტული რომანტიზმისა, პატრიოტული ლირიკისა და პროზის, უსათუოდ უნდა ვეძებოთ იმ მცირე პოეტურ მემკვიდრეობაში, რომელიც დაგვიტოვეს ბატონიშვილმა ქალებმა — მარიამმა, ქეთევანმა და თეკლემ...



ეროვნული ბიბლიოთეკა





ქეთევანი

იტალიელმა მოგზაურმა პიეტრო დელლა ვალემ უმეგობრა მას ცხოვრების უკანასკნელ დღეებში. დომინიკიანელმა გრიგოლ ორსინიმ აღწერა მისი აღსასრული და აგრეთვე მოგვითხრო მისი სამშობლოს აოხრების ამბავი.

ირანში მყოფმა სხვა მისიონერებმა მოსძებნეს ჩუმად მისი გული და მარკვენი, შეგრაგნეს ძვირფას ქსოვილში და სასოებით მოიტანეს საქართველოში.

კახეთის უიღბლო მეფემ და საქართველოს სახელოვანმა პოეტმა თეიმურაზმა თავისი დედის ნეშტი მეფური პატივით დაფლა ალავერდის ტაძარში. რამდენიმე წლის შემდეგ მანვე მოიხადა თავისი პოეტური ვალი და შექმნა პოემა მისი ცხოვრების შესახებ.

ქართულმა მატიანემ ეს ქალი გამოაცხადა ნაციონალურ გმირად, ეკლესიამ კი ჩარიცხა უდიდეს მარტვილთა პანთეონში.

ქართულმა ლიტერატურამაც საკმარისად აღნიშნა მისი სახელი. უდიდესმა ქართველმა მწერალმა სულხან-საბა ორბელიანმა პოეტური სტრიქონები უძღვნა მის ხსოვნას, შემდეგი დროის პიიტიკოსებმა შესთხზეს ჰიმნები მის სადიდებლად, რიტორებმა და სქოლასტებმა დასწერეს წიგნები.

დაბოლოს ქართული პოეზიის ისტორიას შერჩა ერთი ელეგიური ლექსი, ცნობილი ქეთევანის „ფისტიკაურად“.

საქართველოს პოლიტიკური ისტორია მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში, როდესაც ცხოვრობდა ქეთევანი, აღსავსეა მღელვარე და ტრაღიკული ამბებით. ყველაზე მეტად ეს უნდა ითქვას ქართლისა და კახეთის სამეფოების შესახებ.

„ქართლის ცხოვრება“, სიგელ-გუჯრები, მატერიალური კულტურის ძეგლები და ჩვენი ძველი მწერლობა მწუხარედ მოგვითხრობენ ამ დროის საზარელ ეპოპეიას. განსაკუთრებული მხატვრული სიმძაფრით ის მოცემულია არჩილ მეფის პოემა „თეიმურაზიანში“, სადაც მთავარ გმირებათ გვევლინებიან ჩვენს ისტორიაში კარგად ცნობილი პირები: თეიმურაზ პირველი, შაჰ-აბაზი, ლუარსაბ

მეფე, ქეთევან დედოფალი, გიორგი სააკაძე, ნუგზარ ერისთავი და სხვები.

ქეთევან დედოფლის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი, განსაკუთრებით მისი მოწამებრივი აღსასრული ირანის ტყვეობაში, შეადგენს ამ სისხლიანი ეპოქის მეტად დამახასიათებელ ეპიზოდს.

ქეთევანი იყო ქართლის ფეოდალის, აშოთან მუხრანბატონის ასული. დაიბადა 1575 წელს. თოთხმეტი წლისა, 1589 წელს, იგი მიათხოვეს კახეთის მეფის ალექსანდრეს უფროს ვაჟს, დავითს. ეს ის დავითია, რომელმაც 1603 წელს მამა ტახტიდან გადმოაგდო, დაატყვევა და თითონ გამეფდა. მაგრამ მას დიდხანს აღარ უცოცხლია, — ექვსი თვის შემდეგ გარდაიცვალა.

1605 წელს კახეთის სამეფო ტახტზე ადის დავითის უფროსი ვაჟი, თეიმურაზ პირველი. ეს არის პერიოდი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური დაქვეითების, ფეოდალების თვითნებობის და ხალხის უსაშინელეს ექსპლოატაციისა; მმართველი წოდების და სახელმწიფოს მესვეურთა პოლიტიკური სიბეცის წყალობით ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოს საგარეო ურთიერთობა უძლიერეს ირანის სახელმწიფოსთან უაღრესად გამწვავებული იყო. ამის შედეგს წარმოადგენდა რამდენიმე შემოსევა ირანის ჯარებისა საქართველოში, ქვეყნის მორბევა და აოხრება.

1614 წელს, შაჰ-აბაზის კახეთში შემოსვლის დროს, ქეთევანი თავისი ორი შვილიშვილით, თეიმურაზის ვაჟებით, ალექსანდრეთი და ლევანით, წაყვანილ იქნა მძევლად ჯერ განჯას, შემდეგ ირანში. ამ ტყვეობიდან იგი აღარ დაბრუნებულა სამშობლოში, სადაც დიდი

უბედურება დატრიალდა ამ დროს: შაჰ-აბაზმა კახეთიდან აჰყარა 60.000 ოჯახი და გადაასახლა ირანში.

ქეთევანმა ტყვეობაში დაჰყო 10 წელიწადს. 1624 წ. 14 სექტემბერს შაჰის ბრძანებით იგი წამებით იქნა მოკლული შირაზში, ჰაფიზის სამშობლო ქალაქში.

ქეთევანის ტრაგიული აღსასრული, როგორც აღვნიშნეთ, აწერილი აქვს პირველად ქართულ პოეზიაში თეიმურაზს. ეს პოემა, რომელსაც ეწოდება „წიგნი და წამება ქეთევან დედოფლისა“ [1], დაწერილია 1629—1634 წლებს შორის [2].

თეიმურაზი დაწვრილებით აგვიწერს ქეთევანის თავგადასავალს. „ამან თეიმურაზ მეფემან, ძემან მისმან, წამება და ღვაწლი დედისა თვისისა დალექსა პირად-პირად ჰამბავთა მისთანი“-ო,—შენიშნავს გადამწერელი [3]. განსაკუთრებით შემზარავი ნატურალიზმით გადმოგვცემს თეიმურაზი წამების მომენტს, სადაც აღწერილია ჯალათების მიერ წარმოებული ყველა მანიპულიაცია:

„მერმე გაუბეს ხელფეხი,
გაძაბეს განამაჯები,
გაზით დაგლიჯეს ძუძუნი,
დასდევეს მხურვალე საჯები,
ბარები შუბლსა შემოსდევეს,
ყველა ქმნეს მათი აჯები...

[1] წ. კ. № 1511. გვ. 655—674. „წამება ქეთევან დედოფლისა“ დაიბეჭდა ია ეკალაძის „ანთოლოგიაში“ ტ. 2, გვ. 34-41, ტფ. 1928 წ. ამ წიგნის რედაქტორს ალ. ბარამიძეს გამოქვეყნებულ ტექსტისათვის საფუძვლად ჰქონია ხელნაწერები წ. კ. № 342 და სიძველეთა № 1635, ნაწილობრივ წ. კ. № 1511 (იხ. „ანთოლოგია“, გვ. 7).

[2] კ. კეკელიძე, „ქართ. ლიტ. ისტ.“ ტ. 2, გვ. 332.

[3] წ. კ. № 1511. გვ. 655.

ქვეშ დაუფინეს, დახურეს
ზედან ლურსმნისა რკინანი,
ქვე ჩაიარეს, გააპეს
ბროლი, ლალი და მინანი,
სხვა წამოასხეს, დაჰყარეს
ხორცთაგან ტყავნი წინანი"...

ძველ ქართულ ლიტერატურაში მეტად მიმზიდველ თემად გამხდარა ქეთევანის ცხოვრება. მისი წამება, როგორც აღვნიშნეთ, აუწერია სულხან-საბა ორბელიანს[1] იგივე თემა გამოუყენებიათ აგრეთვე თეიმურაზის მიმბაძველ მელექსეებს: მღვდელ-მონაზონ კოზმანს, ლეკების მიერ 1715 წ. მოკლულს, და იესე მეფის შვილიშვილს, ემიგრანტ მწერალს დიმიტრი ბაგრატიონს, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა მე-18 ს. გასულს, და მე-19 ს. დასაწყისში[2].

[1] სამი ტაეპი ამ ავტორისა გადამწერს ჩაურთავს თეიმურაზის პოემაში (წ. კ. № 1511, გვ. 669, ამის შეხახებ: კ. კეკელიძე, ტ. II, გვ. 33.). მოგვყავს სულხან ორბელიანის რამდენიმე სტრიქონი:

„მოჰკაზმიდენ შვენიერად,
შეუქმოდენ ფისსა ზილფად,
ცხელს შამფურსა ქინძისთავად,
საოლავად, გინდა ჩქიფად...
ცხელსა ქვაბსა თავს გვირგვინად,
საყურებად ნაკვერცხალსა,
ყამჩად ბარსა, საყბეურად
მხურვალესა ნალს ახალსა..."

[2] კ. კეკელიძე, ტ. II, გვ. 332; ტ. I, გვ. 434. დიმიტრი ბაგრატიონის მიერ გალექსილი ქეთევანის წამება (ფრაგმენტები შენახულა სიძვ. ხელნაწ. № 704) დაიბეჭდა პეტერბურგში, 1822 წელს, ცალკე წიგნათ. ავტორი წიგნს უძღვნის ქეთევან ერეკლეს ასულს.

სასულიერო მწერლებსა და ჰიმნოგრაფებს შორის, რომლებმაც მიუძღვნეს ქეთევანს თავისი ნაწერები, აღსანიშნავი არიან: ნიკოლოზ ტფილელი[1], ანტონ პირველი კათალიკოზი[2], მღვდელ-მონაზონი გრიგოლ ვახვახისძე დოდორქელი[3]. ევროპელებიდან: ზემოდხსენებული გრიგოლ ორხინი,—რომიდან მოსული მისიონერი, რომელიც თანამედროვე იყო ქეთევანისა და 1624 წ. ირანში იმყოფებოდა[4].

ქეთევან დედოფლის ერთად-ერთი ელეგიური ლექსი, რომელიც შირაზს „პყრობილებაში მწუხარემან სთქვა ფისტიკაურად“, შეტანილია ხელნაწერ კრებულში, რომელიც 1821—1823 წლებში შეუდგენია და გადაუწერია დავით რექტორს[5].

არსებულ მასალებიდან არსადა სჩანს, რომ ქეთევანს, მაღალნიჭიერი და სახელგანთქმული პოეტის, თეიმურაზის დედას, სხვა ლექსებიც ეწეროს. ჩვენთვის ცნობილი ლექსის ტრადიციაც მოდის დავით რექტორის ხსენებულ კრებულიდან.

---

[1] კ. კეკელიძე, ტ. I, გვ. 368.

[2] საბინინი „საქართველოს სამოთხე“, გვ. 583—597, კ. კეკელიძე, ტ. I, გვ. 407.

[3] კ. კეკელიძე, ტ. I, გვ. 648.

[4] მ. თამარაშვილი, „ისტორ. კათოლიკ. საქართ.“, გვ. 87.

[5] ჭ, კ. № 1512. გვ. 25—26. კრებულის პირველი აღწერილობა მოცემული აქვს ე. თაყაიშვილს („Описание, т. II, стр. 200), იქვე მოყვანილია ქეთევანის ლექსიც მთლიანად.


ქეთევანის ფისტიკაური ლექსი დაწერილია „ანბანთ ქების“ სახით. ის დამახასიათებელია მე-17-18 საუკ. ქართული პოეტიკისათვის, როგორც ვერსიფიკატორული ვირტუოზობის ნიმუში[1].

---

[1] საგულისხმოა პლატონ იოსელიანის განმარტება სიტყვისა „ფისტიკაური“: „Название образовалось от греч. слова физика (природа). Предмет описания—произведение трех царств природы“. პლატონი ამ დარგის ნიმუშად ასახელებს ერთ ლექსს ქილილა-დამანიდან:

ბიბინოვანი, რომელიც ნახე, ერთი ყვავილიც არ დარჩომილა,
შემოდგომ,ს თრთვილს ყველა დაუძრავს, ზაფხულის მწვანე
სულ წარხდომილა“.

(იხ. Пл. Иоселиани—„Путевыя записки от Тифлиса до Мцхеты“. ტფილ. 1871 წ. გვ. 70).



ეროვნული ბიბლიოთეკა

ანბანთქება ფისტიკაური



მას ვსტირი ბნელსა მჯდომი,
გულთა მდუღრად დადაგული.
ესრეთ ვება ვის მოება,
ზედი-ზედა ცე დართული!
თვალნი ჩემნი ისრევ ირწყვის,
ქმარის მისგან ლამებული,
მიღად მოდის, ნაკადულად,
ოდეს ნახონ პკურებული.
ჟამნი ჩემნი გამოვწვლილე,
რამ როდესმე სული მეყოს,
ტყება ვიწყე შთვალავნი,
ფლობა მიჯობს ესრეთ მეყოს.
ძცევა სოფელს, წამს საყოფელს
ღიმილიცა გარდაჰმეყოს,
ჳველას ღმერთი განმიმარტებს
შიშთა მისთა ხელი მიმეყოს.
ჩამომება სვე უბედური,
ცრემლის დენა ძნელად შრება.
წყარო თვალთა, ჰმუნვით მყოფთა,
ხარბად დენით გარდმოჩქრება.
ჯორცნი ღაწვთა ჯავრმან დაწვნა,
წარხდეს ელვათა შვენიერება.
ჰაი, მომშორდა ლხინი და შვება,
ჭოი, წამიხდა სახიერება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძაკრიბე



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამი — მაკრინე

მარიამი-მაკრინე, ცნობილი პოეტი-ჰიმნოგრაფი, ცხოვრობდა მე-17-18 საუკუნეთა მიჯნაზე. ქართული საეკლესიო პოეზიისა და მწიგნობრობის ისტორიაში მას შესაფერი ადგილი უჭირავს, როგორც სასულიერო საგალობლების მეტად ნიჭიერ მწერალს, მწიგნობარსა და დახელოვნებულ მხატვარ-კალიგრაფს.

მარიამი იყო ასული კახეთის მეფის ერეკლე I-ის, ნაზარალიხანისა, რომლის უფროსი ვაჟი დავით-იმამყულიხანი მეფობდა კახეთის ტახტზე 1703—1722 წლებში. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს დავითი ცნობილია, როგორც ავტორი ფრიად საყურადღებო ძეგლის, „ღვთაების გუჯარი“-სა. ეს „ფილოსოფოსურითა შეწყო-

ბითისა სიტყვითა აღმოთქმული“ გუჯარი გვირგვინოსან ავტორს მიუბოძებია ღვთაების ტაძრისათვის 1722 წელს.

გუჯარი წარმოადგენს საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ ტრაქტატს, დაწერილს საუცხოვო ქართული ენით და ღრმა თეოლოგიური ერუდიციით[1]. დავითი მრავალმხრივ განათლებული კაცი ყოფილა, ადრე დაავადებულა და გარდაცვლილა ახალგაზრდა, 34 წლის ჰასაკში. „ქართლის ცხოვრება“ აღნიშნავს, რომ იმამყულიხანს „არა-რაჲ სწამდა ქრისტეანეთა, არამედ წიგნი და ენანი ქართულ-სპარსულნი უწყოდა წარჩინებულად“-ო [2].

მარიამი უმცროსი და იყო დავით იმამყულიხანისა. როგორც ჩანს, ისიც აღიზარდა უაღრესად კულტურულ ატმოსფეროში. ახალგაზრდა ქალი თავის განათლებულ გვირგვინოსან ძმის კარზე ალბად ადრევე გაეცნო საღვთო წერილს და ქართული და ირანული ლიტერატურის საუკეთესო ძეგლებს: ვეფხვის ტყაოსანს, ვისრამიანს, შაჰ-ნამეს; შეუძლებელია, რომ დავითის ოჯახში გამეფებული არ ყოფილიყო კულტი სახელოვანი პაპის-თეიმურაზ პირველისა. მისი პოემები და ლექსები, როგორც საუკეთესო ნიმუშები ქართული პოეტური მეტყველებისა, დიდად ხელს შეუწყობდნენ ოჯახის წევრთა პოეტური გემოვნებისა და მხატვრული კულტურის გამომუშავება-განვითარების საქმეს.

მარიამის შესახებ ძალიან მცირე ბიოგრაფიული ცნობებია შენახული. ვიცით, რომ იგი ცოლად ჰყავდა ერე-

---

[1] გამოცემულია ს. კაკაბაძის მიერ. იხ. „ისტორიული საბუთები“, წ. I.

[2] მ. ჯანაშვილი, „მგოსანი მეფე დავითი და მისი დაი მაკრინე“, გაზ. „საქართველო“, 1919 წ. № 94 — 95.

კლე პირველის სახლთუხუცესს ედიშერ ჩოლაყაშვილს, რომელიც დაიღუპა ლეკებთან ბრძოლაში 1714 — 1716 წლებს შორის[1]. ქმრის სიკვდილის შემდეგ მარიამი, თავისი ძმის დავითის ნებართვით, მონაზვნათ აღკვეცილა ალავერდის მონასტერში. 1716 წელს იგი უკვე იხსენიება „ბატონიშვილ მარიამ ყოფილის მაკრინეს“ სახელით[2].

მაკრინეს უმთავრეს ლიტერატურულ ნაშრომს წარმოადგენს იოსებ ალავერდელის სადიდებლად შედგენილი საგალობლები, რომლის ტექსტიც ქვემოდ ქვეყნდება პირველად. ამ ჰიმნებს ქართულ ეკლესიაში გალობდნენ და წარმოსთქვამდნენ ჩვენს დრომდე[3]. მხატვრული ენა, სახეები და შედარებები ამ საგალობლებისა მოწმობენ ავტორის საკმაოდ ძლიერ პოეტურ ნიჭს. სარწმუნოებრივი აღმაფრენით გატაცებული ენკრატისი პოეტი ერთ-ერთ საგალობელში ასეთი სიტყვებით მიმართავს ცამეტ სირიელ მამათაგანს, ალავერდის ტაძრის ფუძემდებელს აბბა-იოსებს:

„ქვეყანასა ამას მოიწიენით რა,
მოჰხენენით გულნი დაკორდებულნი
და დასთესეთ თესლი
ღმრთის მსახურებისა“...

---

[1] Д. П. Пурцеладзе, „Груз. церков. гуджары“, Тиф. 1881 г. стр. 15 — 16.

[2] სიძვ. ხელნაწ. № 379. იხ. აგრეთვე მ. ჯანაშვილი—„მაკრინე ბატონიშვილი,“ გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913 წლ. № 868. საყურადღებოა პლატონ იოსელიანის ცნობა. მისი სიტყვით „პართენი, პამფილიისა მიტროპოლიტი, ასწავებდა ბერძულსა ენასა მონაზონასა მაკრინას, ირაკლი პირველის ასულსა“. იგივე პართენი, სხვათაშორის, ბერძნულ ენას ასწავლიდა აგრეთვე ანტონ პირველს, კათალიკოზს (1714 — 1788). იხ. ანტონ პირველის „წყობილ სიტყვაობა“, ტფ. 1853 წ. გვ. VI, შენიშვ. 2.

[3] მ. ჯანაშვილი, „Алавердский собор“, „Вестник Груз. Экзархата“, 1914 г. № 23, стр. 695.

ეს საგალობლები თავისი პოეტური ღირსებით, სარწმუნოებრივი გრძნობის გამოხატვის სიძლიერით, იმდენად მოწონებული ყოფილა თავის დროზე, რომ ქართულ ეკლესიას იგი შეუტანია დიდს საწელიწადო კრებულში[1].

ორიოდე სიტყვით შევეხებით ქართული სასულიერო პოეზიის, კერძოდ ჰიმნოგრაფიის ისტორიას. ჰიმნოგრაფია სასულიერო პოეზიის ერთ უმთავრეს დარგთაგანს წარმოადგენს. კლერიკალური პოეტები და სასულიერო მწერლები სთხზავდნენ სპეციალურ ჰიმნებს საეკლესიო წმინდანების და დღესასწაულების სადიდებლად. ამ ჰიმნებს ეკლესიაში გალობდნენ, ამიტომაც ეწოდათ მათ საგალობლები.

ქართული ჰიმნოგრაფია მე-7 საუკუნიდან იწყება. თავდაპირველად იგი თარგმნილი იყო ბერძნულიდან. ქართულ ორიგინალურ ჰიმნოგრაფიას კი საფუძველი ეყრება უკვე მე-8 საუკუნ. გასულს. პირველი ავტორია იოვანე საბანისძე („ქებაჲ წმინდისა მოწამისა ჰაბოჲსი“). თავის განვითარების უმაღლეს სტადიას ქართული ჰიმნოგრაფია აღწევს მე-10 საუკ. მეორე ნახევარში. ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის გამოჩენილი ოსტატები არიან: იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი, მიქელ მოდრეკილი, ეზრა, იოვანე ქონქოზისძე, კურდანაჲ, სტეფანე ჭყონდიდელი სანანოსძე და სხვ.

მე-8-10 საუკუნოების ქართველ ჰიმნოგრაფთა ნაწარმოებნი უკვე შეკრებილია და გამოცემული[2].

---

[1] სიძვ. ხელნაწ. № 386, ფ. 78. იხ. А. Хаханов-Очерки, вып. 3, стр. 84 მაკრინეს აგრეთვე შეუდგენია საგალობლები იოანე ზედაზნელისა და „დაუჯდომელი“ წმ. ჰაბოჲსა.

[2] პ. ინგოროყვა, „ძველი ქართ. სასულიერო პოეზია“, წ. I, ტექსტები 8-10 ს. ს. ტფ. 1913 წ.

ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფია განსაკუთრებულად აყვავებულა XVII-XVIII საუკუნეებში. ამ პერიოდის სასულიერო პოეტების რიცხვს ეკუთვნიან: გრიგოლ ვახვახისძე დოდორქელი, — გარეჯელი მღვდელ-მონაზონი; მეფე ლევანი, ვახტანგ მე-6-ის მამა; ჩვენი პოეტი ქალი მაკრინე; იესე, ქსნის ერისთავი; ნიკოლოზ ტფილელი; გესარიონ და ანტონ კათალიკოზები და სხვ.[1].

მაკრინეს, როგორც ზემოდაც იყო აღნიშნული, ჩამოთვლილ სასულიერო მწერლებს შორის უკანასკნელი ადგილი არ სჭერია. მისი ჰიმნები თავის დროზე შემჩნეული და სათანადოთ დაფასებული ყოფილა.

გარდა საჰიმნოგრაფიო მუშაობისა, მაკრინეს დიდი სარედაქტორო შრომაც შეუსრულებია. 1714-1716 წლებში მისი რედაქციით გადაუწერიათ „თთუენი“[2], რომელიც შესდგება სამი დიდი ფოლიანტისაგან და შეიცავს 636 დიდ თაბახიან ფურცელს. გადამწერლები ყოფილან დიმიტრი მგალობლიშვილი და ზაქარია ჭილაიშვილი.

სამივე წიგნში თვეთა დასაწყისი სიტყვები ქარაგმიან ასომთავრულებით დაუწერია, მრავალ ადგილას კი თაღები და ფურცლის სამკაული ფერადი საღებავებით მოუხატავს და შეუმკია თვით მარიამს, — იგი ამ დროს ჯერ კიდევ არ ყოფილა მონაზვნად შემდგარი („მწერელი ასომთავრულისა ამის, ბატონიშვილი მარიამ, მოიხსენე წინაშე ღვთისა, რომელი დავშუერ თვით ხელითა ჩემითა“[3].

მარიამ-მაკრინეს კალამს ეკუთვნის აგრეთვე მისი ძმის, დავით იმამყულიხანის ზემოხსენებული საღვთისმეტყველო-

---

[1] კ. კეკელიძე, ტ. I, გვ. 636, 648.
[2] სიძვ. ხელნ. № 366,379, 380.
[3] სიძვ. ხელნ. № 366,379.

ფილოსოფიური ტრაქტატის — „ღვთაების გუჯრის“ უძველესი რედაქციაც[1]. ამ ტრაქტატის მეორე ნახევარი თვით მარიამის ხელით არის გადაწერილი. ამას ამოწმებს თითონ დავითი შემდეგი სიტყვებით: „ვინაიდგან ბუნებისა წესისამებრ გვამი ჩვენი სენმა შეიპყრა, ძნელმან და გრძელმან, ვიდრე ორ წლამდე სარეცელად მივრდომილმან დასა ჩვენსა საყვარელსა მარიამს, ნაწოდს მაკრინას, შემოუწოდე და ჩვენთან მახლობლად დავიახლე და ვარქვი“,—დავავალე ძეგლის მეორე ნახევარის გადაწერაო.

მარიამი გარდაცვლილა 1732 წელს[2].

მკვლევარებმა უკვე გასული საუკუნიდან მიაქციეს ყურადღება ჩვენს ბწერალ ქალს. პლატონ იოსელიანი ერთ ადგილას წერდა: „ხელთა მაქვს მაკრინეს მიერ დაწერილი ა) მოწოდება კახელებისადმი სარწმუნოების მტკიცედ დაცვის შესახებ და ბ) მისი დროის ისტორიული ნაწყვეტებიო“.

ეს თხზულებები შემდეგ ბევრი უძებნიათ, მაგრამ ვეღარ უპოვნიათ[3].

მაკრინეს შესახებ ცნობები შენახულა ძველ საეკლესიო წიგნებში, მინაწერების სახით. ეს წიგნები მაკრინეს შეუწირავს სხვადასხვა მონასტრისათვის. ასეთია მის მიერ ნინოწმინდის ეკლესიისათვის მიძღვნილი სახარება (დავით იმამყულიხანის მეფობის დროს) და მეორე—ნათლისმცემლის მონასტრისათვის შეწირული მაქსიმე აღმსარებლის წიგნი[4].

---

[1] მ. ჯანაშვილი, „Алавердский собор“.

[2] მ. ჯანაშვილი, გაზ. „საქართველო“, 1919 წ. №№ 94 - 95.

[3] „სახალხო გაზეთი“, 1913 წ. № 868.

[4] სიძვ. ხელნ. № 636, გვ. 4 - 5. წიგნი გადაწერილია 1728 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

ეჰა, ათორმეტნო მამანო, გონებითა და განზრახვითა შეერთებულნო, რომელნი აღგრძნა სულმან წმიდამან და მოგიძღვა ქვეყანასა ამას და მოიწიენით რა, მოჰხენენით გულნი დაკორდებულნი და დაჰსთესეთ თესლი ღვთის მსახურებისა, ჰოი, სავსენო მდიდრად სახარებისა მადლითა, კაცნო, ჭეშმარიტებისა მქადაგებელნო, მდინარენო სიბრძნისანო, ფრთენო ჯვარისანო, რომელთა მიერ ქრისტემან გამოგვიხსნა საცთურისაგან, რომელსა აქვს დიდი წყალობაჲ!

3

ეჰა, დიდებით დიდებულო და მამათა შორის წარჩინებულო, სამებისა წინამბრძოლო და ურწმუნოებისა დამამხობელო, სვეტო და სიმტკიცეო მართლისა სარწმუნოებისაო, ყოვლად სანატრელო მამაო, წმიდაო აბბა, რომელმან მოჰკალ განდგომილება სულისა მახვილითა, რომელ არს ენა შენი, ღვთივდაწერილო ფიცარო, ახლისა აღთქმისა ქრისტეს ღმერთისაგან გამოსახულო, სამკაულო ქვეყანისა კახეთისაო და განმანათლებელო დაბისა ალავერდისაო, სამწყსოისა შენისათვის ევედრე ღმერთსა, რომელსა აქუს დიდი წყალობაჲ!

4

ყოველი სასოება შენი დასდევ ცათა შინა და დაუტევე სოფელი და აღიღე ჯვარი, რომლისა მიერ მოქადულ იყავ შენ და მხართა ტვირთვითა წარმოიძღუანე, და მოიწიე სანახებსა ამას კახეთისასა და დაემკვიდრე ადგილსა ბნელსა და ფიცხელსა და იღვაწე სასოებითა მისითა და დაითმინენ მრავალნი განსაცდელნი, მამაო იოსებ, და მოგვანიჭებ კურნებასა და მეოხ ხარ სულთა ჩვენთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5

სორო ნაწილთა შენთა მდიდრად გვიწყაროებს ჩვენ კურნებასა სულთა და ხორცთა ჩვენთასა და რომელნიცა მას მოწლედ და სურვილით ამბორს უყოფენ, განიკურნებიან სნეულებათაგან; და მადლი დღითიდღე მოენიჭების მოსავთა შენთა და აწ შვილნი შენნი გამოზრდილნი, დაგვიფარენ ჩვენ ყოველთა განსაცდელთაგან და მეფესა ჩვენსა ძლევა მოჰმადლე მტერთა ზედა, რათა შენ მიერ განვთავისუფლდეთ ბრალთა ჩვენთაგან!

6

მოხედენ შენ, ღირსო მამაო, ყოვლად სანატრელო აბბა იოსებ, რომელი დაშვერ შრომითა კეთილითა და დაუმორჩილენ ხორცნი მოკვდავნი სულსა უკვდავსა და განსცვალენ ქვეყანისა ზეცისათა მათთვის კეთილთა და თანამკვიდრ ხარ ნეტარსა მას ცხოვრებასა, აწ მოვედინ დღეს მადლი შენი მედღესასწაულეთა შენთა ზედა, რათა ღირსად ვაქებდეთ დღესასწაულსა შენსა და ქებით აღვამაღლებდეთ სახსენებელსა შენსა, რათა ვჰპოვოთ შენ მიერ დიდი წყალობაჲ!

7

იხარებს დღეს დღესასწაულსა შენსა ერი ქართველთა და თაყვანისცემასა შეჰსწირვენ ღვთისა, რომელმან მოსცა ესევითარი მამაჲ მზრუნველი და მეოხი, და შეიცვენ ლარნაკთა შენთა და შენ მიერ მოიღებენ ღვთისაგან მდიდრად წყალობასა, ღირსო იოსებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

8

სამებისა ქადაგო და საკუთარო მონაო, რომელმან მისთვის ჰირნი და ღვაწლნი ფიცხელნი თავს ისხენ და განსცვალე სოფლისა ცუდი და ამაო დიდებაჲ წარუალისა მისთვის და წარმავალი ესე არა რად შეჰრაცხენ და იხარებ მარადის სიხარულითა უოხჭნოჲთა და იშვებ შვებითა გამოუთქმელითა და მეოხ ხარ სულთა ჩვენთათვის!

9

მამაო, წმიდაო იოსებ, იხარებს დღეს მონაზონთა გუნდი და განსცხრებიან მამათა დასნი დღესასწაულსა შენსა და შეგამკობენ ღირსებით და შესწირვენ უფლისა ქებასა, რომელი შეგეწია შენ ღვაწლსა მას შინა და მოდასე გქმნა და თანამოკარვე მათთანა და განსცხრებით ერთბამად. ამისათვის სახსენებელსა თქვენსა ვადიდებთ, რათა მოგვცეთ დიდი წყალობაჲ.

10

და უკვირდა იოსებს, ხედვიდა რა სასწაულთა ბუნებათა უაღრესთა და მიიღებდა გონებად ცვარსა მას სასწმისისასა, სახედ უთესლოდ მუცლადღებისა შენისა ღვთის მშობელო და მაყვალსა ცეცხლითა შეუწველსა და კვერთხსა არონისასა განედლებულსა. და ჰსწამებდა მართალი იგი მეცველი შენი და მღვდელთა ესრეთ უღადებდა, ქალწული ჰშობს და შემდეგად შობისა კვლავად ჰგიეს ქალწულად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

11

სიმხნით იღვაწე ღირსო ნეტარებისაო, აბბა იოსებ, რომელმანცა შრომანი და ჭირნი თვითო სახენი თავს ისხენ და შებმა უყავ ღვაწლსა ძნელსა და ფიცხელსა და იღვაწე ვიდრე სიკვდილამდე და განხვედ სოფლით ტვირთითა კეთილითა და იხარებ ცათა შინა, რომელი განგიმზადა ღმერთმან მოსაგებელად შრომათა შენთა და მარადის იღვწი ჩვენთვის, რომელნი შევამკობთ სახსენებელსა შენსა და თაყვანისვცემთ ნაწილთა შენთა!

12

ეტლთა მფლობელი ფარაო დაანთქა საკვირველთმომქმედმან კვერთხმან მოსესმან, რომელმან გამოსახა სახე ჯვარისა და განუპო ზღვა მეწამული და ისრაილნი იხსნნა განმავალად მეტყველნი გალობასა უფლისასა, რომელი დიდებით დიდებულ არს.!

შენ, ყოვლად ძლიერო ღმერთო და სიტყვაო, თანასწორო მამისაო, და სულო თანაარსო, სწორო ხელმწიფებითა და ძლიერებითა, შენ გევედრები, რათა მომცე სიტყვა ღირსი ქებისა, და შევამკო დღესასწაული მამისა ჩვენისა იოსებ აბბა ალავერდელისა!

მოვედინ აწ მადლი, ჰოი, მამაო წმიდაო იოსებ, და შემწე მექმენ მე, მადლი შენ, რათა მომცე მე სიტყვაჲ, ღირსი შესხმად და ქებად დღესასწაულსა შენსა, რათა შევამკო სახსენებელი შენი და ღირსებით ვადიდო გარდაცვალებაჲ შენი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

13

მოისწრაფე აწ მამაო, და დადეგინ განწყობილთა ამათ კრებულთა და შვილთა, მედღესასწაულეთა შენთა და ისმინე ვედრებაჲ ჩვენი, გვიხსნენ საბრხეთაგან ეშმაკისათა, რომელნი გვბრძვანან ჩვენ და ხელი შეწევნისა აღგვიპყარ სანატრელო!

14

საქმეთა და გულისთქმათა ბოროტთაგან უჯეროდ შევიგინე და სულით და ხორცით შთავვარდი სიღრმედ წარწყმედისად, და ჭირთა და განსაცდელთაგან განილია ცხოვრება ჩემი. ამისათვის გევედრები ქალწულო შემიწყალე და მიხსენ, რათა გიგალობდე შენ!

15

მოკვეთილი ჰკვეთს მეწამულსა და ღელვათა მზრდელი ზღვისა განხმების სიღრმე იგი უჭურველისათვის სავალ, და ჭურვილსა საფლავქმნილი. ხოლო გალობა საღმრთო იღაღადებოდენ დღეს, დიდებულ არს დიდებით, ქრისტე ღმერთი ჩვენი ცხოველი!

16

მორჩილ იქმენ უფლისა ღვთისა სამღთოთა ცხოვრებითა, მამაო იოსებ, და მარადის შეაყავ თავი შენი უღელსა ტკბილსა და მას მხოლოსა გალობით უგალობედ, რომელი დიდებულ არს დიდებით, ქრისტე ღმერთი ჩვენი ცხოველი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

17

აღიღე ჯვარი, ტვირთვად მამაო და მას ზედა ჯვარცმულსა ქრისტესა ღმერთსა შეუდეგ და მისდევდი მას და მარადის მისსა ზრახევდი და ესრეთ უღაღადებდ, რომელ დიდებულ არს დიდებით, ქრისტე ღმერთი ჩვენი ცხოველი!

18

კვართი მადლისა ზეცით შეგმოსა მეუფემან და შემოქმედმან შენმან და მნათობად დიდად გაჩინა შენ, შორის მამათა და მონაზონთა და მათ თანა მოხარული განჰსცხრები და ესრეთ უღაღადებ ძლევისა გალობითა ქრისტესა ღმერთსა!

19

რაჟამს ღმერთი გამოჩნდეს ზეცით დიდებით და ყოველი დაბადებული წარდგეს წინაშე მისსა,—მაშინ შემიწყალე, დედაო ღვთისაო, და მომეც მოტევება ბრალთა ჩემთა და მიხსენ ცეცხლისა მის, საუკუნოდ მტანჯველისაგან!

20

შენ, დამამყარებელო კამარათა ცისათაო, უფალო და აღმაშენებელო ეკკლესიათაო, დამამტკიცენ ჩვენ, სიყვარულსა შენსა, თავო ყოვლისა სიხარულისაო და განმაძლიერებელო მორწმუნეთაო, მხოლოდ კაცთმოყვარე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

21

ათორმეტ ძალნო ებანნო, ათორმეტნო მამანო, ათორმეტთა მათ მოციქულთა მიმსგავსებულნო, რომელთა, მსგავსად მათსა, განჰფინენით ბადენი მოძღვრებისანი და მოინადირეთ პირმეტყველნი თევზნი, სამჭედურითა სიბრძნისა თქვენისა და მიუძღვანენით ქრისტესა!

22

შენ გიძნობენ მეფენი და გადიდებენ მთავარნი და ყოველი ერი, ღირსად პატივს გცემენ და შეამკობენ გარდაცვალებასა მას შენსა, რომელი აღიწიე კამარათა ზეცისათა და მუნით მფარველ ხარ ყოველთა შენდა შევედრებულთა, ყოვლად ქებულო!

23

მსოფლიოთა შფოთთაგან და ცუდთა დიდებათა თავი შენი განაშორე და აღიღე შური დიდისა ანტონისა და მისდევდი კვალსა წმიდათა მამათასა და მარტოებით დაეყუდე ადგილსა ძნელსა და ფიცხელსა და ღმერთი მხოლოჲ გაქვნდა თანამზრახველად!

24

ზესთა კაცობრიეთა მათ ჰსჯულთა მუცლადიღე ქალწულო, წინა საუკუნეთა სრული ღვთაებითა, ახლად ყრმად გვიშევ ჩვენ ჰსჯულისმდებელი მხოლო სახიერი და დაცემულთა ყოველთა აღდგომა, ღვთისა დედაო, კურთხეულო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

25

არსთა მფლობელმან და შემომქმედმან ღმერთმან შექმნულთა, უვნებლად დაგლახაკენ რა შეაყავ თავი, და პასექსა რომელი გეგულვა სიკვდიდ, თვით თავი თვისი იმღვდელმოქმედე, ჰსჭამეთ მხმობელმან ხორცი ჩემი და სარწმუნოებით განმტკიცდით!

26

იქმენ მამაო, სანთელ ყოვლად ბრწყინვალე ბნელისა მყოფთა შორის და განანათლე ქვეყანაჲ კახეთისა და განამრავლენ შვილნი ემბაზისანი, მადიდებლად მეუფისა ღვთისა და სასოდ ყოველთა მორწმუნეთა, ამისთვის გნატრით ყოვლად ქებულო!

27

ნაკადულითა ცრემლთა შენთათა მარადის ილტობოდი, მამაო იოსებ, და მიიწიე სიხარულსა საუკუნესა და წარუალსა, და მეოხ ხარ შენ ჩვენ ყოველთათვის, რომელნი ვადიდებთ სახსენებელსა შენსა, მდიდრად განათლებულსა!

28

არა ეც ძილი თვალთა შენთა, მამაო და არცა განსვენება წამთა შენთა, ამისთვისცა იქმენ შენ სავანე სულისა ყოვლად წმინდისა და განისვენა შენზედა მარადის მადლმან ღვთისამან მოფენილმან და იხარებ წინაშე ღვთისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

29

შენ გიგალობენ ხერუვიმ-სერაფიმნი, რომელმან დაიტიე სიტყვა ღვთისა უხილავისა მუცელსა შენსა, ღვთისა დედაო, მადიდებელნი შენნი გვაცხოვნენ და გვიხსნენ მტერთა უხილავთაგან ძრწოლით მადიდებელნი შენნი!

30

იხარებდ, შუამდინარეო, აღმოცენებისა მისისათვის, და განცხრებოდე ქვეყანაო კახეთისაო, შენ შორის დამკვიდრებისათვის და უფროსად იშვებდინ დაბაო ალავერდო, შენთანა მკვიდრობითა, რომელი მარადის ირწყვებოდი ცრემლთა მიერ მისთა. და აწ გვამი მისი მდებარე არს შენს შორის და მდიდრად აღმოაცენებს კურნებასა სულთა და ხორცთასა და იქმს სასწაულთა მრავალთა, რომელნი სარწმუნოებით შეეხებიან სამარხოთა მისთა.

31

შენ ხარ ქრისტე ღმერთი ჩემი, შენ ხარ ძალი ჩემი, შენ ხარ უფალი ჩემი და სიქადული ცხოვრებისა ჩემისა, რომელმან არა დაუტევენ წიაღნი მამისანი და გამოუჩნდი სიმდაბლესა ჩემსა. ამისთვისცა წინასწარმეტყველისა ამბაკომისთანა ვიტყოდეთ: ძალსა შენსა დიდება, კაცთმოყვარე!

32

ღმერთი, რომელი არა დაუტევებს მეძიებელთა მისთა, არა დაგიტევა შენ და არცა დაივიწყნა შრომანი შენნი და განადიდა სამკვიდრებელი შენი, აღავსო კრებულითა სულიერითა პატივად შენდა და განამრავლნა შვილნი შენნი, შენ მიერ ღვწილნი შემწედ, ყოვლისა სოფლისა დიდებულო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

33

დიდებულ არს დაბაჲ მცირე ალავერდი და მეფენი სასოებითა შენითა სამარხოდ თვისად შემზადებენ, რათა შენთანა გვამთა მათთა დიდებითა ჰპოვონ ბრწყალთა შენდობაჲ და შენითა შეწევნითა ღირს იქმნენ ცხოვრებასა საუკუნესა და ესრეთ იტყოდენ: ძალსა შენსა დიდება კაცთმოყვარე!

34

ვითა იგი ოდესმე ელისე მკვდარი აღადგინა, აგრეთვე მომკვდარმან აწ მეფეთა მოუგიე შენ აღმადგინებელად სულთა, მომკვდართა ცოდვისა მიერ და განმაცხოველებლად ესვენ ნაწილთა შენთა და მოისთვლებენ მადლსა კურნებათასა შენ მიერ, მამაო ღვაწლით შემოსილო, სადიდებელად ქრისტეს ღმერთისა ჩვენისა!

35

შენ გიხილა ამბაკომ, წინათვე მთად ჩრდილოდ, ღვთისმშობელო ქალწულო, რომლისაგან გამოვიდა ღმერთი მხოლო და ტანი შვენიერებითა თვისითა დაჰფარნა, ხოლო ქვეყანა ქებითა მისითა აღივსო, და სილაღეჲ ეშმაკთა დაამდაბლა და კაცთა ნათესავი აცხოვნა, ამისათვისცა გიგალობთ კურთხეულო!

36

წინასწარმეტყველმან, პირველ მხილველმან საიდუმლოჲსა შენისა, სიმაღლესა ქრისტემ ხმაჰყო. წინასწარ დაჰსდევ წყალობით შეყვარება მტკიცე მამაო და ძე შენი მხოლოდშობილი, მოეც ძეთა კაცთა, მომტევებელად ცოდვათა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

37

ეკკლესიისა სამყაროისა შინა ჰბრწყინავ ნეტარ, ვითარცა ნათელი და მზის თვალი ნათლისა, მაქებელთა შენთა სულთა განანათლებ, ნეტარო მამაო ღირსო აბბა იოსებ, გვიოხენ წინაშე სამებისა!

38

მარხვითა ფრიადითა და ღამისთევითა მოუკლებელითა და ლოცვითა მხურვალითა, ღირსო მამაო იოსებ, და ცრემლითა დაუცალებელითა, დაიმკვიდრე სასუფეველი და იხარებ მას შინა გამოუთქმელად!

39

საღმრთო ნათელი სამებისა შეიწყნარე, ნეტარო მამაო იოსებ, შინაგან გულისა, და არა სადა მიხედენ სოფლისა ამის შვებასა, ამისთვისცა ანგელოზთა თანა იხარებ, მეოხ ხარ ყოვლისა სოფლისათვის!

40

ხრწნილებასა ზესთა ექმენ, ჰოი, დედოფალო ყოვლად წმინდაო, განხრწნილი ესე ცოდვათა სიმრავლითა და ბრალთა ტვირთთაგან თავისუფალმყავ და ღირსმყავ ხილვად დიდებისა შენისა, რათა გაქებდე საგალობელო!

41

ნუ სადა განმიშორებ პირისაგან შენისა, ნათელო წარუალო, და დამფარა მე ბნელმან წყვდიადისამან განუნათლებელმან, არამედ მომხედენ და ნათელსა მცნებათა შენთასა წარმართე სლვაჲ ჩემი, გევედრები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

42

ბრწყინავს სახსენებელი შენი, მამაო და შეიმკვების დღესასწაული შენი შრომათა შენთა მიერ, რომელი მარადის შვრებოდი ჟამითი ჟამად და აღასრულენ ფიცხელნი ღვაწლნი, სასოებითა მერმეთა კეთილთათა!

43

ვითა ანგელოსი სცხოვნდებოდა ქვეყანასა ზედა და მოკვდავთა ხორცთა შინა უხორცოთა ცხოვრება აღასრულე და აღიწიე თავსა მას სრულებათსა, ჰოი, ნეტარო მამაო იოსებ, ღირსო მამაო ჩვენო!

44

დაამორჩილენ ნივთნი ესე უნივთოსა მას და განშიშვლებულმან სოფლით, აღასრულენ შენ დღენნი შენნი ყინელთა ფიცხელთა მიერ თავსდებმან და სიცხეთა მძაფრთა მოთმინებითა, ამისთვისცა სამართლად მოიგე უკვდავი ცხოვრება!

45

სული ჩემი სნეული მოხილვითა შენითა განკურნე, დედოფალო, და აწ სინანულისა ნათლითა წყვდიადი ვნებათა ჩემთა განსდევნე უძლურისა გულისა ჩემისაგან, წმიდაო ქალწულო, კურთხეულო, საგალობელო!

46

შენდა აღვიმსთობ, რომელმან წყალობით მიეც სული შენი დაცემულთათვის ცოდვილთა და ნებსით ვნებად გარდმოჰხედ სიტყვა ღვთისა, შვიდობა შენი მომეც ჩვენ, ვითა კაცთმოყვარე ხარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

47

მრავალ სახედ რა იღვაწე მამაო და განაბნიენ შენ მთავრობანი ყოვლად ბოროტნი და საძაგელნი, ბილწნი და სახელხენეშნი და იხარებ ცათა შინა, ნეტარო ღირსო იოსებ!

48

ექმენ შემწე და მეოხ ჭირვეულთა და მფარველ ყოველთა მორწმუნეთა, და რომელნი ღირსად გხადიან შენ, გარე წარხადენ ღელვანი და საცთურნი სოფლისანი და იხსნენ განსაცდელთაგან!

49

ლამპრად ელვარედ სულისა შენისა მოიგე სიწმიდეჲ, და წყაროითა მით ცრემლთა შენთათა შეაცვრე ცვდი სულთა მათ უნაყოფოთა, ცოდვისა ბრალთა გვალვითა მორწყევდი განხმელთა გულთა.

50

იხარებდი, ღირსო მშობელო ღვთისაო, ქალწულო, რამეთუ შენგან უთესლოდ განხორციელდა სიტყვა ღვთისა და გვიშევ გამოუთქმელად, ამისთვის ჩვენ, მორწმუნენი, დაუცხრომელად გადიდებთ!

51

ვედრებასა ჩემსა განვფენ უფლისა მიმართ და მას აღუარებ ბრალთა ჩემთა, რამეთუ ბოროტითა აღივსო სული ჩემი და სიმტკიცე ჩემი ჯოჯოხეთად მიიწია და იონასებრ ვღაღადებ, — აღმომიყვანე მე, ღმერთო ჩემო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

52

არა მოიგე მამაო, ოქრო, გინა ვეცხლი, არცა გსურდა სიმდიდრისათვის, არამედ ნაგევად შეჰრაცხე წუთი ესე დიდებაჲ, ამისთვისცა გადიდა მეუფემან უცვალებელსა მას დიდებასა და მარადის-ჰხედავ ბრწყინვალებასა მას უცვალებელსა!

53

ცრემლით ჰსთესე შენ მოღვაწება და მჭელეული ასეულად შეუკრიბე თავსა შენსა, ღამე და დღე, მღვიძარებით განჰკაფენ ხორცნი და ნაცვლად მისა იხარებ ცათა შინა მამაო, ღირსო იოსებ, და კადნიერება გაქვს წინაშე ღვთისა!

54

ორნატი სულისა წარმართებულად გაქვნდა, მამაო, და ერქვანთა პყრობითა არა უკუნ ჰხედევდ, აბბა იოსებ, არამედ წინასა განიცდიდ სასოებითა კეთილითა, ამისთვისცა განამრავლე ნაყოფი იგი კეთილი და შეჰკრიბე ცათა შინა წარუპარველად!

55

ვითარცა რა ვარდი და შროშანი სუნნელი და მირონი მრავალსასყიდლისა მთათა შინა და ღელეთა მსოფლიოთა, გამოგირჩია შენ მხსნელმან და დაემკვიდრა შენ შორის და იშვა რა, სუნნელებითა აღავსო ყოველი სოფელი, დედოფალო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

56

მუცლად იღო იონა ვეშაპმან და არა განხრწნა მან იგი, რამეთუ მით მოასწავა სახე სამ დღე დაფლვისა შენისა, რომელმანცა დაფლვა თავსიდევ ჩვენთვის სახიერ; და ეტყოდა იგი მცველთა მათ: ჰოი, ცრუნო, წყალო თქვენი დაუტევენით დღეს!

57

შრომანი და ღვაწლნი მრავალნი თავს ისხენ მეუფისა შენისა სიყვარულითა და აღარა ჰრიდე ღვაწლსა ძლიერსა, ნეტარო მამაო იოსებ, ამისთვის თავსა სრულებათასა მიიწიე, ღირსო, და დაემკვიდრე შენ ზეცისა საღრმთოსა ნეტარებასა!

58

ერთგულ მონა იქმენ ღმრთისა და ერთგუნდ ანგელოსთა ბანაკთა და მათ თანავე უგალობ განმხიარულებული მეუფესა: წმიდა არს, მამა ძისა თანა სულით წმიდითურთ, რომელსა უგალობ და აღვმაღლებ მას დაუცხრომელად უკუნისამდე!

59

ნათლად ბრწყინვალედ და განმანათლებლად დაბნელებულთა და მარილად, წარმდევნელად სიმპალესა ცოდვისასა, გაჩინა მეუფემან. ამისთვის გნატრით შენ, მამაო იოსებ, იღვაწე დღეს ჩვენთვის და წარსდევნე ჩვენგან ცოდვისა მწარე ბნელი წყვდიადი.

60

იესეს ძირით აღმოცენებულო, სანატრელო ქალწულო მარიამ, მშობელო მეუფისაო, ჩემი ესე ვედრება შეიწირე და მომეც წყალობა, რათა მარადის გადიდებდე, ჰოი, კურთხეულო, და თაყვანის ვსცემდე შენგან შობილსა!

61

წარუვალისა დიდებისა სუფევა შეიყვარე, მამაო იოსებ, ამისთვის ქეყანასა ზედა ცხოვრებითა შენიერითა და ქცევითა საწადელითა იქცეოდი და იქმენ შეზავებულ, ვითა მარილითა სიყვარულისა ღვთისათა, ამისთვის გნატრით და გევედრებით, რათა გვიოხო წინაშე მეუფისა!

62

რომელმან ედემით ოდესმე გამოჰხადა მამა ჩვენი ურჩებით ნაყოფისა ჭამამან და მოატყუა სიკვდილი და მიწადვე მიქცევაჲ, ვინა იგი შეიმზადა ბუნება ჩვენი და აწ ნერგისა მიერ მისისა, რომელი აღყვავნა ეკკლესიისა შორის, რომლისა მიერ მოვიღეთ პირველსავე პატივსა აღსლვაჲ, ესე ჯვარი არს მიზეზი ცხოვრებისა ჩვენისა, რომლისა სურვილსა და სასოებასა შეჰმსჭვალე თავი შენი, მამაო იოსებ, და გაქვნდა წინამძღვრად ცხოვრებისა შენისა და მხართა იტვირთე, მსგავსად სიტყვისა უფლისა და შეუდეგ მას ზედა ჯვარცმულისა და მისითა მინდობითა მოიწიე და განანათლენ მართლმადიდებელნი, და მარადის იღვწი, რათა ღირსგვყვნე ჩვენ ყოველნი ზეცისა სასუფეველსა!

63

ყრმანი ებრაელნი სახმილსა შინა ვიდოდეს ცეცხლსა ზედა კადნიერებით და შეცვრეულნი ესრეთ ღაღადებდეს და იტყოდეს: კურთხეულ ხარ შენ უფალო, ღმერთო მამათა ჩვენთაო!

64

გვირგვინი ბრწყინვალე დაგადგა მეუფემან მარჯვენითა საუფლოჲთა და სერი უცხო შეგიმზადა შენ და შინაგან სასძლოსა დაგამკვიდრა და ჰხმობ მარადის: კურთხეულ ხარ შენ უფალო, ღმერთო მამათა ჩვენთაო!

65

მიიღე ძელი ცხოველი ქვეყანით შენით, ვითარ ფიცარი იგი ჰსჯულისა მოსე მთით, და მით მოქმედებდი სასწაულთა მრავალთა, ნეტარო იოსებ და ჰხმობდ მარადის: კურთხეულ ხარ შენ უფალო, ღმერთო მამათა ჩვენთაო!

66

აღპყრობასა თანა ჯვარისასა გამობრწყინდა ბრწყინვალე სახსენებელი შენი და მეფენი, მღვდელ-მთავართა თანა და ერნი მღვდელთა თანა და ყოველნი კრებულნი ერთბამად შეგასხმენ და ჰხმობენ: კურთხეულ არს ქრისტე ღმერთი, რომელმან ესრეთ გადიდა შენ!

67

განუშორებელი ძე მამისაგან და სულისა წმინდისა ხორცითა იშვა შენგან, ქალწულო ღვთის მშობელო, რომელსა უგალობთ და ვიტყვით: კურთხეულ ხარ შენ, მშობელო მეუფისა ცათასაო!

68

ჰოი, სასწაულო, რომელმან სახმილსა დაიცვნა სამნი ყრმანი შეუწველად, საფლავსა შინა მკვდრად უსულო იქმნა დღეს, მაცხოვრად ჩვენდა, რომელსა უღაღადებთ: ღმერთო, მხსნელო ჩვენო, კურთხეულ ხარ შენ!

69

შეიყვარე შენ სუფევა წარუვალი და არად შეჰრაცხენ წარმავალნი ესე არცა დიდება სოფლისა, ამისთვისცა იდიდე მრჩობლსა სოფელსა და კადნიერება დიდი მოგიგიეს წინაშე ღმრთისა!

70

ელვარებს დღეს სახსენებელი შენი, ვითარცა რა მთიები სამყაროსა და უფროს მზისა ბრწყინავს დღესასწაული ესე და შეიმკვების შენ მიერ; მეფენი და ერნი განათლდებიან მადლითა შენითა მამაო!

71

მფარველ გვექმენ ჩვენ, შვილთა შენთა, მამაო იოსებ, და ევედრე ჩვენთვის ღმერთსა, რათა გვიხსნნეს ჩვენ ყოველთა განსაცდელთაგან, სამწყსონი შენნი, რათა გადიდებდეთ შენ და აღგამაღლებდეთ უკუნისამდე!

72

ისმინე ჩვენი ვედრება, დედოფალო წმიდაო, და გვიხსნენ განსაცდელთაგან სულით და ხორცით, შენდა შევედრებულნო, რამეთუ შენსა გარეშე თვინიერ ღვთისა, არავინ ვიცით, ქალწულო კურთხეულო!



3. ალავერდობა

73

შვიდ წილ აღაგზნა სახმილი მძლავრმან ქალდეველთა-მან ყრმათათვის გულისწყრომით, რისხვითა ძალისა მაღლისათა, იხილნა უვნებლად დაცულნი ცეცხლისაგან განუხრწნელად, დამბადებელისა მიმართ და მხსნელისა ღაღადჰყო: აკურთხევდით, ყრმანი და მღვდელნი უგალობდით, ერნი უფროსად ამაღლებდით მას უკუნისამდე!

74

შეხვედ, მამაო წმინდაო, ნისლსა ღვთისმხილველობისასა და მის ძლით წარმართე ყოველი მოღვაწებაჲ და ქალწულება და სიწმიდე შეიტკბე და განზრახვა მაცთურისა მოაკვდინე შენ, ღირსო იოსებ, და მხოლო მხოლოსა ზრახევდი და ხმა ჰყავ: აკურთხევდით, ყრმანი და მღვდელნი უგალობდით, ერნი უფროსად, ამაღლებდით მას უკუნისამდე!

75

დიდებულ იქმნა პირი შენი, ვითარცა რა პირი მოსესი, და მარადის ღვთისა ხედვითა შეჰკრძალენ საგრძნობელნი შენნი, და თვალთა წინაშე გაქვნდა შიში ღვთისა და განათლდი მის მიერ და ხორცნი განჰკაფენ მოღვაწებითა, და ხმაჰყავ: აკურთხევდით, ყრმანი და მღვდელნი უგალობდით, ერნი უფროსად ამაღლებდით მას უკუნისამდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

76

სიყრმით შენითგან, მამაო, ღირსო იოსებ, აღასრულენ შენ ათნი მცნებანი და ცხრანი ნეტარებანი სრულებით, და გამოისახე შენ გონებასა შენსა წარუვალი დღე განკითხვისა და მარადის შიში ღვთისა და ხმა ჰყავ: აკურთხევდით, ყრმანი და მღვდელნი უგალობდით, ერნი უფროსად ამაღლებდით მას უკუნისამდე!...

77

ხორციელად გამოსახვითა და პირად პირადთა იგავითა და სახის მეტყველებითა და მოსწავებითა წინასწარმეტყველებდეს შობისა შენისათვის ღვთისმეტყველნი ზესთა ბუნებისა და საკვირველებისა, ამისთვის სიხარულით გიგალობთ, ღვთისა დედაო და ძესა შენსა აღვამაღლებთ უკუნისამდე!

78

ცა ვრცელი განცვიფრებულ არს და ძრწის საფუძველი ქვეყანისა დღეს შიშით, რამეთუ მაღალთა შინა მყოფი, შერაცხილ მკვდართა იქმნა და აწ კნინსა საფლავსა ესტუმრა, ყრმანი აკურთხევდით მას, მღვდელნი უგალობდით მას, ერნი უფროსად ამაღლებდით მას უკუნისამდე!

79

წარუპარველად გაქვნდა შენ საუნჯე სულისა შენისა და ხმილევდი მღვიძარედ სახმილავსა სიმდიდრისა შენისასა, ამისთვისცა მოიგე დიდებაჲ ზეცისა და ჰხმობდი: ყრმანი აკურთხევდით მას, მღვდელნი უგალობდით მას, ერნი უფროსად ამაღლებდით მას უკუნისამდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

80

ყოვლად სანატრელო მამაო იოსებ, დაემკვიდრე სენაკსა ბნელსა და იწროსა და ჟამნი ცხოვრებისა შენისანი ჭირით და რუდუნებით აღასრულენ და მოიწიე ვრცელსა განსვენებასა და ჰხმობდ მარადის ღმრთისა დაუცხრომელად, აკურთხევდით მას უკუნისამდე!

81

აღამაღლა მეუფემან წმინდა სახსენებელი შენი და გადიდა, ვითარცა ერთგული მონა და მსახური თვისი, და შეიყვარე იგი მხოლო და საკუთარ ექმენ და ჰხმობდი: ყრმანი აკურთხევდით მას, მღვდელნი უგალობდით მას, ერნი უფროსად ამაღლებდით მას უკუნისამდე!

82

ლმობიერად გევედრები, ისმინე ვედრება ჩემი და მომანიჭე წყალობა შენი, ღვთისა დედაო და ნუ მიმხდი პატიჟთა, მსგავსად საქმეთა ჩემთა და ნუცა მარცხვენ დღესა მას დიდსა, რათა ვხმობდე მარადის შენდამი და აღგამაღლებდე ქებით აწ და უკუნისამდე!

83

შენ, რომელი უქორწინებელ ხარ, დედაო უსძლოო, შენ, რომელმან უზესთაეს ბუნებათა ჰშევ დაუსაბამო, რომელ არს შემოქმედი ღმერთი ჰეშმარიტი, გალობითა დაუდუმებელითა გადიდებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

84

მარადის გაქვნდა შემწედ დედა ღვთისა ქალწული და მის მიერ მოიწიე ქვეყანასა კახეთისასა და განჰფინენ ქადაგება, ღირსო იოსებ, და განამრავლენ მორწმუნენი სწავლითა შენითა, მამაო!

85

მორჩილ იქმენ, მამაო, ცხოვრებასა შენსა და გონებითა განუშორებელ იყავ მამისა იოანესა, ამისთვისცა მოიგე გვირგვინი დაუჭნობელი და კადნიერად მეოხ ხარ მგალობელთა შენთათვის!

86

ერთი სამებისაგანი იშვა შენგან, ღვთის მშობელო, თანა მფლობელი მამისა და სულისა ყოვლად წმიდისა, ძე მხოლო ორითა ბუნებითა სრულითა, რომელსა გალობითა დაუდუმებელითა ვადიდებთ!

87

ნუ მტირ მე, დედაო, რაჟამს მიხილო მე, ძე შენი, რომელი მშევ უთესლოდ, საფლავსა დადებული, არამედ აწ აღვსდგე და აღვმაღლდე ზეცად ქებით, ვითარცა ღმერთ ვარ და ვიდიდო მე მათგან, რომელნიცა ჭეშმარიტად ღვთისმშობლად გხადიან!

88

ენა შენი, ყოვლად ბრძენო, საწერელ მწიგნობრისა ხელოვნისა იქმნა, ყოვლად ბრძენო იოსებ, და დაჰსწერენ გულთა, მორწმუნეთასა სწავლანი იგი ზეცისანი და ჰქადაგე ჭეშმარიტი სარწმუნოება და აღაორძინე ღვთისმსახურებაჲ სოფელსა შინა!

89

წყარო სიბრძნისა, მცენარე მადლისა იქმეხ, ღირსო იოსებ, და მორწყენ შენ, ქვეყანაჲ კაცთისა მოძღვრებითა შენითა და განამრავლე მართლმადიდებლობაჲ სოფელსა შინა და ნაყოფად კეთილად მიუძღვანე მეუფესა ძღვენი პატიოსანი!

90

აღამაღლა და ადიდა ღმერთმან ტაძარი ესე ყოვლად დიდებულისა წმინდისა მოწამისა გიორგისა, რომელსა შინა მდებარე არს პატიოსანი ნაწილი შენი და დღითი დღე, იხილვების მას შინა ნიშნი და სასწაულნი მრავალნი და ღმერთსა აქებენ!

91

ოდეს დიდებით მოვიდეს ძე შენი განსჯად ყოველთა, მას ჟამსა შემიწყალე, მონა და მოსავი შენი, დედაო მეუფისაო, დედოფალო ღვთისმშობელო, და ნუ მარცხვენ, მსგავსად საქმეთა ჩემთა, და მოწყალე მექმენ, ქალწულო კურთხეულო!


92

ნათელმან უსხეულომან განგანათლა შენ, ჰოი, ნეტარო იოსებ და აღმოგაბრწყინვა შუამდინარით და მოჰფინა შარავანდედი შენი ქვეყანასა ამას, ცოდვისა მიერ ბნელქმნილსა და უკუნი წყვდიადი ბნელისა წარსდევნა და შენ მიერ განათლებულთა ვიცანთ ღმერთი დაუსაბამო, სამგვამოვნებით თაყვანისცემული, და შენ მეოხგყოფთ წინაშე მისსა!


ეროვნული ბიბლიოთეკა

93

უბიწომან მოქალაქეობამან შენმან და სათნოდ ღვთისა ცხოვრებამან გადიდა უკვდავსა დიდებასა და აწ მეოხ-ხარ ყოველთა მორწმუნეთათვის, მამაო იოსებ!



ეროვნული
ბიბლიოთეკა



მანანა

ავით რექტორმა მრავალ დავიწყებულ სახელთან ერთად ქართული ლიტერატურის ისტორიას შეუნახა მანანას სახელიც.

ამ პოეტი ქალის ორი საკმაოდ მოზრდილი პოეტური ნაწარმოები: „შაირნი“ და „ციებასთან ბაასი“ დავითს შეუტანია თავის ცნობილ ანთოლოგიაში[1].

მანანას მიეწერება აგრეთვე: ორი ვარიანტი პატარა ლექსისა სანადირო ჩიტის მარჯვანის შესახებ („ესეც რაღაც ღარიბად თქმული“)[2], სახუმარო ლექსი კიბიდან

---

1 წ. კ. №1511 (გვ. 979 — 996) გადაწერილია 1821—23 წლ. შორის.

2 წ. კ. № 1511 გვ. 996 და წ. კ. №991/ა, გვ. 8.

გადმოვარდნის შესახებ („ცეცხლი მოედოს ფაშასა...“ და პორნოგრაფიული გაშაირება ახალციხელ მესტვირე კოტაშვილთან [2]. სხვადასხვა ხელნაწერებში აგრეთვე გვხდება, ფრაგმენტების სახით, ვარიანტები მანანას დიალოგისა ციებასთან [3].

მანანა ერეკლე მეორის თანამედროვე პოეტი უნდა იყოს. მისი შაირების დაწერის დროს ერეკლე მეფე „ჭარდაღისტანს ებრძვის ხმლით“. მანანა მოწმეა ერეკლეს სამხედრო ძლიერებისა. „შაირებში“ მანანა გვაძლევს მეფის გაზვიადებულს, მაგრამ მაინც საგულისხმო დახასიათებას:

„ჩვენი ხელმწიფე ერეკლე
ღვთისგან არის დიდებული,
მათ ზევით მათი მებრძოლე
მათგან არის შერისხული,
ცას ქვეშე კიდის კიდემდე,
მტერი ჰყავს დამონებული,
სხვა არა თქმულა ხელმწიფე
მისებრი გამარჯვებული.

---

1 წ. კ. №1107, ეს ხელნაწერი თხელს რვეულს წარმოადგენს. წინა გვერდზე უხის თარიღი — 1872 წ.; რვეული შესდგება 26 გვერდისაგან და შეიცავს მანანას „შაირებს“, „ციებასთან ბაასს“ და ცხრატაეპიან ლექსს მანანას კიბიდან გადმოვარდნის შესახებ. ხელნაწერს ბოლო გვერდზე ტექსტის ხელით გაკეთებული აქვს მინაწერი: „ეს წიგნი გახლავთ ვარინკო დაფქვიევისა (!), ვინც ითხოვოთ, პატრონსავე უბოძეთ“.

2 წ. კ. №3723, გვ 84.

3 წ. კ. №951/ა, გვ. 8; წ. კ. №3723, გვ. 433 — 434; წ. კ. № 1107.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—

ქრისტეანობის გულისთვის
საომრად დაიარება,
ღვთის ძლიერება თან დასდევს,
ყოველთვის მას ეხმარება.
აღუსრულდება წადილი,
კიდეც შეშვენის ბრძანება,
ორგული უარმყოფელი,
ღმერთმანი, დაემალება.

—

უძლიერესი მეფეა,
შემკული ყოვლის ფერითო,
წმინდა ევსტათი შეწყედ ჰყავს,
ჰარ-დაღისტანს ებრძვის ხმლითო,
სადაც რომ მტერი გაუჩნდა,
მან დაიმორჩილა ღმრთითო,
უფალმან განაძლიეროს
ძის ძითა და ასულითო...“

აღსანიშნავია, სხვათა შორის, კულტი ერეკლე მეორისა, რომელიც გამეფებული ყოფილა იმ დროინდელ არისტოკრატულ-ლიტერატურულ სფეროებში. აღტაცებული დამოკიდებულება ერეკლესადმი გამოსჭვივის, როგორც მანანას, ისე სხვა მის თანამედროვე პოეტ ქალების — სალომეს, მაიაგაბაშვილის და სხვათა შემოქმედებაში.

ყოველ შემთხვევაში, მანანას „შაირნი“ დაწერილია 1795 წლამდე, აღა-მაჰმად-ხანის მიერ ტფილისის აღებამდე. მანანასაგან დარჩენილი ლექსები მის ხანდაზმულობაში

უნდა იყოს შეთხზული. „შაირებში“ არა ერთხელ იმეორებს მანანა: „დაცემული ვარ ცოდვისგან, ყოველჟამ სიკვდილს მოველი“. საფიქრებელია, რომ მანანა მე-18 ს. პირველ ნახევარშია დაბადებული.

ერთ ლექსში — „მანანას კიბიდან გადმოვარდნა“-ში, იგი ასახელებს გეოგრაფიულ ადგილსაც - „და როცა ვინმემ შეიტყო, ძევერა შეიყარაო“. შეიძლება დავუშვათ, რომ მანანა სოფელ ძევერიდან იყო (გორის მახლობლად), სადაც ცხოვრობდენ ჯავახიშვილები და ზედგინიძეები[1].

მანანა წერს თექვსმეტმარცვლოვანი რუსთველური შაირით. მისი დამახასიათებელი თვისებებია ორიგინალური თემატიკის ძიება და სკეპტიკურ-ირონიული დამოკიდებულობა მოვლენებისა და ადამიანებისადმი.

მანანას „შაირნი“[2], რომელსაც ქვემოდ პირველად ვაქვეყნებთ, წარმოადგენს საკმაოდ მოზრდილ ნაწარმოებს, იგი შეიცავს 68 ტაეპს. პოემა გამსჭვალულია ქრისტიანულ-რელიგიური სულისკვეთებით: მე-18 ს. ქართული ფეოდალურ - არისტოკრატიული პოეზიისათვის საერთოდ დამახასიათებელია რელიგიურ-მისტიური განწყობილებები; განსაკუთრებული სიმძაფრით სარწმუნოებრივი პათოსი ახასიათებს რუსეთში გადახვეწილ ქართველ ემიგრანტების პოეზიას (არჩილი, ვახტანგ მე-6, მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი, დიმიტრი სააკაძე, დიმიტრი ბაგრატიონი, მამუკა გურამიშვილი და სხვა).

ქრისტიანულ-მისტიური სულისკვეთება ყველაზე უფრო მწვავე ექსპრესიით მოცემულია დ ა ვ ი თ გ უ რ ა მი-

---

1 ამ გარემოებაზე ყურადღება მიმაქცევინა პროფ. ნიკო კეცხოველმა.

2 წ. კ. №1511 გვ. 979—992.

შვილის ლირიკაში. დ. გურამიშვილს აქვს, სხვათა შორის, ლექსი: „თავისი ცოდვების მოგონება და სასინანულო სიტყვები“, სადაც პოეტი სჩივის თავის ცოდვილიანობაზე, კეთილი საქმის უქონლობით დამძიმებულ სულზე, მომავალ სამსჯავროს მოლოდინზე.

ანალოგიურია თავისი თემით მანანას „შაირნი“. ამ ნაწარმოებში მანანა მოსთქვამს, რომ იგი ცოდვილი დედაკაცია და ეშინია სამოთხის კარები დახურული არ აღმოჩნდეს მისთვის. მანანას არსება მოუცავს სინანულს.

„მე სული დავისნეულე,
დავბნელდი მწარის სენითო,
არასდროს კარგი არა ვთქვი,
მუდამ ღმერთს ვსცოდე ენითო“.

მანანა მარტოა გურამიშვილივით, ერთი ლექსიდან ვიგებთ, რომ მას ერთად-ერთი ქალი ჰყავს და ისიც სადღაც სხვაგან არის წასული:

„ამაღამ ვეღარ შეაწევს,
მოგვარეთ თავის ქალია“.

თავისი მარტოობის შესახებ მანანა არა ერთხელ შემოგვჩივის „შაირებში“ და „ციებასთან გაბაასებაში“.

„შაირნი“—ბიოგრაფიულ-რელიგიური ხასიათის ნაწარმოებია. იგი ამ მხრივ ემსგავსება სალომეს „სევდის წიგნს“. ასეთი სარწმუნოებრივი გრძნობით გამსჭვალული პოემები და ლექსები ძალიან პოპულარული და გავრცელებული იყო მე-18 საუკ. საქართველოში.

„შაირნი“ შეიცავს მანანას სასოებით აღსავსე მიმართვას ღვთისა, ქრისტესა და წმიდანებისადმი, უიმედობით გამსჭვალულ მონოლოგს თავის უპატრონობაზე, ევანგელიურ სუჟეტების თხრობას, სახოტბო შაირებს, მიძღვნილს ერეკლე მეორისადმი და სხვ.

უფრო დამახასიათებელია მანანას მეორე ნაწარმოები „მანანასაგან ციების ბაასი“. იგი წარმოადგენს სახუმარო დიალოგს, დაწერილია თექვსმეტმარცვლოვანი შაირით და შეიცავს შვიდ სიტყვა-პასუხს[1].

დიალოგურ ფორმას ჩვენს ძველ მწერლობაში ეწოდებოდა „გაბაასება“, ან „შედარება“. როგორც სალიტერატურო ჟანრი, დიალოგი ანუ გაბაასება ქართულ პოეზიაში შემოიტანა ირანულიდან თეიმურაზ პირველმა („ვარდბულბულიანი“ და „შამიფარვანიანი“).

თეიმურაზის შემდეგ დიალოგური ფორმით ისარგებლეს არჩილ მეფემ („გაბაასება კაცისა და სოფლისა“), თეიმურაზ მეორემ („სარკე თქმულთა“), დავით გურამიშვილმა (დიალოგები „სიკვდილისა და კაცის“, „კაცის და საწუთროსი“) და სხვებმა.

ქართულ პოეზიაში დიალოგს მეტად მძაფრი ხასიათი მისცა დავით გურამიშვილმა. ცინიზმამდე მისული ირონია, სკეპტიკური განწყობილება და იმავე დროს უაღრესად რელიგიური გრძნობა, დამახასიათებელია მისი შემოქმედებისათვის. ასეთივე მოტივები და განწყობილება ახასიათებს მანანას პოეტურ ნაწარმოებთ.

---

[1] იბეჭდება ქვემოდ წ. კ. № 1511-ის მიხედვით. „ციებასთან ბაასი“ დაიბეჭდა გაზეთ „ბახტრიონში“ № 14, 1922 წ. ალბათ წ. კ. № 951/ა, № 3723 და № 1107-ის ვარიანტების მიხედვით. ქვემოდ დაბეჭდილი ვარიანტი (წ. კ. № 1511), მანანას შემოქმედების შესახებ წერილთან ერთად პირველად გამოაქვეყნა ამ სტრიქონების ავტორმა 1927 წელს ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ № 5 (იხ. აგრეთვე მისივე „ვოლტერიანობა საქართველოში“ 1933 წ. გვ. 101) იგივე ვარიანტი გადაბეჭდილი იქნა ი. ეკალაძის რედაქციით გამოც. „ანთოლოგიაში“ 1928 წ. ტ. II გვ. 268—269.

სკეპსისი, განწირულების გრძნობა, პესიმისტურ-რელიგიური განწყობილება და ამავე დროს მძაფრი ირონია, ნიშნეულია მე-18 ს. დასასრულის ქართული ფეოდალური პოეზიისათვის. ეს განწყობილებები საკუთარი წოდებისა საუკხოვოდ გამოხატა მანანამაც.

მისი „ციებასთან გაბაასება“ წარმოადგენს არისტოკრატიული პოეზიის პატარა შედევრს, აღსავსეს ირონიით და მსუბუქი სალონური ხუმრობით.



მანანას თქმულნი შაირნი



ვა გარდახდა მცნებასა,
ჰამა ურჩების ხილია,
წაიღო, ადამს მიართო:
ნახე, როგორი ტკბილია!
ადამის მონათესავეთ,
ჩვენ გვყვა სიკვდილის შვილია,
ღმერთო, მათებრი წყალობა
ჩემზედაც მოიხილია.

იესო, ყოვლად მოწყალეო,
ჯვარს ცმულო ძეო ღვთისაო,
განრღვეულობის მკურნალო,
აღმდგინებელო მკვდრისაო,
ჯოჯოხეთისგან დამხსნელო
მრავალთა სულებისაო,
ღირს მყავ მარჯვენით დადგომად,
მსაჯულო სიმართლისაო.

ჩვენის ხსნისათვის რავდენი
სასჯელი მოითმინეო,
მართას და მარიამისა
რომ ცრემლნი შეიწირეო,
ოთხის დღის მკვდარი ლაზარე
საფლავით აღადგინეო,
ცოდვილი დედაკაცი ვარ,
ჩემიც რამ შეისმინეო.

ღმერთო, მიბოძე გონება,
პირს ჯვარი დამესახაო,
სიკვდილის ჟამი ვიგონო,
მუდამ ეს გამეზრახაო,
მე ნათლის ღების ბეჭედი
რომ წმინდად შემენახაო.
ეგეპის შენის წყალობით
სამოთხე დამენახაო.

მე სული დავისნეულე,
დავბნელდი მწარის სენითო,
არას დროს კარგი არა ვსთქვი,
მუდამ ღმერთს ვსცოდე ენითო,
პეტრე, პავლეე და ანდრიავ,
თქვენ ქრისტეს ევედრენითო,
ამ ჩემის მწარეს ცოდვისგან
თქვენ მაინც დამიხსენითო.

დაცემული ვარ ცოდვისგან,
ყოველ ჟამს სიკვდილს მოველი,
შემიხვეწიეთ ცოდვილი,
რაც წმიდანი ხართ ცხოველი,

წმიდანო, წინმდგომარენო,
მომეხმარენით ყოველი,
მითხოვეთ უფალს შენდობა,
ვარ წყალობისა მთხოველი.

ცოდვილის პირით ვედრება,
უფალო, შეისმინეო,
ნუ გამხდი საეშმაკოთა,
რადგან რომ გამაჩინეო,
ქალწულო, დედავ მღვთისაო,
ანნავ და იოკიმეო,
ქრისტესთან მომეხმარენით,
ლუკავ და ნიკოდიმეო.

ელიოზ კვართის მომტანი,
ურია იყო რაბანა,
ათორმეტ მოწაფეთა მათ
რომელმან ფერხი დაბანა,
მან მიხსნას დგომად დღისაგან,
მარჯვენით (?) თიკანთაგანა,
მარჯვენით ღირსი გამხადოს,
განმწმიდოს ცოდვისაგანა.

წმიდანო ანგელოსთ გუნდო,
ზეცა მორწმუნეთა მცველო,
იესო ქრისტევ, ძე ღვთისავ,
ცოდვილისა მწყალობელო,
ჯვარცმულო, სისხლდათხეულო,
ადამის და ევას მხსნელო,
მეც შემიწყალე ცოდვილი,
იოანე ღვთისმეტყველო!

ვეხვეწო წმიდას ღვთისმშობელს,
ის არის ჩემი მხსნელია,
ღვთისაგანა მაქვს იმედი,
ცოდვილის მწყალობელია,
მან თავისებრივ შერისხოს
ეშმაკი საშინელია,
გააგდოს თავის რისხვითა,
გახადოს ცარიელია.

ქალწულო, ჩემის სულისა
შენც იყავ მწყალობელია,
უბრძანე მიქელ-გაბრიელს,
ორთავ მომკიდონ ხელია,
უშიშრად გამაროინონ,
მარტო ვარ წასასვლელია,
მათ განმაშორონ გზაზედა
მავნე ჰაერის მცველია.

— აჩქარდი, სულო, ჩემთანა,
ხანი არ დაჰყავ გვიანი,
შენ ჩემი შეტკბობილი ხარ,
გონიერი და ჭკვიანი,
უშენოდ მე ვერ ვიცოცხლებ,
ნუ გინდა ჩემი ზიანი,
შენ წახვალ, ზეცას იხარებ,
მე კი შემჭამენ ჭიანი.

— მე შენსა გვამში დგომასა
არა ვარ მადრიელია,
სიყრმითგან დასასრულამდინ
შენ იყავ ჩემი მტერია,

რამდენსაც ცოდვას შევემთხვი
შენ მომიმართე ხელია,
აწ ცოდვით სავსე გამგზავნე
მადლისგან ცარიელია.

ნუღარას მეტყვი ტყუილსა,
გულსა ნუ ამიჩქარებო,
ასეთსა საქმეს მიპირებ,
სამკვიდროს გამიმწარებო,
მამყოფებ მწარეს ცოდვაში,
მადლსა არ მამაკარებო,
მე შენი გარდამკიდები
ზეცას რას გავიხარებო.

— სულო, მე ამას გემდური,
უდროოდ გამეყარეო,
რაც რომ აქამდინ მაამე,
ახლა სულ დამამწარეო,
წადი და შენის ხელითა
საფლავი გამითხარეო,
ჩამაგდე ქვესკნელს უფსკრულსა,
ზედ მიწა მამაყარეო.

— შენს გვამში აღარ დავჰსდგები,
ეს ჩემგან მოიხსენეო,
ძლივ ღმერთმა მიყო წყალობა,
მე ბნელი გავითენეო,
რა შენს სიყვარულს გავშორდი
პატარა მოვისვენეო,
პეტრე და პავლე, გევედრი,
სამოთხეს დამაყენეო.

— სულო, შე დაღონებულო,
მეც ბევრი მტრობა გიყავო,
სულ შენს მტრობაში ვაღამე,
მანამ ცოცხალი ვიყავო,
მარჯვენეს ავაზაკსავით
ღმერთო წყალობა მიყავო...

— სულო, დაგტანჯე ცოდვითა,
მანამდინ ვიყავ ქალია,
მე შენ არ მოგიგონებდი,
სხვაგან მეჭირა თვალია,
ამ უსამართლოს სიკვდილსა
ვერსად ვერ დავემალია.
მოვიდა, მომცა სალამი:
შენ ჩემი გმართებს ვალია!

არავინა მყავს პატრონი,
მწუხარეს მომიაროსა,
ვაი იმ დღესა ჩემთვისა—
სული ხორცს გაეყაროსა,
სამს დღეს რომ ვეგდო, მიწასა
არავინ მიმაბაროსა,
თუ უნდა მქონდეს ცხოვრება,
ვინ უნდა მომახმაროსა.

წმიდანი ანგელოზები
ზეცას მრავალი დგანანა,
ისრაელთ ერი განაძღეს,
იმათ აწვიმეს მანანა,

შენ გეუბედრები უფალსა,
თუ ჩემი ცოდვა მანანა,
ვინც წაიკითხოს, ასე თქვას:
ღმერთო აცხოვნე მანანა!

რომელი განხორციელდი
და ქვეყნად მოივლინეო,
მრავალი სული განჰკურნე,
ბრმას თვალი აღუხილეო.
რასაც რომ გევედრებოდე,
ისმინე, გამივლინეო,
მეზვერისაებრ წყალობა
ცოდვილს მეც მომივლინეო.

არ იქნა, უსჯულოებით
გული არ გამეწმიდაო,
სამებავ ერთარსებაო,
მამავ, ძევ, სულო წმიდაო!
ცოდვილი დედაკაცი ვარ,
თქვენგან წყალობა მინდაო,
შენც მომეხმარე შენს ძესთან,
ქალწულო, ყოვლად წმიდაო!

ყოვლად წმიდაო, მაველრე
იმ შენს საყვარელ ძესაო,
მოწყალება რამ მოიღოს
ჩემის სიკვდილის დღესაო,
ნუ დამანახვებს ეშმაკსა,
სატანას საძაგელსაო,
განმაშოროს და გამრიდოს
იმ ბნელსა გარესკნელსაო.

მე გეხვეწები თომასა,
ინდოეთისა ხუროსა.
ცოტა რამ მისი წყალობა,
მადლი მეც გარდმომხუროსა.
მარტოს სწორესა გზაზედა
ეშმაკს არ მამსახუროსა,
პეტრეს და პავლეს ხელთ მიმცეს,
კარი არ დამიხუროსა.

მოვვრიდები ცოდვასა,
ვა ეშმაკს ქასქანჯიელსა,
მაგრამ ვინ მომცემს ცხოვრებას
მე ოხერსა და ტიელსა,
კიდევ მაქვს ღვთისგან იმედი,
ვაქებ იესოს ძლიერსა,
ეგების მიყოს წყალობა,
როგორც რომ გზაზედ მშიერსა.

იესო ქრისტევ, მიბოძე
ეს მარხვა სინანულისა,
ლოცვაზედ ყურის დაპყრობა,
კეთილის სმენა ყურისა,
ცრემლით ლოცვა და ვედრება,
გამხურვალება გულისა,
გზა მაპოვნინე მართალი,
ცხოვრება ჩემის სულისა!

ვაიმე, ჩემი ცხოვრება
სულსა ვერ მოვახმარეო,
ვახარე წუთისოფელი,
სამკვიდრო გავიმწარეო,

მიშველე, მიქელ-გაბრიელ,
ქრისტესთან მომეხმარეო,
ეს ჩემი ცოდვილი სული
კეთილად მიიბარეო.

მიჯობდა დღეს აქამდინა
მე ჰკუა მომეხმარაო,
ამ სოფელს ხორცი მეტანჯა,
სულისთვის მომეარაო,
დასჯილო სულო, რა გიყო,
სიკვდილი მომეპარაო,
ამ სოფლის სიამოვნებამ
სულ ცუდათ ჩამიარაო.

დახე ჩემს სარწმუნოებას,—
ჯოხით უშენდი გლახასა,
სულ მუდამ სალმრთოს კაცისას
ვლაპარაკობდი ზრახვასა,
სნეული მძულდა მდებარე,
არ ვკადრულობდი ნახვასა,
კარგად გავეწყვე სიცრუვეს,
ცუდის შაირის ჩმახვასა.

წუთის სოფლისა საუნჯეს
და ცოდვას დავემონეო.
სალმრთოს წერილის ბრძანება
ერთი არ გავიგონეო,
სულ ხორცი ვანებიერე,
სული არ მოვიგონეო,
მიშველე, ყოვლად წმიდაო,
სხვა არსადა მაქვს ღონეო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარი ურწმუნოება
მე დამემართა რისაგან,
მოულბობელი გონება
უმაგრესი მაქვს ქვისაგან;
მტანჯველს ურიებს ლოცვიდა,—
მეც იმედი მაქვს ღვთისაგან,
ეგების მიხსნას ცოდვილი
ცეცხლისა უშრეტისაგან.

ქრისტეანობის ნიშანი
მეცა მაქვს ნათლისღებაო,
მაგრამ ჩემს შეცოდებასა
ბოლო არ მოეღებაო,
ნუ გამხდი უმოწყალეოდ,
სამებავ ერთარსებაო,
მეღირსოს თქვენის წყალობით
სამოთხის ფუფუნებაო.

ღმერთო, მაღირსე წყალობა
გამხადე მონანულია,
მე შენი ჯვარცმა ვიწამო,
შევიქნე მონანულია,
ეშმაკს არ დავამორჩილო
შენი ჩადგმული სულია,
დამიხსენ სატანჯველთაგან
ცოდვისგან შებღალულია.

ღმერთო, რაც გთხოვე, მიბოძე
ჩემის სიკვდილის დღისაო,
ცოდვილი დედაკაცი ვარ,
მეშინის ეშმაკისაო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგელოზები მიბოძე
კეთილი მშვიდობისაო,
მათ მოიტანონ საკრავი,
ქნარი ტკბილისა ხმისაო.

არა ვარ ღირსი, ცოდვილი,
ღირსი ამ წყალობისაო,
სულ გმობის მოლაპარაკე,
მოყვარე სიცრუისაო,
მე კიდევ მოიმედე ვარ
მრავალ მოწყალის ღვთისაო,
ეს არის მხსნელი სულისა
ჩემებრის ცოდვილისაო.

ღვთის სამსახურზედ, ლოცვაზედ,
მე თავი მოვიმძოვრეო,
ტყუილი ვილაპარაკე,
ერთი არა ვსთქვი სწორეო;
მიშველე ნათლისმცემელო,
ამ ცოდვას განმაშორეო,
შენც მომეხმარე ქრისტესთან,
წმიდაო თეოდორეო.

არ გებრალები მოყვასო,
მე ამ სოფლიდან გაველო,
უნანელი და ურწმუნო,
მე საუკუნეს წაველო,
ვინ ამომიყვანს იქიდამ,
თუ ჯოჯოხეთში ჩაველო,
მომეხმარენით წმიდანო,
მარკოზ და ნათანაელო.

სულ-ხორცის გაყრა ვიფიქრო
სათქმელად საზარელია,
მეტადრე ცოდვილისათვის
სულის ამოსვლა ძნელია.
დააგდეს ფეხის ფრჩხილები,
ბაგეს ეცვალოს ფერია,
არავინა მყავს პატრონი,
გულზედ მომისვას ხელია.

მაშინ რას გამომადგება
თუ უნდა მყვანდეს შვილები,
მოუხაროდეს ეშმაკსა,
მოქონდეს ხელწერილები.
სხვადასხვა ცოდვის ბარათი
ეჭიროსთ დაბღუჯვილები,
სულის ამოსვლას ჩქარობდეს,
მწარედ ეჭიროს თვალები.

ჯი, დიდო წმიდავ გიორგი,
მთავარ-მოწამევ ღვთისაო,
მხედარო ახოვანებით
აღმოსავალო მზისაო,
შენ შვიდწილ უძლეველი ხარ,
დამხსნელიცა ხარ ტყვისაო,
ზღვით ძლევა, ხმელზედ დათრგუნვა
გცა ღმერთმან ეშმაკისაო.

ჩვენი ხელმწიფე ერეკლე
ღვთისგან არის დიდებული,
მათ ზევით მათი მებრძოლე
მათგან არის შერისხული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცას ქვეშე კიდის-კიდემდე
მტერი ჰყავს დამონებული,
სხვა არა თქმულა ხელმწიფე
მისებრი გამარჯვებული.

ქრისტეანობის გულისთვის
საომრად დაიარება,
ღვთის ძლიერება თან დაჰსდევს,
ყოველთვინ მას ეხმარება,
აღუსრულდება წადილი,
კიდეც შეშვენის ბრძანება,
ორგული უარმყოფელი,
ღმერთმანი, დაემალება.

უძლიერესი მეფეა,
შემკული ყოვლის ფერითო,
წმინდა ევსტათი შემწეთ ჰყავს,
ჰარ-დაღისტანს ებრძვის ხმლითაო,
სადაც რომ მტერი გაუჩნდა,
მან დაიმორჩილა ღმრთითო,
უფალმან განაძლიეროს
ძის ძითა და ასულითო.

არ დააგდო მანანამა
თვისი ბრიყვული გვარია,
ცხებულის ხელმწიფის ქება
ამ წიგნში როგორ გარია,
რა ხელი ჰქონდა მეფესთან,—
სული აქვს საწუხარია,
ღმერთო, რას მიზამ ცოდვილსა,
ვარ შენი ანაბარია.

იუდა ვერცხლის მოყვარე
სიცრუვის, ავის მქნელია,
ქრისტეს ამიტომ შეუდგა,
რომ იყოს მამის მკვლელია,
მას უკან კიდევ ღმერთი ჰგმო,
შეიქნა გამსყიდველია,
დაიწვა მისის ძალითა
იუდა გამცემელია.

გოლგოთას აატანინეს,
აჰკიდეს დიდი ძელია,
ვაი იმ დღისა მნახავსა
ჯვარს რომ გაუპყრეს ხელია,
კიდევ აცოცხლა ქვეყანად
თავისი მწვალებელია,
მეც იმედი მაქვს ცოდვილსა,
ღვთისგან წყალობას ველია.

მიასხა ძვირის მოქმედი
ქრისტესთან ჯვარზე მცველია,
ერთმან ჰსთქვა: შენცა გადმოხე
და ჩვენიც იყავ მჰხსნელია,
მარჯვენით მყოფმა შერისხა—
სიტყვა სთქვი საგმობელია,
ჩვენ მოგვეგების სამართლით,
ეგ რა უჯეროს მქნელია.

ქრისტე ჯვარს ზედან დაჰკიდეს,
ქვეყანა იქცა ბნელია,
პილატეს ღმერთი გაუწყრა,
შიში დაეცა ძნელია,

წყალი ითხოვა, მომართვით,—
მან დაიბანა ხელია.—
მე უბრალო ვარ მაგისი,
თქვენ ნახეთ სატანჯველია.

ქვეყანა იძრა, კლდე განსქდა,
შეშინდენ ამაზედაო,
შორს დადგა თვისის კრებითა,
ტირის მარიამ დედაო,
მოსთქვამდა, დედაშვილობის
სიმწარის ცეცხლი სწვევდაო,
ჯვარს ზედან მოკიდებულსა
მე თვალით როგორ გხედაო.

იოსებ გვამი ითხოვა
პილატე მსაჯულისაგან,
წმიდას არდაგსა წარგრავნა,
გარდამოჰხსნა ძელისაგან,
კლდეს დადვა გამოკვეთილსა
არ სადმე მიიღო სხვაგან,
იესო ქრისტე, ჯვარცმულო,
დამიხსენ მე ცოდვისაგან.

რა ქრისტე აღსდგა, მცველები
შიშით მკვდარივით იქცესა,
ურიებმა შეიტყვეს,
თავში ჯოხი-ქვა იცესა,
აღუთქვეს ქრთამი მცველებსა,
უანგარიშო მისცესა,
ასე ჰსთქვით, ღამით მოგვპარეს,
ეს სიტყვა დაამტკიცესა.


ის ავაზაკი სამოთხით
წინ ჯვარით გამომიძღვარო,
ჯოჯოხეთს ეშმაკთ უფროსნი
შეჰკრა და ცეცხლში ჩაჰყარო,
სულ გამოასხა სულები,
სამოთხეში გაახარო,
პეტრეს, პავლეს სამოთხისა
კარები მათ მიაბარო.

ცოდვიან-მადლიანები
ყველა ჯოჯოხეთს იყოო,
ადამის ცოდვით სამოთხის
კარი დახშული იყოო,
ქერაბინ-სერაბინ მცველად
კარზე მახვილით იყოო,
ქრისტემ განგვიღო სამოთხე,
კიდევ წყალობა გვიყოო.

მე კიდევ მეშველებოდა
თუ ვიყო ცოდვის რიდული,
მაგრამ არ დავსცხერ ცოდვისგან
ეშმაკის გარდაკიდული,
ღმერთი ცოდვილის ხსნისათვის
ჯვარსზედან დამოკიდული,
მეც მიხსენ გეენისაგან,
ვარ შენის სისხლით სყიდული.

შუა სამოთხის ხისაგან
ვსჭამე ურჩების ხილია,
დავსტანჯე სული ცოდვილი,
დაჭრილი დაკოდილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლმერთო, ამას გევედრები,
მიბოძე ცრემლის მილია,
ნუ დამსჯი საუკუნოსა,
მეც ვარ ემბაზის შვილია.

არა ჰყავს ჩემს სულს აქიმი,
რომ შეუხვიოს წყლულია,
ღმერთო, შენს რწმენებაზედა
მოჰსდრიკე ჩემი გულია.
წყალობა მიყავ, მიბოძე,
ცრემლისა ნაკადულია,
დაიხსენ დანთქმისაგანა
ჩემი დანთქმული სულია.

ღმერთო, დანერგე ჩემს გულში
შენი მართალი მცნებანი,
ვილაპარაკო ყოველჟამ
თქვენი სუფევის ქებანი,
თქვენი არ დასრულდებიან
სასწაულთ-მოქმედებანი,
ჩემიც ისმინე ვედრება,
ჰყავ შენი მოწყალებანი.

წმიდაო ნინოვ, მომქცევო
ქართლისა-კახეთისაო,
განმაბრწყინვებო სოფლისა,
შუქ-მომფენელო მზისაო,
შენც მომეხმარე ქრისტესთან,
კეთილ-მორწმუნე ღვთისაო,
ეგება მიყოს წყალობა,
ნახვა მწადს სამოთხისაო.

ღმერთმან, ჩემებრივ საწყალი
მე ვარ ოხერი მკვდარია,
არც ვინ მყავს ჰირისუფალი,
არცა ვინ მოტირალია,
თუ იქაც მწუხარება მაქვს,
ვაჰ ჩემის სულის ბრალია,
ქალწულო, შუამდგომელო,
შენს ქრისტეს შემაბრალია.

ღმერთო, ესე მიხმს წყალობა
შენს ბრძანებაზედ ვიდგეო,
მეორედ მოსვლას საფლავით,
განბრწყინვებული აღვჰსდგეო,
მთელი, სრული და უნაკლო,
შენის მარჯვენით დავჰსდგეო,
მერმე შენს სამართალშია
განმართლებული წარვჰსდგეო.

ცისკრად მოვიდა საფლავად
მარიამ ცრემლთა მღვრელია,
ნახა სუდარი მდებარე,
საფლავი ცარიელია,
წარვიდა, პეტრეს ახარა,
რა ვნახე საკვირველია,
იესო ქრისტე ჯვარცმული
აღმდგარა ჩვენი მხსნელია.

სულის მკურნალი შევამკოთ,
ბრძანებდა წმიდა სულია,
ელვა სპეტაკით მოსილი
ზეციდამ ჩამოსულია,

ღვთისგან ურიცხვი წყალობა
მას ზედა მიწევნულია,
ღმერთსა უვლია მას ზედი
წმიდას კვალთასა სრულია.

ბრძანდება მოციქულებში
ღვთისაგან მოვლინებული,
წმიდა სპეტაკით მოსილი,
მზისაებრ განბრწყინვებული,
ვინცა ვინ ნახავს შემოსილს
ღმერთი არს განცხადებული,
ემსგავსება მაცხოვარსა
ანგელოზ შემოკრებული.

ამიერ სოფლით გარდავხე,
ბევრი რამ მიძევს ბარგია,
რაც რომ ამ სოფელს ვილხინე,
იმ სოფელს რაღას მარგია,
იქი მაქვს მკვიდრი მამული,
თუმც რა მიმიძღვის კარგია,
მადლი კი დაჰსძლევს ცოდვასა,
თუმც ჰსჭარბობს ერთი დარგია.

სიფიცხით ფრთესა ვერ მოგლეჯს
შავარდენსა და წეროსა,
იგი გარდამხდეს სოფელსა,
რაც რომე თავს მეწეროსა,
ნუ დამგმობთ სრულად პირუტყვსა,
რაცა ვერ დამეწეროსა.
უგუნურსა და სულელსა,
რაც მაკლდეს საღმრთოს ეროსა.

ქალწულისგან ღმერთი იშვა,
ღმერთი კაცად გარდაიქცა,
ექვს იანვარს იოანემ
ნათლისღების მადლი მისცა.
ხილვა იხილეს, ივლტოდა,
იორდანე უკუნ იქცა,
ვინცა ღმერთი არ ირწმუნა,
ბნელის კერძო გარდაიქცა.

ამის მეტსა აღარ ვიტყვი,
ერთს ვიტყვი შობის დღისასა,
ქალწულისა მუცლისაგან
ქვაბს იშვა ბეთლემისასა,
თვით მიიწვინა სიმდაბლით
ბაგასა პირუტყვისასა,
დაადგა შუქურ-ვარსკვლავი
აღმოსავლისა მზისასა.

სამნი მოგვნი ხელმწიფენი
ძღვნით მოიწვინეს ღვთისაო,
ჰპოვეს მწოლარე ბაგასა
ყოვლის მპყრობელი ცისაო.
ჰეროდეს განბასრებულსა
რისხვა დაეცა ღვთისაო,
შუქურ-ვარსკვლავი წინ უძღვის
უბრწყინვალესი მზისაო[1].

---

[1] წ. კ. ხელთნაწ. № 1511. გვ. 979—992



მანანასაგან ციების ბაასი

ციებამ უთხრა:

ავშორებივარ მანანავ,
როგორც რომ გალმა დიცია,
რაც შენ მლანძღე და მაგინე,
სულ თავში ლოდი მიცია,
შენს ახლოს ალარ გავივლი,
ალთქმა დავდე და ფიცია,
შენ ხომ არ მიმიპატიჟებ,
შენი ამბავი ვიცია.

მანანამ უთხრა:

ცეცხლი მოგედვა ციებავ,
რა მე შენ შემეყარეო,
შვიდი თვე მაცივ - მაცხელე,
ჩემი დღე დამამწარეო,
პატარა სული მოვიდგი
რა შენ მე გამეყარეო,
ვინც რომ შენ მიგიპატიჟოს,
ვაგლახი დავაყარეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციებამ უთხრა:

საწყალო, რის იმედი გაქვს.
ვინა გყავს მოტირალია,
ვინ გიზის ჭირისუფალი,
რომ ყაროს ცხარე ცრემლია.
შეგიკრავ ხელსა და ფეხსა,
როგორც დამრჩვალი მგელია,
საფლავად მიგათრევინებ,
ჰყარდე ვით მკვდარი გველია...

მანანამ უთხრა:

რა დაგემართა ციებავ,
რა ჩემზედ მოიცალია,
ამიტომ ვიჭვობ მიბრიყვე,
რომ აღარა ვარ ქალია,
გაგაგდებ ჩემის გვამიდამ
შემწედ მაქვს ღვთისა ძალია,
ასე მიჩნს შენი ლაყაფი,
ვით ჰყეფდეს ძაღლი ხალია.

ციებამ უთხრა:

ამისგან უფრო მანანავ,
მოდი, ნუ გამამწარებო,
დაგწვავ, დაგდაგავ სიცხითა,
სიცოცხლეს დაგამწარებო,
საკვდავად გარდაგასვენებ,
მღვდლებს შენზედ გავახარებო,
აღარ გამყოფებ სულდგმულსა,
შავს მიწას მიგაბარებო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანამ უთხრა:

ციებ-ცხელებავ, ჩემზედა
რაზედ აიღე შურია,
ნეტაი შემატყობინა,
თათარი ხარ თუ ურია,
მე ასე შემყვარებიხარ,
როგორც რომ ძაღლი მურია,
თუ მომკლავ, არას ვინაღვლი,
რა დამრჩეს სანანურია?

ციებამ უთხრა:

სამიდღემჩიოდ დაჰკარგე
მანანავ, ჩემი თავია,
ღირსად სამართლად მოგაგე,
რაც დღე გიჩვენე შავია,
რით უნდა გაქო მე შენა,
სიტყვა გამოგდის ავია,
თვალტანად არას ვარგიხარ,
ხარ ცუდი სანახავია.

მანანამ უთხრა:

თვალით ნუ დამენახვები
შენ ქვეყანის სასაცილო,
დამცლელო ღონისაგანა,
საძაგო იუდის შვილო,
შენსა წამყვანსა სიკვდილსა
თავს დაუდე შავი ტილო.
მე შენ როგორ მეხუმრები
შენ მყრალო და გაღლეტილო.

ქვალად მანანამ უთხრა:

თქვენი მტერი და ორგული
ციებამ დამალონაო,
მე ამას ვერ გადურჩები
თუ კიდევ მომიგონაო,
დამადნო სანთელივითა,
გამხადა დრამის წონაო,
ამ წყეულს რასა შევყვარდი,
ჩემში რა მოიწონაო.

ციებამ უთხრა:

თუ მოგიბრუნდი, მანანავ,
ჩაგაკმედინებ ხმასაო,
სულ დაგავიწყებ ყველასა,
მაგ შაირების თქმასაო,
ასე გაგიხდი საქმესა,
სიკვდილს აძლევდე თავსაო,
სულ ოხრად დაგანარჩუნებ
შენს ჯარასა და ტარსაო.

მანანამ უთხრა:

რაღას მაწყალებ შიშითა,
თვალებიც გამოგხეთქია,
ამის უარესს რას მიზამ,
კბილი კბილს დამიხეთქია,
კურნება ჩემი ვის ძალუძს,
თვალები დამიფეთია,
მე შენ ველარას დამაკლებ,
თუ ჩემი შემწე ღმერთია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციებამ უთხრა:

რა დაგემართა მანანავ,
მე მოგეკიდე მშვიდათა,
ხანდახან გაგაცივებდი,
ხან გამყოფებდი თბილათა;
პირს ძლიერ გაგიმწარებდი,
წყალს არ გასმევდი ტკბილათა,
კიდევაც არ დაგივიწყებ,
ხანდახან გნახავ ხილათა.

მანანამ უთხრა:

მე რათ მინდა შენი ნახვა,
ყოველნი შენგან ჩივიან,
ვისაც რომ ტანში შეუხვალ,
კანკალებენ და კივიან,
აკანკალებენ კბილებსა,
წელი უწყალოდ სტკივიან,
რაკი სიცხეში ჩააგდებ,
მდუღარე ცრემლი სცვივიან.

ციებამ უთხრა:

მანანავ, გულის საკლავი
სიტყვა გაქვს მეტად მწარეა,
ახლა რომ მე შენ წაგჭყურტო,
ჩემიმც ნუღარა ბრალია,

ცოტა გაქვს თუ რამ ქონება
ველარც სულ მოიხმარია,
სუდარი თავით დაიდევ:
შენ ხარ ოხერი მკვდარია [1].

---

[1] წ. კ. № 1511, გვ. 992—996. არსებობს აგრეთვე ხალხური ვარიანტი „ციების ლექსისა“ იხ. „აკაკის კრებულში“ № 12 — 1898 წ. ს. მერკვილაძის მიერ ჩაწერილი „ციებისა და ქალის ბაასი“. ეს ვარიანტი თითქმის უცვლელად შეტანილია ვ. კოტეტიშვილის „ხალხურ პოეზიაში“, სახელგამი 1934. გვ. 244—246.





მანანას კიბიდან ჩამოვარდნა

ცეცხლი მოედოს ფაშასა:
ის რომ ქართლს აეშალაო,
დაღისტნის ლეკი ბელადი
შემოირიგა ყველაო.
უთხრა, თუ მომგვრით მანანას
მე გაშოვნინებთ ვალაო.
ის რომ მანანამ შეიტყო,
ციხეში დაიმალაო.

ევასგან მოგვდგამს ცდუნება,
მეც ვარ ჭკუაზე მცდარია,
იმ ურჯულოსა ფაშასა
ჩემზედ რად უნდა ჯარია,
რისთვის მივრბოდი ციხეში,
რათ მოვიტეხე მხარია?
ხუთ საათს ვერვინ შეიტყო,
კიბეს ქვეშ ვეგდე მკვდარია.

და როცა ვინმემ შეიტყო
ძევერა შეიყარაო,
არ გებრალებათ მანანა,—
მეუფეს მიებარაო,

აბა რა იყო ასეთი,
ასე რამ ააჩქარაო,
სული რათ მისცა ეშმაკსა,
ყოფა რათ გაიმწარაო?

უმძიმდათ მეტის მეტათა
ნათლიდედებსა ყველასა —
ჩვენ სვინას რაღა მოარჩენს,
ხვნეშას უშლის და ხველასა.
სარო ოშოში დანაყეთ,
ეხვეწებოდენ ლელასა,
ზოგი უშუშავს ნაცარსა
და ზოგი ნაბდი ძველასა.


ტეტიამ წამოუჩოქა,
მკლავზე გადავლო თვალია
სვინავ, რათ შესწუხებულხარ,
ერთი დღე გმართებს ვალია.
მოტეხილი კი არა გაქვს,
დაჟეჟილი გაქვს ძვალია...
ამაღამ ვეღარ შეაწევს,
მოგვარეთ თავის ქალია.

მკურნალმა მაჯა უნახა,
არა უშავს რა, არაო,
შანანამ ხმა ამოიღო,
მოძღვარი დაიბარაო,
თავისი ყოფა-სიცოცხლე
სულ იმას მიაბარაო:
ბატონო, ჩემს ქალს უბოძეთ
ჩემი ოხერი ჯარაო.

კიბესთან კაცი გაგზავნა.
ფიცი შეთვალა გულითა:
კიბევ, რას მემართლებოდი,
რაზედ შკარგამდი სულითა,
ნავთს გადაგასხამ, ცეცხლს მოგცემ,
ან კი დაგაპობ ცულითა...
კიბემ სთქვა, არ შევშინდები,
მე შენი მოციქულითა.

საწყალო, რაღას მუქარობ,
შენი მორჩენა ძნელია,
ბნელს ღამეს შემომადექი,
წვიმისგან ვიყავ სველია.
ჯერ არის ფეხი გიმტყუნობს,
მემრე კანკალა ხელია,
ჩემიდან შენი გადვარდნა
აბა რა საკვირველია? [1]

[1] წ. კ. ხელნაწ. № 1107.



ესეც რაღაც ღარიბად თქმული


აჲ ერთი ჩიტი გავზარდე,
ელვარე არის წითელი,—
ქოჩორი ჰქონდა ფირუზი,
ყელ-ყურ-ნისკარტი ყვითელი,
ფეხები ჰქონდა ნარინჯი,
არც მეტისმეტი წითელი,
ეჟღვანი ება ასეთი,
დარჩენას იმით მოველი...
მე ჩემი ჩიტი მარჯანი
სათუთადა მყავს გაზრდილი,
საუზმითა მყავს ნაჩვევი,
არ დამიკლია სადილი.
რა მარჯანი გამიზრდია,
არ მაკლია მისგან ლხინი,
დღისით არის მეგალობე,
ღამე არის მეტად ფრთხილი [1].

---

[1] წ. კ. № 1511, გვ. 996.

ეროვნული ბიბლიოთეკა





სალომე

სალომეს ნაწერებიდან დარჩენილა „მწუხარებისა ანბანთქებანი“, ანუ როგორც ავტორი უწოდებს „სევდის წიგნი“ [1].

სალომეს ნაწარმოები შეიცავს: 1. ოთხ ანბანთქებას (149 ტაეპი), 2. ჩახრუხაულით დაწერილ ანბანთქებას, რომლისგანაც ჩვენს ხელნაწერში, ფურცლების დაკარგვის გამო, მხოლოდ ორი დასაწყისი ტაეპი (ანზე და ბანზე) დარჩენილა, და 3. თექვსმეტმარცვლოვან შაირით დაწერილ ოცდაათ ტაეპს.

„სევდის წიგნი“ წარმოადგენს ბიოგრაფიულ-ეპისტოლარული ხასიათის პოემას.

---

[1] „სევდის წიგნი“ შენახულა სიძველეთა № 598 ხელნაწერში. იგი გადაწერილია ყვითელ ქაღალდზე, უხეირო მხედრულით. ხელნაწერი წარმოადგენს პატარა წიგნს, რომელიც ჩალისფერ, უხეშ ქაღალდით გადაკრულ ყდაშია ჩასმული.

თედო ჟორდანიას აზრით ეს ნუსხა გადაწერილი უნდა იყოს მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში. თ. ჟორდანია, „Опис. рукоп. церк. муз.“ II, стр. 105, № 598.

მთელი ნაწარმოები გამსჭვალულია უაღრესი ელეგიური განწყობილებით და რელიგიური გრძნობით. შიგნით ნაწილებს აერთიანებს ერთი ძირითადი თემა: ქალის გლოვა, გამოწვეული საყვარელი ქმრის შორეულ მხარეში გადაკარგვით.

სალომეს შესახებ არავითარი ისტორიულ-ლიტერატურული ცნობა არ მოგვეპოვება. მისი ვინაობის და ცხოვრების დროის გამოსარკვევად უნდა მივმართოთ ისევ მის ნაწარმოებს.

როგორც ტექსტიდან ირკვევა, სალომე თანამედროვეა ერეკლე მეფისა. იგი მრავალგზის იხსენიებს ერეკლეს, როგორც პოლიტიკურ მტრებთან, —სახელმწიფოს ორგულ ფეოდალებთან მებრძოლ მეფეს. თვით სალომეს ვინაობის შესახებ არაფერი ვიცით. პოემიდან ჩანს, რომ სალომეს მშობლები ყოფილან ვინმე ფარსადანი და მისი მეუღლე დარეჯანი. იგი ადრე დაობლებულა. თორმეტი წლისას დედაც გარდაცვლია. ჯერ კიდევ ბავშვის ჰასაკში სალომე დაუნიშნიათ თუ გაუთხოვებიათ „ღვდლობაში გაზრდილ“ ჭაბუკზე:

„ის იყო თუთხმეტის წლისა,
შევხვდი მე ცხრისა წლისადა
ნებიერობით გამზარდა,
არ გამიფრთხობდა ძილსადა“...

სალომეს ყველა ნათესავები დახოცია: მშობლები, ბიძა, დები, დისწულები.

მესამე ანბანთქება მთლიანად მისი სამწუხარო ბიოგრაფიული თავგადასავალისა და გარდაცვლილი ნათესავების მოგონებისათვის არის მიძღვნილი. ავტორი ამ თავს სამართლიანად უწოდებს „მკვდართა ტირილს“.

სალომეს მღვდლისაგან სამი შვილი შეძენია. მაგრამ, როგორც ჩანს, ახალგაზრდა ცოლქმარის ბედნიერება დიდ ხანს არ გაგრძელებულა. მღვდელს რაღაც პოლიტიკური ხასიათის დანაშაული ჩაუდენია. ერეკლე მეფის რისხვის თავიდან ასაცილებლად, იგი იძულებული გამხდარა თავის „ბატონთან“ ერთად ახალციხეს გადახვეწილიყო და იქ ფაშისათვის შეეფარებინა თავი.

სალომეს ნაწარმოების დაწერის დროს მღვდელი უკვე სამი წლის ემიგრანტია. ანბანთქება აღსავსეა მარტოდ დარჩენილი დედაკაცის მოთქმითა და გოდებით. მეთვრამეტე საუკუნის ქაროველი პენელოპა მწარედ დასტირის თავის უნუგეშო ხვედრს. იგი ევედრება ღმერთს დაიხსნას მისი მეუღლე გაჭირვებისაგან და მშვიდობიანად დაუბრუნოს ოჯახს:

„შენ აჩვენე მღვდელს კიდევა
საცოდავი სამი შვილი“...
თათართა ხელისგან იხსენ,
ნახჯას გეაჯი წმინდაო,
თუ ცოცხალმა ველარ ვნახო,
სულსა შემყარე წმინდაო“...

საფიქრებელია, რომ მღვდელი კარის მოძღვარი იყო ერეკლე მეფის წინააღმდეგ შეთქმული ან აჯანყებული რომელიმე ფეოდალისა, რომელიც ახალციხეს გადავარდნილა. მღვდელიც თავის „პატრონთან“ იმყოფება. ამის შესახებ გარკვევით მიგვითითებს სალომეც რამდენიმე ადგილას:

„ბედმან მაღირსოს: ბატონი ჩვენი
შერიგდეს მეფეს მაღლისა ძალით“...
„იადვილე, ღმერთო, ჩემთვის
ძნელის ცეცხლის განქარვება,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ირაკლი მეფეს დამართე
ბატონს ჩვენზე მოწყალება.
ისევ მოხვდეს სამკვიდროსა,
უადგილოს ნუ დაშთება...“

სალომე შესთხოვს ღმერთს, რათა მან ერეკლე მეფეს მოულბოს გული გაქცეულებზე:

„იფიქროს ჩვენმა ბატონმა:
შენ რა მიაგე რა მასო?
ირაკლი მეფეს ჩაუდე
ვით გული შვილზე მამასო“...

როგორც პოემიდან ჩანს, ერეკლეს რისხვა მარტო მღვდლის ბატონს როდი დასტყდომია თავს. სალომე მიმართავს ღმერთს:

„გაქვს უფსკრული მოწყალება,
ღმერთო, ამით გევედრები,
გული მიეც მეფეს ჩვენსა
შეირიგოს თავადები
განიშოროს ორგულობა,
გააცუდოს მათი მტრები“...

სალომე ამგვარად ლაპარაკობს მეფისაგან განდგომილ ფეოდალების შესახებ, მისი სიტყვიდან ჩანს, რომ ვიღაც თავადებს მეფე ერეკლესთან შესარიგებლად ჰქონიათ საქმე, რომ მეფეს ჰყავს „ორგულები“ და „მტრები“ თავადების წრიდან.

სალომეს შაირები მიგვითითებენ მე-18 ს. საქართველოს შინა-პოლიტიკური ცხოვრების რომელიღაც მსხვილ ისტორიულ ფაქტზე — ალბათ ერეკლე მეფის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაზე ან აჯანყებაზე და თავადების განდგომაზე. ისტორიულად ცნობილია რამდე-

ნიმე აჯანყება, რომელიც ქართლის ფეოდალებმა მოუწყვეს ერეკლე მეფეს. ჩვენ ვიცით, მაგალითად, 1757 წლის აჯანყება ქართლ-კახეთში მცხოვრებ მუსლიმან მოსახლეობისა, რომელიც ინსპირირებული იყო მსხვილ თავადების მიერ. ეს ამბოხება ერეკლემ ჩააქრო, მაგრამ მეამბოხეების წინააღმდეგ რაიმე სასტიკი ზომებისათვის მაშინ არ მიუმართავს. აჯანყებულებს გადახდათ მხოლოდ ჯარიმა ნატურის სახით: 5 ათასი ცხვარი, 4 ათასი ძროხა, ასი ცხენი და სხვ.

უფრო სერიოზული პოლიტიკური სარჩული ედვა მეორე შეთქმულებას, რომელიც 1767 წელს მოხდა. ქართლის ფეოდალებმა, რომელთაც არ მოსწონდათ ერეკლეს ცენტრალისტური პოლიტიკა, მოინდომეს მისი მოშორება და ქართლის ტახტზე ვახტანგ მე-6-ის შვილიშვილის გამეფება. ეხლა კი სასტიკ ზომებს მიმართა ერეკლემ. დამნაშავეთა უმეტესობა შეიპყრო, ზოგს თავი მოჰკვეთა, ზოგი ჩამოაღრჩო და დახვრიტა. გადარჩა ის, ვინც გაქცევით უშველა თავს.

საფიქრებელია, რომ სალომეს ანბანთქებაში მოხსენებული მღვდლის „ბატონიც“ ერთი ამ შეთქმულებაში მონაწილე თავადთაგანია, რომელიც შეთქმულთათვის ასე არა სასიამოვნოდ დამთავრებული საქმის შემდეგ გაქცევია ერეკლეს რისხვას და თავი შეუფარებია ახალციხის საფაშოსათვის. ეს პირველი მაგალითი არ იქნებოდა ქართლ-კახეთის ან იმერეთის სამეფოდან გაქცეულ უკმაყოფილო და მეამბოხე თავადის-ფეოდალის შენახვისა ახალციხის ფაშის მიერ. ჩვენ ვიცით, რომ იმ ხანებში, განსაკუთრებით მე-18 ს. მეორე ნახევარში, სამუსლიმანო საქართველო, კერძოთ ახალციხის საფაშო, წარმოადგენდა ქართლისა და იმერეთის სამეფოების წინააღმდეგ მიმართულ

თურქთა აგრესიის დასაყრდენ ციტადელს. ცენტრალური ხელისუფლების მომდურავი პირები ახალციხის ფაშასთან გარბოდნენ ბ ქართველ მეფეთა წინააღმდეგ იქიდან ეწეოდნენ ინტრიგებს. იმერეთის სამეფოს ისტორიაში, მაგალითად, ცნობილია მსხვილი ფეოდალის, ლევან აბაშიძის გაქცევა ახალციხეს და იქიდან დიდი ჯარის წამოყვანა სოლომონ მეფის წინააღმდეგ. ეს ამბავი დამთავრდა ისტორიაში ცნობილი ხრესილის ომით (1757 წ.), თურქების სასტიკი დამარცხებით და ლევან აბაშიძის მოკვლით [1].

როდის უნდა იყოს დაწერილი სალომეს „სევდის წიგნი“? თუ დავუშვებთ, რომ სალომეს ანბანთქებაში მოხსენებული ახალციხეს გადახვეწილი „ბატონი“ მონაწილეა ერეკლეს წინააღმდეგ მოწყობილი 1767 წლის შეთქმულებისა, მაშინ სალომეს პოემა დაწერილი უნდა იყოს 1770 - 71 წლ. რადგან, როგორც ზემოდაც ავღნიშნეთ, სალომეს „სევდის წიგნის“ წერის დროს მღვდელი უკვე სამი წლის ემიგრანტია („წელიწადი სამი არის მუდამ მატირებ მე შენო“... „მატირე სამს წელიწადსა, სევდა გახშირდა გულშია“...) იგი იმყოფება თავის ბატონთან ერთად („ორგულს არ გავხარ მე ვიცი, ბატონი შენი გვერთ გიზის“... „რადგან ღმერთმან გააჩინა, პატრონს ყმანი გვერდს უნდა ყვნენ, როდეს ღმერთი გადმოხედავს, წყალობასაც დიდსა ნახვენ“). ყოველ შემთხვევაში სალომეს „ანბანთქებანი“ თავისი დაწერის დროით ეკუთვნიან ერეკლე მეფის პოლიტიკური ძლიერების ხანას, მე - 18 ს. მესამე მეოთხედს.

---

[1] ქ. რაჭველიშვილი, „საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია“, სახელგ. 1927 წ. გვ. 105.

სალომეს „სევდის წიგნი“ თავისი იდეური შინაარსით, განწყობილებით და საერთო ხასიათით საუკეთესოდ გამოხატავს მე-18 ს. დეგრადაციის გზაზე დამდგარი ქართული ფეოდალური არისტოკრატიის, მსოფლმხედველობას და სულისკვეთებას. უაღრესი სარწმუნოებრივი ფეტიშიზმი, ამავე დროს სკეპტიკური განწყობილება, მელანქოლია, და უიმედო პესიმიზმი ნიშანია საერთოდ მე-18 ს. ქართული ფეოდალური პოეზიისა. „ანბანთქება“, როგორც პოეტური ჟანრი, ისევე დამახასიათებელია ჩვენი მე-18 ს. არისტოკრატიული პოეზიისათვის, როგორც ფსევდოკლასიკური ტრაგედია და ოდა დასავლეთ-ევროპისა და რუსეთის გაბატონებული კლასების ლიტერატურისათვის იმ დროს.

სალომე თავისი პოეტური ბუნებით და წერის მანერით ძალიან წააგავს მე-18 საუკუნის პოეტ-ქალს მ ა ნ ა ნ ა ს. ორივე, — სალომეც და მანანაც, დავით გურამიშვილის სტილის პოეტები არიან.



კარი პირველი მცირესა წიგნისა, რომელსა უხმობენ სალომიან მწუხარებისასა ანბანთ ქებასა

1



იგნი მიირთვით მკითხველნო,
მცირე რამ ანბანთ ქებისა,
შესავალია პირველი,
ნაოქვამი ცეცხლთა გზებისა,
ჩემი დარდები ყოველი
ურცხვინოდ განცხადდებისა,
მოშორდა ტკბილი მოყვასი,
სალომე ამად კვდებისა.

აღვაღებ ჰირსა, უტყვი ვარ,
ღვთისმშობლის ქებას ვბედაო,
ადამ დაიხსნა წყევისგან,
ჩვენ გამოგვიჩნდა მწედაო,
აბრაამს მისცა წიაღი,
თვითაც დაადგრა ზედაო,
ამას მე ვიდებ იმედსა,
მეც წილი მიგდოს ზედაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბნელი განათლდა ოდესა,
ღვთაება ძირს გარდმოვიდა,
ბრუნვა შექმნეს ეშმაკებმა,
Oჲ, აღსასრული მოვიდა.
ბჭენი განგვიხვნა სამოთხის,
ნათლისა წილი დაგვკიდა,
ბნელისგან მიხსენ ცოდვილი,
სული ამ სოფლით გავიდა.

გარდმომხედე, მეუფეო,
მეც გევედრები უღირსი,
განა არ ვიცი, არა ვარ
მე სამოთხის ყოფას ღირსი,
გაბრიელ მცველად მოვიდეს,
მაშოროს სატანა მჭისი,
გადიდო შეუძლებელმა,
დღის ნახვა ოდეს მაღირსი.

დაისაჯა პირველ ადამ,
მე რაღაც მიკვირს ვაება,
დამაკლდა თვალსა სინათლე,
ვაჰ, გული ლახვარს დაება,
დავწერო წიგნი სევდისა,
მივაპყრა ჩემი გონება,
დამიგდო წვრილი შვილები,
ღვდელმა დამიყო გონება.

ერთო ღმერთო, გევედრები,
არვინ ვიცი შენგან კიდე,
ერთმა არავინ შეგცოდა
უაღრესად ჩემგან კიდე,

ეკლის გვირგვინი შეგებედეს,
კვართზე იგდეს წილი კიდე,
ეკლესიას შემოსილი
ღვდელი მაჩვენე მე კიდე.

ვაქო ღმერთი, მე ვითხოვო
შეცოდების მოტევება,
ვიცი, გეწყალვის ცოდვილი,
შენგან ყველა იპოება,
ვადიდებ შენსა მშობელსა,
სული ოდეს გვამს ეყობა,
ვფიცამ, სოფელი არ მინდა,
მე სანუგეშო მეყობა.

ზეცას მოვა ჩემი სული,
რა მადლი მაქვს დამიფაროს,
ზრიალით მოვლენ ჩემზედა,
ოდეს სული ამამგვაროს.
ზარტეხილი შევიქნები,
თუ ღმერთმან არ შემიბრალოს,
ზრდილსა სამხთოსა ცოდნითა
მე პატრონის თავს შემყაროს.

ცერიდების კაცი ცოდოს,
მაგრამ ბოლოს ეშმაკის ძლევს,
ცე, მე შეგცოდე მარტომან,
ჩემებრ ცოდოს არვინ დასდევს,
ცე, ცოდოს არ მოიხსენებს,
ღვთისმშობელი მადლათ დასდებს,
ცე, ამასაც მოიხსენებს,
ვიცი, ოხრად არ დამაგდებს.

თვინიერ ღმერთო, შენ გესავ,
და მერმე ყველა წმინდაო,
თვალისა ჩემის ნაოელსა
ნუგეში მიეც წმინდაო,
თათართა ხელისგან იხსენ,
ნახვას გეაჯი, წმინდაო,
თუ ცოცხალმა ველარ ვნახო,
სულსა შემყარე, წმინდაო!

იადვილე, ღმერთო, ჩემთვის
ძნელის ცეცხლის განქარვება,
ირაკლი მეფეს დამართე,
ბატონს ჩვენზე მოწყალება,
ისევ მიხდეს სამკვიდროსა,
უადგილოს ნუ დაშთება,
იყავ შემწედ, ღვთის შობელო,
მეც შემხვდება ნეტარება.

კვლავად ღმერთო, შენ გადიდებ,
შენ ხარ ჩემი მუდამ შემწე,
კვერთხი შენი მოავლინე,
გამიბანე ეშმაკთ შემწე,
კარსა სამოთხისას პეტრე
ბრძანე, ჩემთვის იყოს შემწე,
კმარა ჩემგან შენი ხმობა,
ნუ შემრისხავ, იყავ შემწე.

ლამის ღმერთმან მამიძაგოს,
მეორედ ცეცხლი მამიდვას,
ლახვრით გუნება დამიჭრას,
იმედი არსით დამიდვას,

ლაყაფსაც მალე მოვიკვეთ,
თუ ღმერთი წყალობას მიზამს,
ლამის უფრო შორს წახვიდე,
ღვდელო, იმედი ეს გიგავს.

მანამ მშვიდობით არ გნახავ,
სიმწარეს ვთესამ გულშია,
მატირე სამს წელიწადსა,
სევდა გახშირდა გულშია,
მიძრახვენ ყოვლთვის მსმენელნი,
მაგრამ არ შედის ყურშია,
მე თუ შენთვის არ ვინაღვლო,
დარდი რისა მაქს გულშია?

ნურვინ მიძრახავთ ამაზე,
ვისაც ღმერთი მოგაგონდეს,
ნაკლებობა აღასრულეთ,
ვისაც კარგი მოგაგონდეს,
ნაწერიც დიაღ ცუდია,
მაგრამ კარგად მოგაგონდეს,
ნაზად ზრდილნო, ღმერთს ახვეწეთ,
ვისაც ღვდელი მოგაგონდეს.

ოხვრა გახშირდა გულშია,
ღვდელო, არ ვიცი ვის უკვირს,
ოდესაც ნაწერს მიბოძებ,
მოსვლას არა მწერ, ეს მიკვირს,
ორი ნარინჯი გებოძა,
არ ვიცი, რის სუნი უდის,
ორგულს არ გავხარ, მეც ვიცი,
ბატონი შენი გვერდს გიზის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა შევიყარენით,
მე და ღვდელი, ყველამ იცით,
პირსა ყველა წმინდისასა,
გაფიცებთ, ვინცა იკითხით,
პირს ნუ დამიყოფთ ძრახვითა,
ვიცი, ყველამ უკეთ იცით,
პატარა შვილებს ვეუბნი,
მამის ანბავი იკითხით.

ჟეშთა არსო, გეველრები,
რას ვიტყვი არ გამეგება,
ჟრიალით სევდა წამოვა,
გული ამით დამეყობა,
ჟიჟინს შეიქს წვრილი შვილი,
თვალსა ცრემლი დამეტყობა,
ჟამითგან აქამომდინა
გულსა ცეცხლი დამეტყობა.

რაღას ვაგძელებ ბაასსა,
ცუდსა ყველანი მიძრახვენ,
რადა სწუხართო ცუდადა, —
მძახლები კარგად გინახვენ,
რადგან ღმერთმან გააჩინა,
პატრონს ყმანი გვერდს უნდა ყვნენ,
როდეს ღმერთი გადმოხედავს,
წყალობასაც დიდსა ნახვენ.

სათუთათ მზრდიდა პატრონი,
მაგრამ არ მცირეთ გაზრდილი,
სალომე დამდვეს სახელად,
შემრთეს ღვდლობაში გაზრდილი.

სიმწარემ სულ დამავიწყა
მცირე და ჯარგათ გაზრდილი,
სვიმონაც ველარა ვნახე,
ჩემს ქვეშაგებში გაზრდილი.

ტვირთი ვარ, ღმერთო, მე შენი,
მოწყალებაც შეგიძლია,
ტირილს ახოც, ვიცი, ჩემსას,
მე ქება არ შემიძლია,
ტყუილს არ ვფიცავ, პატრონისა
სიშორე არ შემიძლია,
ტარიგს ვეაჯი, ყოვლისა
განკურნება შეუძლია.

უნდა გადიდო, უფალო,
სანამ ვიყო მე ცოცხალი,
უნატრელს სიხარულს ვითხოვ,
სანამ ვიყო მე ცოცხალი,
უკლებლად ტურფა დებისგან
რადგან მე დავრჩი ცოცხალი,
უჭირისუფლოს ნუ გამხდი,
ღვდელი მაჩვენე ცოცხალი.

ფრიად, ღმერთო, გევედრები,
არ გიყვარს მოწყალებაო,
ფუჭად ნუ გამაროინებ,
გამიადვილე ქებაო,
ფინთად ნაწერი შევაწყე,
დიდი არ ვიცი ქებაო,
ფათერაკისგან დაიხსენ,
ვინც იცის შენი ქებაო.

ქრისტე ღმერთო, ოდეს ეცვი
ჩვენის ხსნისთვის ჯვარსა ზედა,
ჭათმას ხმობას ვინ უარგყო,
შემიწყალოს ამაზედა,
ქვრივთა თანა ნუ შემრაცხავ,
სანამ ვლიდე მიწაზედა,
ქრისტიანობაში ვნახო,
ვისაც სჯვრეტდეს თვალი მზედა.

ღმერთო, შენ გიცი მოწყალედ,
სხვა არვინ გვინდა შენს მეტი,
ღონე დამაკლდა სიმწარით,
სიყრმით ახლა შემხვდა მეტი,
ღარიბისა და ობლისა
შენ ხარ შემწე სხვაზე მეტი.
ღვდელს თუ არ ვნახავ, ეს მიჯობს
სიკვდილი ქმნა ჩემზედ მეტი.

ყოვლი სული გევედრება,
ღმერთო, დამშოეტო ალისა,
ყურად იღე ჩემი ცრემლი,
სუსტის მიმცემო ძალისა,
ყოველთვის შენმა მშობელმა
წყალობა მიყო თავისა,
ყოვლად მოწყალევ, ჩიჩვენე
სიმართლე ორის თვალისა.

შეგესმის, ღმერთო, ვედრება
ჩემიც ისმინე ვაია,
შთავარდი ძნელსა ნაღველსა,
ბევრი სხვა მიხმობს ვაია.

შავმა ბედის საწერელმა
რადგან მომიკლა მაია,
შემწე არავინ დამიგდე,
ამით მაყრია ვაია.

ჩემთვის მუდამ სასოება,
ღმერთო, შენ ხარ ჩემი შემწე,
ჩემი ვედრება ისმინე,
წუთისოფელს მიბოძე შემწე,
ჩრდილი მიბოძე პატრონის,
მაზლიც გახდეს ჩემი შემწე,
ჩამიარა ჭირნახულმა,
ქოლაც არ მყავს ჩემი შემწე.

ცუდად ნუ გამაროინებ,
ღმერთო, ისმინე ვედრება,
ცრუსა სოფელს მამარჩინე,
სულით არ შემხვდეს ვაება.
ცარიელ ვიქმენ, შემექნა
კეთილი ყოლგნით ვაება,
ცათა მფლობელო, აშორე
ვისაც გავედრებ ვაება.

რადგანაც ღმერთო, გადიდებ
შენ გინდა ჩემთვის კეთილი,
ძვირი გახშირდა ჩემზედა,
არ მყავს მოყვასი კეთილი,
ძმა არ მომეც მოსწრებული,
მენახა მათში კეთილი,
ძითურთ მღვთისმშობელს ვაწუხებ,
შვილებით მომცეს კეთილი.

წესი არ არის ჩემგანა,
ღმერთო, გაწუხებ მრავლად მე,
წინწილით უწყი უფალო,
რაც დარდი მიძეს გულსა მე,
წამიხდა ჭინახულები,
ვინცა მიყვარდა გულსა მე,
წასულსა მგზავრებს გახვეწებ,
ყოვლნი მიძრახვენ გულსა მე.

ჭვრეტას ვინატრი ცოდვილი,
მაგრამ რას ვღირსვარ ღვთისასა,—
ჭეშმარიტება მაღირსებს
მკვიდრობას სამოთხისასა.
ჭკუასაც მომცემს ვადიდო
აღმოსავლეთსა მზისასა,
ჭირისგან მიხსნის მოყვასსა,
სუფევას მისცემს გზისასა.

ხანი არ მინდა, უფალო,
სიცოცხლე მაქვს საძაგელი,
ხატსა შენსა თაყვანი ვსცე
აღმისრულოს საწადელი,
ხანა ვსტირი, ხან ვინაღვლი,
გავხდი ყველას საძაგელი,
ხანი სიშორის მადლობ შენ,
სუფევით ყვენ საყვარელი.

კარ, უფალო, შემძლებელი,
მცირედ ვიცი ყოვლისავე,
კანდასმულსა ნუ დამაგდებ,
ფონა მიჯობს სულისავე,

კრინვა შევჭნა სასიკვდინე,
მიმაბარე პატრონსავე,
კვთისა დედავ, გევედრები,
შეეწიე მგზავრებსავე.

ჯვარსა შენსა თაყვანის ვცე,
ცოდვილი ვარ, შემიწყალოს,
ჯერ მაჩვენოს სანუგეშო,
მერმე სულით შემიბრალოს,
ჯავრი დიდი განაქაროს,
სიხარულად გარდასცვალოს,
ჯდეს მეუფე მარჯვნით კერძო,
სამართალი კარგი ცვალოს.

ჰაე, რას ცუდათ ვაღამებ,
მე დღესა უიმედოთა,
ჰკრთება გული, ამას იტყვის:
ვაჰ, გავხდი უიმედოთა,
ჰაე, ვინა მყავს სოფელსა,
შევხედო საიმედოთა,
ჰაე, თუ მოვკვდე სნეული
პატრონის უიმედოთა!

ჯოი ჩემო სასურველნო,
რამდენი ცეცხლი მიდევით,
ჯოი დავკარგე ორი ძმა,
სულითა მაინც მარგევით,
ჯოი დედას ვევედრები,
სული დანერგოს მარჯვენით,
ჯოი მკითხველნო, ნუ მძრახავთ,
სულითა ნუცა იტ...

აქა გათავდა პირველი
ჩემი დარდები ყველაო,
ვადიდე ღმერთი უცნობმა,
იმისგან მინდა შველაო,
ახლა დავიწყე მეორე,
გულისა ცეცხლთა მწველაო,
ესეც მინდა აღვასრულო,
თუ მოიხსენებთ ყველაო.

2

ან რა ქება მოვიგონო,
რა შევასხა ღვთისმშობელსა,
აღმისრულო საწადელი,
ამად ვბედამ ქებას თქვენსა,
ალით სავსეს გულის ნუგეშს
მერმე ველი შენგან სვესა,
ადამის სულის დამხსნელსა
უაღრესი ქება შვენსა.

ბაგეს აღძრვენ შენთვის ქებად,
რიტორნი განცვიფრდებიან,
ბეთლემს ყრმანი და მსახურნი
ქებასა შეგასხმიდიან,
ბედის უკუღმა მბრუნავნი
შენგანვე იხარებდიან,
ბოლოს იშოეს სამოთხე,
ვეჭ ხორცით იარებდიან.

გაბრიელსაც შევეხვეწნეთ,
მოდი, ღვდელო, მე და შენა,
გაგვითაოს ერთგან ყოფნა,
აღარ მიგვხვდეს სულთა ქშენა,

გული ბნელი განგვინათლოს,
თვალს მოშორდეს ცრემლის დენა.
გნატრი, გაბრიელ, სულითა,
ოდეს შემხვდეს აღმოქშენა.

დავით წინასწარმეტყველო,
შენ გეუედრები ცრემლითა,
დამხსენ, სოფლისა საცდურსა,
სული სუფევდეს ლხენითა,
დაგპირდე ვერ შემძლებელ ვარ
ქება შეგასხა ენითა,
დამშორდა სულთა წამღები,
ნახვას ვინატრი შენითა.

ეკლესიისა მნათობსა
ნიკოლოზსა ხელი მივყო,
ერთხელ ვნახე ჩემად შემწედ,
გული ბნელი არ დამიყო,
ევმანოილს სატანამა
სული ჩემი არ გაუყო,
ერთს ამასაც გეუედრები,
შეერთება არ გამიყო.

ვაი თუ მოვკდე სულმოკლე,
ვეღარ ვნახო საყვარელი,
ვაღამებ დღესა ცრემლითა,
მაქვს გული ცეცხლით დამწველი,
ვიაზრო ესე, ვინა მყავს
შემწედ, თუ არ ღვთისმშობელი,
ვაქებ სულისა დამხსნელსა,
წყალობას მისგან მოველი.

ზარი მაქვს ცოდვის ტვირთისა,
სულთ ბრძოლის ჟამს შემიბრალოს
ზაქარიას ნეოხებამ
ედემს ახლოს მომაკაროს,
ზღვისა მზგავსი ცრემლის დენა
სიხარულად გადასცვალოს,
ზენაარსსა ვეაჯები,
სამოთხესა მიმაბაროს.

ჩე, თუმც ცუდათ ვილაყაბე,
მოვჩმახე ცუდი ბაასი,
ჩე, თუმცა სულის ამოსვლას
ელოდეს სატანას დასი,
ჩე, თუ არავინ შემწევდეს,
მიმიცეს სულისა ფასი,
ჩე, თუ ედემს ვერ მივიდე,
ვნახო ჯოჯოხეთის ფლასი.

თავს ვბედამ ღვთისა ქებასა,
მერმე ანგელოსთ ვახსენებ,
თმენა მიბოძონ ცოდვილსა,
სატანას ჭიქით ვაღამებ,
თვალს მოშორდეს ცრემლის დენა,
დღესა სიმწარით ვაღამებ,
თავი მომცეს ბოლომდინა,
სულსა და ხორცსა ვაბარებ.

იდუმალ გიხმობ ღვთის დედას,
უსიტყვი ვბედამ ამასო,
ინდოეთიდამ მოიყვან,
შვილსა უჩვენებ მამასო,

იფიქროს ჩვენმა ბატონმა,
შენ რა მიაგე რა მასო,
ირაკლი მეფეს ჩაუდე,
ვით გული შვილზე მამასო,

კლდე არის შეურყეველი,
ვისაც გესმით გწამდეთ ქრისტე,
კვლავ მე ვესავ იესოსა,
ეშმაკთ შემწე მე გავქისტე,
კვიპაროზი განმაშორე,
სამოელი გამიკიცხე,
კილო შემაშრე ცრემლისა,
სოფლურათა გამიკითხე.

ლაყაფი ბევრი ვისწავლე,
ღვდელო, შენის სიშორისა,
ლამავს გულსა სისხლის ცრემლი,
ვინ მყავს მცემი ნუგეშისა,
ლუარსაბ შენი ძმა არის,
ერთგულია ბატონისა,
ლამის თავი მოვაძაგო,
ასე ცოდვილი ვარ ღვთისა.

მე ვიცი, ბრძანებთ თქვენ ჩემსას,
ცუდი რამ უჭრელებია,
მე თქვენის მოშორებითა
სიცოცხლე დამმწარებია,
მართალს ბრძანებ, თუ მიძრახამ
არც არა მიამებია,
მაგრამ კაის ბატონისგან
ვეჭ თავი გინახებია.

ნუ იფიქრებ ცუდსა ფიქრსა,
რომ უშენოდ მე ვიცოცხლო,
ნუგეშს მომცემ მოსვლისასა,
ღვთისგან ვითხომ კიდევ გავძლო,
ნაკლულს გულსა ნუ ჩაიდებ,
რაც გაწყინე გაიახლო,
ნაწერი მაინც მიბოძე,
ჩვეულებრივ მოვიახლო.

ოდეს ვიფიქრო რამე ვყო,
სიშორის ალმა დამიპყრას,
ობლის მამას გევედრები,
იმედი მანვე დამიდვას,
ოხრობის ცეცხლი მაშოროს,
დამწვარს ცეცხლი არ მამიდვას,
ობლობას არ შეუფარდოს,
სამოთხეს წილი დამიდვას.

პირველ ღვთისმშობელს ვეაჯი,
მაგრამ ენამ ვერ დაუყო,
პირი დამიყო ქებამა,
შეუძლებელს თავს რა უყო,
პასუხს ვერ მივსცემ მე იმას,
ვინც შენი საბაბი იყო,
პალატსა კარგსა ახლავხარ,
მე თუ გინდა აღარ ვიყო.

ჟამი არს ჩემი სიკვდილი,
თუ ვეღარ გნახამ მე შენა,
ჟამიდგან თქვენთვის სიმწარე
ვერ მოგახსენე მე შენა,

ჟინი მომივლის ფიცისა,
აღარ გაწყინო მე შენა,
ჟანგი გახშირდა გულისა,
ჯერ არ გიცვნია ვეჭ შენა.

რად გაწყინე უბადრუკმან,
თავი ჩემი შეგაძულე,
რად არ იფიქრე შენ მაინც.
ეშმაკის შურს მოგაძულე,
რაღა ვილაყბო შორიდამ,
თავი რაზე შეგაძულე,
რაღას გეხვეწო წიგნითა,
მაინც აღარ მამიძულე.

სანამ არ გნახამ, იცოდე,
თვალს არ მივცემ ფონებასა,
სიშორე ღმერთსა მიმადლე,
თავს ნუ მისცემ ღონებასა,
სული ჩვენი ღმერთს ვახვეწოთ
საუკუნოდ ფონებასა,
სხვასა ნულარაის იურვი,
ეცადე ღვთის მონებასა.

ტყუილს მეტყვი, შენ ჩემგანა
დარიგება არ გინდოდეს,
ტრფიალი ხარ, ღვთისმშობლისა
სხვა კეთილი რა გინდოდეს,
ტირილით გეტყვი ამასა,
ჩემი ცოდო მოგაგონდეს,
ტვირთს ნუ ინდომებ უბრალოს
თუ ჩემი თავი გინდოდეს.

უნდა ვტიროდე მუდამა,
რას ვხედამ საიმედოსა,
უთუოდ თვალი არ მინდა,
ვის შევხედამ უშენოსა,
უნდა ვიკვნესო მარტომა,
ვის მიუთხრა უშენოსა,
უტევანი სევდა მმართებს,
ეს მცირეა უშენოსა.

ფიქრმა თავი მამაძაგა,
ვზივარ შინ ბაგე გამშრალი,
ფარდი არა მყავს სევდისა,
მიუთხრა ჰირი მრავალი.
ფაშა ვახსენო, არ ძალმიძს
ქება შევასხა მართალი.
ფარდი არა ყავს ქებისა,
მე რით შევიძლო მრავალი.

ქადაგება არ ვიცოდი,
შემინდევით, ვინც ვერ ვაქე,
ქართველთ მეფე და ფადიშა
ვერ შევიძელ მით ვერ ვაქე,
ქადილში ჩამომართმევდენ,
შენ იმიტომ ველარ გაქე,
ქაღალდი მცირედა მქონდა,
ქათია... ვერ გაქე.

ღვდელო, რალა მოგახსენო,
კმარა ამდენი ღონება,
ღალატი ღვთისა არ ვარგა,
შენვე გამხილებს გონება.

ღმერთს მიანდე თავი შენი,
იმანვე მოგცეს ფონება
ღონე მის მეტი არ არის,
ბატონსა უნდა მონება.

ყოველსავე მოგახსენებ.
შენ უკეთ იცი კრებული,
ყმანი უფალმა დაბადა,
ბატონი მისცა ქებული,
ყური ნუ გინდა სასმენად,
თუ გყავს ბატონი ვნებული,
ყოვლად მოწყალე დაგიცავს,
იყავ ბატონის ერთგული.

შენ ამას უნდა ეცადო,
ჩემგან რიგება არ გინდა,
შორიდამ წიგნს ნუ დამაკლებ,
მე სხვა კეთილი არ მინდა,
შავის ზღვისკენ თუ წახვიდე,
ღვთის ვედრება დიაღ გინდა,
შურს ნუ იგდებ ბატონისას,
ჩვენი თავი ნუღარ გინდა.

ჩემთვის ღმერთსა ეს უნდოდა,
ეს მოიღო ჩემზე კიდე,
ჩრდილი მომცეს ბატონისა,
მოგახსენო სხვა რა კიდე,
ჩქარა წასვლას ნუ ინებებთ,
წიგნი მაინც ვნახო კიდე,
ჩამიფუჭდა სიხარული,
შენი ნახვა მერე კიდე.

ცრუ ყოფილა ეს სოფელი,
ნეტამც მე არ შემესწავლა,
ცა დაბნელდა ჩემთვის ხედვად
ვა, თუ ძვირი დაგესწავლა,
ცარიელი ვყოფილიყავ,
შენი ცეცხლი არ მესწავლა,
ცუდი ვინმე ყოფილიყავ,
საღმრთოობა არ გესწავლა.

ძალს ვახსენებ ჯვარისასა,
კიდევ იმას ვეაჯები,
ძმა... მაშოროს სოფლისა,
სულის ხსნასა გევედრები,
ძელისაგან გარდამხსნელო,
იოსებ, შენ გეხვეწები:
ძე მყავს ორი საცოდავი,—
ამათ გაზრდას გევედრები.

წიგნი მივიღო მცირე რამ
შეწუხება მოგახსენო,
წელიწადი სამი არის
მუდამ მატირებ მე შენო,
წახვიდე მანდიდამაცა,
ცოცხალს აღარ გამაგონო,
წიგნი გებოძა ფრანგული,
წავიკითხე, ყველა ვსცანო.

ჰეშმარიტად ახი არის,
რაც გადამხდება მე თავსა,
ჰირი უმეტესი მართებს,
რადგან მოვშორდი შენს თავსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰკუა არა მაქვს სევდითა,
ვიცი, მიძრახვენ ბევრს ავსა,
ჰირსა მოვითმენ უზომოს,
თუ კიდევ ვნახამ შენს თავსა.

ხილი სადმე ბევრი არის
ახალციხეს გასაყიდი,
ხვალ წამოვა ჩემი სიძე,
მოგერთმევა წიგნი დიდი,
ხლათი არა გაივლო რა,
მანდ ბევრია ენა ფლიდი,
ხანი დაყოვნდა ნახვისა,
ახლა მმართებს კვნესა დიდი.

კარას არ გავსცვეთ, იცოდე,
მე შენსა გამოგზანილსა,
კატის ბუდე შეგიკერე,
პატარა, მცირე ფარჩისა,
კათაია არა მქონდა,
არ დასადები მაჯისა,
კელი როს კადრო, აიღო,
მადლი მიბრძანე გარჯისა.

ჯერ ღვთის ქება მოვინდომე,
ვერ შევიძელ მოსწავლობით,
ჯავრმა გუნება დამიყო,
ვერა ვთქვი ლექსი კონობით,

ჯურღმულსა ვზივარ, სევდა მაქვს,
მივიღებ ღვთისგან მადლობით
ჯერ გულით არა მგონია,
თუ სხვაგან მიხვალ მგზავრობით.

ჰაე, რათ გვინდა სოფელი,
დღე ყოფილა მუდამ მწარე,
ჰაიღებს კაცი ცოდვასა,
ელის ჯოჯოხეთი მწარე,
ჰარ დავებადე, მიჯობდა,
არცა მენახა სიმწარე,
ჰაივსო გული ცეცხლითა,
ძლივს ესე ლექსი დავწერე.

ჭოი, სულო უბადრუკო
და ხორცო უამებელო,
ჭხვრისგან მიხსენ მწარისა,
მამავ, დაუბადებელო,
ჭორთქლსა ჯოჯოხეთისასა
მარიდე დამბადებელო,
ჭოი ისევ ნახვას ვიტყვი
პატრონისას, ღვთისმშობელო!

ეს ორი ლექსი დასრულდა,
მესამეს მივყო ხელია,
დავსწერე მოთქმა მოყვასთა,
თვალი გაჩვენეთ სველია,
ამდონის კარგის სიკვდილმა
სინათლე გამომილია
როდესაც მნახოს მოკვდავი
ყველამ მაღირსეთ ცრემლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3

ახლა შევკრიბო ბაასი
მცირე რამ ჩემის თავისა,
ადვილად ვიტყვი ძნელს ცეცხლებს,
ფონა თუ შემხვდა თვალისა,
ადამის ტომსა, ჩემს ტოლსა,
არ მოუნახავს თავისა,
არჩირდა თვალი სიყრმითგან,
მოჩივარი ვარ თავისა.

ბაასი ესე ისმინეთ,
ვინ იყვნეთ კარგათ გაზრდილნი,
ბიძა მომიკვდა, ძლივს მახსოვს,
ჯერ მცირე ვიყავ გაზრდილი,
ბროლისა მზგავსად შვენოდა,
კეკლუცად იყო გაზრდილი,
ბნელს ჩაჯდა ჩემი მშობელი,
მე დავრჩი ავად გაზრდილი.

გამზარდა ერთმა მხლებელმა,
ჩვენ სამნი დანი ვიყავით,
გულს არ გვედვა მწუხარება,
ვხაროზდით, კარგათ ვიყავით,
გაგვიჩინა ღმერთმა ძმაცა,
საფიცრათ მცირეთ ვიყავით,
გაფიცებთ ღმერთსა, ნუ მძრახავთ,
მკითხველნო, ყურად იღევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დამავიწყდა ყოველივე,
რაც ვიცოდი მე სიყრმისა,
დაიყოვნებთ მოგახსენო
სახელი მე დედმამისა,
დარეჯან ერქვა დედასა,
ასული ვარ ფარსადნისა,
დამშორდა დედა ყმაწვილსა,
წლისა ვიყავ თორმეტისა.

ერთი და დამრჩა უფროსი,
მეორე ჩემი უმცროსი,
ელვა კრთებოდა მათზედა,
ქება მივიღე უმცროსი,
ეკრძალვის ჩემი გონება,
ზეზედ რად დავრჩი მე მჭისი,
ერთმანეთზე უმჯობესი,
დები დავმარხე ულირსი.

ვაი ამათ მომგონესა,
რომ მე ამათ ზეზედ დავრჩი,
ვაჟკაცი მამა არ მყვანდა,
მაგრამ პირშავად მე დავრჩი,
ვაჟისშვილსა მე მარჩევდა,
მკვდარსა უნახავი დავრჩი,
ვაი ამდონის კარგისგან
უჭირისუფლოდ მე დავრჩი.

ზარი დამეცა პირველად,
მამამთილი გამეყარა,
ზნესრული, ყოვლის ცოდნითა,
სიტკბოებით გამეყარა,

ზედდატანებით მამიკვდა,
მამამ ობლად ჩვენ დაგვყარა,
ზღვისა მზგავსი ცრემლი ვყარე,—
რა კარგი მე დამეყარა?

ცე, თუ მიძრახოთ მკითხველნო,
ცუდათ დაწერე შენაო,
ცეკლის ლახვარი გულსა სჭრის,
გამიადვილდა ქშენაო,
ცე, უტურფესი დებისგან,
მითხარით ვაი შენაო!
ცე, ნეტამც სიკვდილის დღესა
ვინ შექნას ჩემზე ქშენაო.

თუ მოისურვებთ გაუწყოთ
სიტურფე ჩემის დებისა,
თვალჭრელი, შავის წამწამით,
შუქი ადგა სითეთრისა,
თეთრსა პირსა ყირმიზობა,
ტუჩი ლალსა უგვანდისა,
თავით ფეხამდინ უკლები,
ქება ვერ ვთქვი ნათელისა.

იყო კეკლუცი მნათობი,
მე დამეწვა გული ამიო,
იწვის გული ახლაც კიდევ,
ვერა ვნახე მკვდარი თვალით.
იანვარში მიეფარა
სიდონია კარგის თვალით.
იმით უფრო დავიჩაგრე—
გამიმქლავნეს მკვდარი ღამით.

კარი დამეხშო გულისა,
რა სიდონია მომიკვდა,
კეკლუცი ჩემი ტრფიალი,
ნუგეში მისი მფარვიდა,
კარგისა სიდონიასი
ქმარიც დავკარგე, წავიდა,
კნა უყავ თავსა, ვითმინე,
მაგრამ გული კი წავიდა.

ლამაზად მოჭიკჭიკესა
ვაი, ვიგონებ პაატას,
ლაყაფი ეს მამივიდა,
შვილსა დავარქვი პატარას
ლახვარი გულსა მეცემა,
ვინც ეტყვის მოდი პაატას,
ლამის ისევ გადავარქვა
ვერ დაუძახებ პაატას.

მე პაატას მამგონესა
რაღათ მიდგია სულია,
მუდამ თვალცრემლი ჩამომდის,
მან დამიკოდა გულია,
მანამდი დავინახემდი,
მე ვიყავ სულწასულია,
თიბათვის წყალმა დამინთქა
ხორცი და კარგი სულია.

ნაკლებობა არა ქონდა,
სავსე იყო სრულის ცოდნით,
ნათელი ჩემის თვალისა
ვერა ვნახე მძიმე წონით,

ნიადაგ ვიწვი მას აქეთ,
მოვიგონებ ოდეს ძრწოლით,
ნახეთ ჩემი ღვთის გაწყრომა.—
გამიფუჭდა წყლის:ა ბრძოლით!

ოდეს ვისმინე ყურითა:
„პაატა წყალმა დაგიხჩო!“
ორივე დადგა სინათლე,
გული-გონება დამიხშო,
ოხვრა არ აკლდათ უცხოთა,
კარი და ბანი დაიხშო,
ორკერძი ცეცხლი მეკიდა,
გამიახლა მე და პირმშო(?).

პაატას აღარ ვახსენებ,
ქებას ვერ ვკადრებ ცოტასა,
პირ მთვარეს დაჯიას ვსტირი,
ცრემლი დანამავს ლოყასა,
პაწაწას ტუჩებს ვკოცნიდი,
გულს დაუწყებდი კონასა,
პირზედა ფეხი დამადგა,
გამამასალმა ყველასა.

ჟანგი გამშორდა გულისა,
მე ქმარი შევრთე დაჯიას,
ჟეშთა მპყრობელსა ვევედრე:
სიცოცხლე მიე დაჯიას!
ჟამი არ მისცა უფალმა,
დღე მოუსწრაფა დაჯიას,
ჟინათ ჩაყვა მამაკვდავსა
ქმრის სურვილება დაჯიას.

რაღათ მამასწარ, უფალო,
სიკვდილსა დაჯიასასა,
რით შესძლებს ჩემი გონება
ქებას მოგიყვეთ მისასა,
რატომ არ გიკვირთ, უყურებ
მე სინათლესა მზისასა,
რაღათ მეყრება მე სული
უჭირისუფლოს დისასა.

სიკვდილო, შე მუხანათო,
რამდენი კარგი მომიკალ,
სურვილი არ დააცალე,
დაჯია პატრონს მოუკალ,
საკუთრად მეგულებოდა
სიკეთის დროს და მამიკალ,
საწუთოს დამწარებელო,
მაია რაღათ მამიკალ?

ტირილიც აღარ დამცალდა,
გარს მომადგა განსაცდელი,
ტყვედ წამიყვანეს ქალაქსა,
თვალს მდიოდა მუდამ ცრემლი,
ტრიალ მინდორში დავდექით,
ღამე იყო დიაღ ძნელი,
ტყულს არ ვიტყვი, ღმერთსა ვფიცამ
აღარა მაქვს გული მთელი.

უნდა მეტირე, დაო შენ,
მაგრამ დრო აღარა მქონდა,
უბედურათ აღიზარდე,
ობლობისა ცეცხლი გქონდა,

უკლებლათ მისთვის შვენოდი,
თურმე დღე მცირეთა გქონდა,
უჭირისუფლოდ დამაგდევ,
იმედი შენგანა მქონდა!

ფრთებს გიგვანდა ყორნისასა
დაო, წარბი ამოსული,
ფუჭი იყო შენთან მზეცა,
აღმოსავლით ამოსული,
ფარშავანგის კეკლუცობა,
ყელი ბროლად ამოსული,
ფერობს შენსა სალომესა
სული მქონდეს ამოსული.

ჭალო, რა ქება შეგასხა,
ვერა ვთქვი ქება ყოვლისა,
ჭაღალდის მსგავსო პირადა,
გმირობა გქონდა ლომისა.
ჭალობაში მოხდენილო,
ბედი არ გქონდა რძლობისა,
ქვეყნად შენ უნდა გეცოცხლა,
იმედი მქონდა რძლობისა.

ღამის ჰაერსა გიგვანდა,
დაო, თმა ბეჭზე გეყარა,
ღრუბლისა წვიმას გვანდეყო,
თუ ცრემლი გადმოგეყარა,
ღაწვი ვარდსა, ტუჩი ლალსა,
კბილი ბროლისა გეყარა,
ღამე მოველ საალერსოთ,
ნათელს გულს მიწა გეყარა!

ყველა ვერ შევძელ შენზედა,
ტირილი ველარ მოვიღე,
ყელსა ხვევნა დამიძვირე,
თვალიდამ ჩინი მიმიღე,
ყოვლისფრითა შემკობილო,
ცოდნაცა კარგი მიიღე,
ყური რატომ არ დამიგდე,
როდესაც მიწას მიგიღე.

შენგან იყო, ქალო, რიგი
უფროსი და დაგეტირე,
შექმენ ჩემთვის ცეცხლის ალი,
ნახვა შენი დამიძვირე,
შუქი შენი მაკოცხლებდა,
საუკუნოდ დაგამკვიდრე,
შავარდნის მზგავსი თვალისა
ცრემლი გულს აღარ მაპკურე.

ჩემნო მოყვასნო ყოველნო,
ამ ცეცხლისთვის შემიბრალეთ,
ჩემი მცირე ანაწერი
კარგის მცნებით მიითვალეთ,
ჩაიფიქრეთ თუ დამძრახავთ
სვინიდისი განიკრძალეთ,
ჩემმა დარდმა ამაყბედა,
ყველამ თვალი განისველეთ.

ცუდი არის ჩემი მოთქმა,
მაგრამ გული აღარ მიძლებს,
ცვილებ დნება ჩემი გული,
იმედსაც არავინ მიდებს,



ცუდი ვინმე წამკითხავი
კარგს მოლექსეთ გააცუდებს,
ცათა მფლობი კარგათ ისმენს,
ღვთისა ხელით დამიტირებს.

ძველსა ცეცხლებს არ ვახსენებ
მე ვიტირებ მაიასა,
ძირით არ ვაქებ მცირესა,
ქებას ვკადრებ მაიასა,
ძმებისგან უმჯობესადა
მე უყვარდი მაიასა,
ძვირათ მინდა მე სიცოცხლე,
რომ ვიგონებ მაიასა.

წუთის სოფელს ჰირისუფლად
დობილიც აღარსადა მყავს,
წრაფის სიკვდილით გათავდა
მაიას ცეცხლი მითა მწვავს,
წვრილი შვილები დააგდო,
არ იციან ცეცხლი დაგვწვავს,
წავიდა გაუხარელი,
მისი ალი ყველას დასწვავს.

ჰაბუკობა მამაცური
გქონდა მაია თავისა,
ჰაბუკობა შენი მსურდა,
სინათლევ ჩემის თვალისა,
ჰკვიანო და ცოდნა სრულო,
უმჯობეს იყავ გვარისა,
ჰირსა შენსა თავს ვაძლევდი,
ხათრი არჩიე მამისა.

ხანსა შენსა ღმერთსა ვთხოვდი
დათ გიყურებდი ბოლომდი,
ხელი გქონდა ცოდნით სავსე,
სიღარიბესა ფეროობდი,
ხლება შენი დიდათ მსურდა,
ჰირისუფლადა მყოლოდი,
ხუთის თვის უნახავს ძმასა,
გამოესალმე ბოლომდი.

კელს ავიღებ შენზედაცა,—
მეც ასე გამოგაჯავრე,
კან დას გეხვეწე, ხან მულსა,
ცოცხლებსა თქვენზე ვახარებ,
კუთის წლისა დამკვიდრებულს
სიდონიას შენ გაბარებ,
კელს მივაპყრობ შენს ობლებსა,
გუნებას მათზე ვახარებ.

ჯერ თქვენ დამჩაგრეთ სოფელსა,
ახლა მე დაგწვამთ გულებსა,
ჯერ ზუას შევრთამ კაის ცოლს,
საზანდრებს უგდებ ყურებსა,
ჯვარს დავწერ გოგიასაცა,
იმათ შევატკბობ სულებსა,
ჯავრისთვის მეც ამასა ვიქ,
არ დავიჩაგრავ გულებსა.

ჰასრე ვიცხოვრებ სოფელსა
სანამ კიდე სული მედგას,
ჰაღარავის მოვიგონებ,
ნეტამც ცოცხლებს სული ედგას,

ჰარც ვახსენებ სამშობლოსა,
არც ვიტირებ კიდევ მე დას,
ჰამდენს თავს ვაწყენ უფალსა,
ნუ მამიშლის ღვდლისა ხედვას.

ჯოი, მკვდარნი დაგივიწყეთ,
სიტყვით დავიამე გული,
ჯოი, ღმერთსა შემახვეწეთ,
მარჯვნით დადგეს ჩემი სული,
ჯოი, ნეტამც სული განახოთ,
გარდგიკოცნოთ თეთრი გული,
ჯოხრა არ შემხვდეს ტანჯვისა,
ერთგან იყოს ჩვენი სული.

აქაც გათავდა მესამე
ლექსი მკვდართა ტირილისა,
ლექსითაც ვერ მოვიქარვე
კვნესა მათის ტირილისა,
ისევე ღვდლის ნახვას ვნატრი,
შემხვეწელი ვარ უფლისა.
ეს მეოთხეცა დავიწყე,
მდუღარი მართებს გულისა.

4

ადიდე, სულო ცოდვილო,
სამისა დღისა აღდგომა!
ადვილად ბძანოს ჩემთვისა
სასუფევლის კარს წარდგომა,

ახოცოს ცრემლი თვალთაგან,
გულსა უჩინოს მალამა,
აჩვენოს საიმედოსა,
კიდევ იცოცხლოს სანამა.

ბეთლემს ქვაბსა ოდეს იშევ
ქალწულისგან, ღმერთო ჩვენო,
ბუდით აფხვერ ცოდვა ჩემი,
გეაჯები, მხსნელო ჩვენო.
ბნელი გული განმინათლე,
წყლული მკურნე ისევ შენო,
ბაასი კარგათ აღმოვთქვა,
არვინ მიხძოს ლახვარ შენო.

გაქვს უფსკრული მოწყალება,
ღმერთო, ამით გევედრები,
გული მიეც მეფეს ჩვენსა,
შეირიგოს თავადები,
განიშოროს ორგულობა,
გააცუდოს მათი მტრები,
გამიცუდებ ვედრებასა,
დიდსა ნაღველს შთავვარდები.

დედავ ღვთისა, გევედრები,
შენ მოგითხრობ ჩემსა დარდსა,
დამითრგუნე სულის დარდი,
მოგაბარებ ცოდვილს თავსა,
დავფიქრდები მწუხარებით,
მუდამ ვიმსებ ცრემლით თვალსა,
დამდევ ხელი წყალობისა
ოდეს შიშვლავს ცეცხლი ძვალსა.



ეგრეთვე გესავ ცოდვილი,
მიითვალე მოწყალებით,
ერთხელ ბძანე, ღვთისმშობელო,
სასუფეველს ვიყო ფლობით,
ევმანოილს შემავედრე,
გავხდე სოფელს ცოდვის თმობით,
ერთი ამით გევედრები,
ცოცხალ ვიყო, არ ოხრობით.

ვითარმედ მსურის ვედრება,
ღვთისმშობელო, შენი მეტად
ვარდის მზგავსად სურნელებავ,
მე ღირს გავხდე შორის ჭვრეტად,
ვაი, ჩემო სულო, ცუდად
რას ინატრი, მზგავს ვით რეტად,
ვარ უდები ლოცვაშიგან,
ეშმაკი არს ჩემზედ მწვეტად.

ზეპირად მე ვით გავბედო,
ღვთისმშობელო, შენი ხმობა,
ზრუნვა განმრავლდა ჩემზედა,
აღარა მაქვს სევდის თმობა,
ზაკვას დაჰხსენ სოფლისასა,
სულს უბოძე მცირე ფლობა,
ზეცის მადლით ამას ვითხოვ,
მე მელირსოს ღვდლისა ხლება.

ღე, დედაო, მოწყალე ხარ
შენ ცოდვილის დედაკაცის
ღე, შენ უწყი ცოდვა ჩემი,
ვკრთები მე მზგავს ვითა კაცის,

ეროვნული ბიბლიოთეკა



Ცე, ცოდვას, ვიცი, ამიხოც,
მაგრამ დარდი გამაოცის,
Ცე, მოყვსისა სიშორემან
ლამის სოფლით აღმამხოცის.

თვითეულად შენ მიითვლი
ღვთისმშობელო, ვედრებასა,
თვალით ტკბილით გარდმომხედე,
დამხსენ ჯავრით ვაებასა,
თიხა დასდვა ძემან შენმა,
აღუხილნა თვალნი ბრმასა,
თვით იმასაც შემავედრე
საყვარლისა პოებასა.

ინდიქტიონი არ ვიცი, —
ღმერთი ვადიდო ლექსებით,
იერემიამ ადიდა
ყოველი ტომნი თესლებით,
იპოვა სასუფეველი,
სიტყვათა წინ წარმთქმელობით.
იმედი მცირე მეცა მაქვს
ვნახო მოყვასი ძთელობით.

კურთხეულ ხარ, დედოფალო
ცოდვილების მოწყალეო,
კარი გამიღე სამოთხის,
მადლიანთან გაძთვალეო,
კადნიერად მოგახსენებ,
ქება მცირე მოვთვალეო,
კბილებს უჭერ სანამდინა,
ღვდელს ვნახამდე, მოწყალეო!

ლახვარი გულსა უგმირეს,
დედოფალო, ძესა შენსა.
ლმობიერად მიითვალე,
ვერ შევიძლებ, ქებას შენსა,
ლოყა მეწვის ცრემლებისგან,
თვალს გიჩვენებ მოდამ სველსა,
ლოკას დაუწყებ მიწასა,
თუ მაჩვენებ კიდევ ღვდელსა.

მამაო, შენ გევედრები,
შემიწყალე სულსა მბრძოლი,
მამაკაცი გააჩინე,
გვერდით ამოართვი ცოლი,
მიეც სამოთხის მკვიდრება,
ნებით მისცეს ეშმაკს სული,
მეც შემყარე საყვარელსა,
არ შევიქნე ოხრათ ქმნული.

ნათელო თვალთ შეუდგამო,
ღმერთო, ხელის ამპყრობელო,
ნათესავისა კაცთათვის
სიტკბოების მომფენელო,
ნუ დამაგდებ ულირსებით,
ჩემთვის ცეცხლის დამშრეტელო,
ნახვას ვინატრი ღვდლისასა,
გულ დამწვარი გამამთელო.

ოდეს იღე ნათელს, ღმერთო,
მამისა სიტყვა გეწამა,
ორთქლსა ჯოჯოხეთისასა,
მოშორდა, ვინცა გიწამა,

ორმოცნი დიდნი მორწმუნე,
შენთვის ტბაშია ეწამა,
ორგული შენი განვარდა,
არვინ ჩაუშვა მიწამა.

პირსა შენსა ლიტანიობს,
ყოვლი სული ერისანი,
პური მიე ცხოვრებისა,
ვინც გადიდებს ქვეყნისანი,
პეტრე მკურნავს გულსა წყლულსა,
მცველი ზეცის კარისანი,
პირსა დავდებ, ამბორს ვნატრობ,
გაჰაგონოს ხმა ღვდლისანი.

ჟამსა მეცხრეს განუტევა
სული ქრისტემ — ჩვენის ხსნისთვის,
ჟინიანობა დაიწყო—
პეტრე მზარის უარისთვის,
ჟიჟინი შექნეს ურიათ,
შური დადვეს იესოსთვის.
ჟამი იყო განთიადის,
პეტრე ნანობს უარისთვის.

რაჟამს უარგყო უფალო,
პეტრეს მიეც სინანული,
რისხვა შენი არ მიაგე,
ზეცას სუფევს მისი სული,
რამდენი სული დაიხსენ,
განამრთელე ცეცხლით წყლული,
რატომ მე კი არ გეწყალვი,
ღვდელი ვნახო ჟამწირული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყრმიდან გხადი, დედაო,
სასოება ხარ გულისა,
სული წმინდა მომივლინე,
კურნება მომეც წყლულისა,
სოფლისა სიმაცდურემა,
სმეხა წამართვა ყურისა,
სათუთად ღვდელმა გამზარდა,
ამბორი მინდა სულისა.

ტაკუკი ხარ შენ ოქროსი,
დედოფალო, გესავ სულით,
ტარტაროსი განმაშორე,
ხმა მასმინე ტკბილი ყურით,
ტირილი სიხარულად ჰყავ,
ნაკლული ვარ დიაღ გულით,
ტკბილის ხმითა ჟამნაწირი,
მაჩვენე მოყვასი თვალით.

ურთიერთას გევედრები,
ღმერთო, შეგიძლია შველა,
უკუნისამდე გადიდო,
განმაშორე სულის მწველა,
უყურე ჩემს სიგიჟესა,
მოგახსენე დარდი ყველა,
უკეთ იცი ყოველივე,
ბატონს ჩვენსა მიეც შველა!

ფრთესა ზედა ვინ იქცევი,
დამიფაროს შენმა ძალმა,
ფერადი ლექსი ვერა ვთქვი,
სიტყვა გკადრე, ვითა მთვრალმა,
ფერი წამართვა სევდამა,
აღარც მიშვა დიდმა ჯავრმა,
ფუფუნებას შევესწრები,
ღვდელი ნახოს ჩემმა თვალმა.

ქუხილს ამსგავსონ ცისასა,
ღმერთო, ესმას ვის ხმა შენი,
ქარის მზგავსად მოგვივლინო,
გაბრიელ, სულთ ამამშვენი,
ქველის საქმე არ მიმიძღვის,
შევიქნები კბილთა მღრჭენი,
ქება შენი აღვასრულო,
ღვდელსა მიეც დიდი დღენი.

ღირსი გავხდე მე ცოდვილი,
ღმერთო, შენის დიდებისა,
ღამესაცა, შენ გაქებდე,
სიტყვა მამე გუნებისა,
ღაწვსა შენს წინ დავისველებ,
შემხვეწელი შვილებისა,
ღვდლისა ნახვას გევედრები,
მონატრე ვარ ყურებისა.

ყველას აძლევ კურნებასა,
ვინც გადიდებს, ღმერთო, წელით,
ყურს მიუპყრობ ვედრებასა,
გაუგონებ ქებას შორით,

ყოველთვის მეცა გაწუხებ,
წარმოვდგები შენს წინ ძრწოლით,
ყელგადაგდებით ნუ გამხდი,
ღვდელი ნახონ ჩემზე გლოვით.

შობლსა ზედა მაწერია,
ღმერთო, ჩემი აღსასრული,
შეივედრე თავი ჩემი,
ჯერ ხორცი და მერმე სული,
შური სძლიე ეშმაკისა,
არ დამიდნეს ცვილებ გული,
შენ აჩვენე ღვდელს კიდევა
საცოდავი სამი შვილი.

ჩურჩული არ დაგემალვის,
ღმერთო, არც ეჭვი გულისა,
ჩემი ვედრება ეს არის
მწველი მარიდე სულისა,
ჩრდილი გავხდე ოდეს სოფელს
სმენა დამეყოს ყურისა,
ჩემსა პატრონს მიმაბარე,
შემკობა იცის სულისა.

ცათა მყოფო, შენვე გიხმობ
სოფლად ნათლის მომფენსავე,
ცთომას დამხსენ სოფლისასა
მაზრზინებელს ეშმაკსავე,
ცუნცულითა შემიყვანე
სასუფევლის კარებსავე,
ცა ნათლითა შემიზღუდე,
შეგახვეწებ მე ღვდელსავე.

ძნიად არის მოსათვლელი,
ღვთისმშობელო, შენი ქება,
ძალი შენი თუ არ მფარავს
ძნელი ცეცხლი მამედება,
ძესა შენსა შემავედრე,
ჩემჳან ქება არ ეგების,
ძილშიაცა შენ გადიდო,
თუ ღვდლის ნახვა მეღირსება.

წყვდიადი ვარ უმეცარი,
სიკვდისაგან შეპყრობილი,
წავალ ამა სოფლიდამა,
მოყვასისგან დათმობილი,
წვრილი შვილები დამრჩება,
შეიქნება ობლად ქმნილი,
წირვას მდგომი ვეღარ ვნახო
ღვდელი საყდარს შემკობილი.

ჭეშმარიტად, ღმერთო, იხსნი
ყოველსა შენსა მქებელსა,
ჭირვეულსა სულსა ჩემსა
აშორებ ცეცხლსა მგზებელსა,
ჭანგი მზარავს სატანასი,
დედავ, გეაჯი შველასა,
ჭირსა შემყარა მოყვასმა,
ნახვას გახვეწებ ყველასა.

ხვალისაგან მიგიყვანეს,
ღმერთო,ჩვენის ხსნისთვის ტანჯვად,
ხელი გკადრეს დამბადებელს,
თავი მიეც მტერთა ლახვად,

ხურთითა ცემა თავს იდევ
დედა გვჰვრეტდა ჯვარსა ავად,
ხელის აპყრობას მეც ველი,
არ შემლებო ღვდელზე შავად!

კატი მონისა მიიღე,
განგვანათლე შენი მჭვრეტი,
კსენებას შენს ვითა ვბედავ,
თუ არა ვარ ჭკუა ცეტი,
კელი შენი თუ მიფარავს,
მეღირსება ნათლის სვეტი,
კედვას გხადი მე ღვდლისასა,
ამით გავხდი ენა მკვნეტი.

ჯვარი თავის მცველად მოგვცა,
ერსა თვისსა მოწყალემა,
ჯოჯოხეთისგან დაგვიხსნა,
პირუტყვთ ბაგას მწოლარემა,
ჯა მიიღო ჩვენის ხსნისთვის,
ზეცით ნათლის მთოლარემა,
ჯერ მეც ვიდებ მისგან იმედს,
მოყვასი ვნახო მცინარემა.

ჰადვილად ვბედავ ქებასა,
ღმერთო, გახსენებ ცოდვილი,
ჰაერით მომეც ფონება,
მოწყალება გაქვს ლმობილი,
ჰთრთოლა მაქვს დიდი დარჯისა,
ცოდვა მიბოძე თმობილი,
ჰაჩვენე კიდევ მშვიდობით,
ღვდელსა თავისი ცოლშვილი.

ჯოი, ღმერთო, შეგაწუხე,
საძაგელის ბილწის ენით,
ჯოი, რამდენი უფერი
სიტყვა გკადრე ღვიძლთა ქშენით,
ჯოი, წერაც მომეწყინა,
შეგაწუხე მუდამ ცრემლით,
ჯოი, პატრონის ნახვასა
მე მოველი ისევ შენით!

აქ გავათავებ საუბრით
მეოთხე ანბანთქებასა,
მეხუთე მინდა დავიწყო,
ნუ მეტყვით თვალთა კლებასა.
თუ შემეწევა უფალი,
მიფონებს სულთა ღებასა,
სულით მიბძანეთ შენდობა,
ხორცი არ ღირსა ქებასა.

5

ანბანთქებისა გასათავებლად
ბოლოს დავიწყე ჩახრუხაული,
ამდენმა ცუდმა წიგნის წერამა
მე დამიკოდა უდროოდ გული!
ამას იმიტომ გიწერთ, მკითხველნო,
გული შემექნა უცილოთ წყლული,
ამდენს ცრემლს ვიდენ თავი გაწ-
ყინოთ,
ღმერთს შეავედროთ თქვენ ჩემი
სული.

ბაგე გამიშრა მუდამ ჯავრითა,
მე მოვინდომე ეს წერა ამით,
ბნელად შემექნა წუთისოფელი,
ველარ უყურებ რა მოყვასს თვალით.
ბევრნი მიძრახვენ გაგონებისთვის—
რად გაითავებ თავს აგრე ჯავრით?
ბედმან მაღირსოს ბატონი ჩვენი
შერიგდეს მეფეს მაღლისა ძალით..[1]

6

პირველად ანბანთქება ვთქვი,
სიტყვისა ძალა არა მაქვს,
გონება ცეცხლით ამევსო,
თვალი ცრემლითა სავსე მაქვს!
უდედმამოსა, უდოსა
იმედი ნეტარ ვისი მაქვს?
ჭირისუფალი არა მყავს,
სიკვდილის მოლოდინი მაქვს.

უბედო ბედი ჩემზედა
თქვა ნესტან-დარეჯანმაცა,
მე უარესი მამიხდა,
უნდა იწუხოს მტერმაცა,
უდროოდ ესეც ვიხილე:
მე დამთმო საყვარელმაცა,
მოვკვდები თვალცრემლიანი,
ველარ მიტიროს ღვდელმაცა.

---

1 ამ ტაეპის შემდეგ ხელნაწერს აკლია ფურცლები. (ლ. ა.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცასა ვახსენებ, ეგების
იმედი მომცეს მე ამან,
ეს ოთხი წელიწადია
ყურებამ მომკლა გზისამან,
სიკვდილეულმაც მამართა,
სიმწარემ კარგის დისამან,
ახალ ამბავსა ვინატრი,
გული დამიყო მე ამან.

ცაო, ხან ნისლით მოსილო,
ხან მოკაშკაშევ დარითა,
შენ ხედავ ჩემსა დარდებსა,
როგორ შევკრულვარ ჯავრითა.
კეთილი სუფევა მიეც,
ვისგან მე ვიწვი ალითა,
სიკვდილის დღესა მაინცა
კიდევ მაჩვენე თვალითა.

ცაო, შენ გმკვიდრობს მეუფე,
ამას ხადს სული ყოველი,
თავისუფლება გიბოძა,
აღავსო წვიმითა ველი,
თუ გწადის კაცსა გაუწყრე,

. . . . . .

შემიპყრა მწუხარებამა,
წყალობას შენგან მოველი.

მზეც შენი ხელქვეითია,
როდესაც გინდა ადარებ,
თუ რამე ურჩობა გიყო,
ღრუბლებსა პირზე აფარებ,

სხივსა დამალავს შიშითა,
ქვეყანას აღარ აკარებ..
საყვარლის მოშორებული,
სულსა კეთილად გაბარებ.

მთვარეცა დედად შენ გხადის,
ნათელსა მოფენს ისიცა,
ყოვლის კეთილით შემკულო,
გარს გახვევია ნისლიცა,
მთვარე მოგვიძღვენ ღამესა,
ქებით მოგვივა ძილიცა,
ისმინე მცირე ვედრება,
მოგვართვა ცრემლის მილიცა.

როს დაღამდები, მშვენებით
შობო ვარსკვლანი სრულად შენ,
დაასხამ რიგად და ტურფად,
ღამისა მთევლად დააშენ,
სურვილს ინატრის ყოველნი,
გიჭვრეტენ თვალით მუდამ შენ,
მეც გხადი მუდამ ცრემლითა,
სუფევას საყვარლისასა შენ.

მზეო, შენა ხარ ცას გარდა
ქვეყნად დაბალთა მხედველი,
აღმოსავლიდგან აღმოხვალ,
ნათლით აღავსო მთა-ველი,
კამკამობით მოარულობ,
გიჭვრეტს შემფრენით ყოველი,
შენ ხედავ ჩემსა სურსა და
მე აღარ მისი მხედველი.

გადიდო, რა მოვიგონო,
არ ვიცი ქება სწორისა,
შუქი გაქვს კაცთა დამწველი,
ვერ გამართვული თვალისა,
ჩარხი გაქვს სწრაფად მომქმედი,
მუშა ხარ მალე დასვლისა,
ნუ განმაშორებ სატრფოსა
იმედი მომეც მოსვლისა.

შენ მზეო, მისთვის გაწუხებ,
გხედავს მტირალის თვალით ის,
ქება და რიტორი ენა
ჩემგან იმან უკეთ იცის,
ნუ გაგვყრი ერთად დაზრდილთა,
ჩემგან აცოცხლე მეტად ის.
ანბავსა ნუ დამიძვირებ,
სხვაგან წავიდეს, ვინ იცის.

რომ დააპირებ ჩასვლასა,
მუშა შეიქს შურებასა,
გევედრებიან, ნუ მიხვალ,
მოვეშლებით ყურებასა,
მიხვალ საწოლსა შვენებით,
დედა შეიქს სურებასა,
მეცა მაჩვენე ნუგეშსა,
ველი ცრემლის პკურებასა.

მთვარევ, ამოხვალ კეკლუცად,
რა მზეს შუქი მოეფარვის,
შენცა უჭვრეტ ქვეყანასა,
ვერვინ ვერსად დაგემალვის,

მართ ვერ გაქებს შემხედველი,
თვალთა ჩინი გაეპარვის,
ვერ გადიდებ შენ რომ უწყი,
გული ცეცხლია დამეფარვის.

შუა გაყენებთ ყოველთა,
ცის მნათობთა ღვაწლთა შინა,
მზესა, მთვარესა, ვარსკვლავთა,
გევედრებით გულსა შინა,
მეოხება შეგიძლიანთ,
განკურნება წყლულსა შინა,
მეც შემყარეთ საყვარელსა,
სანამ ჩავწვე საფლავს შინა.

შენ საწყალო ჩემო თავო,
რასა ყბედობ ვით მყეფარი,
გული გევსება დარდითა,
გეხვევა ალი მგზებარი,
რას გაარიგებ მაგათი
მწუხარება დაიფარი,
ანბავი სთხოვე უფალსა,
გუნება მათი ახარი.

მე ვარ სიკვდილით მომკალი,
თვალი მით მაკლებს წერასა,
ასრე მომიცავს დარდები,
ველარ ვხედავდე ვერასა,
ახია თუმცა გავშმაგდე,
თავი მივაპყრა კერასა,
მოვშორდი ამოდ გამზრდელსა
გამოვესალმე ცქერასა.

მე მძრახავს ყოვლი მსმენელი,
რად მუდამ ცრემლი სდისადა?
ის იყო თხუთმეტის წლისა,
შევხვდი მე ცხრისა წლისადა,
ნებიერობით გამზარდა,
არ გამიფრთხობდა ძილსადა,
იფიქრეთ, ანბავსაც ვნატრობ,
რათ მინდა შუქი მზისადა?

ეს მწუხარება მცირეა,
ღირსია ჩემზედ სიკვდილი,
წუთისოფლისა ცხოვრება
ცრემლად შემექნა სურვილი,
სიშორე ძნელი ყოფილა,
მრავალჯერ გულის ტკივილი,
ჩემს გარდა ვის მოუნახავს
სიყრმითგან ასე ჩივილი?

ეს ოთხი წელიწადია
მაყურებელი ვარ გზისა,
სიშორემ ცეცხლი მომიდვა,
მომიმატა ჭირი ჭირსა,
არლავინ მახსოვს მის მეტი,
ვისთვის ჩემი თვალი ტირსა,
მომშორდა მისგან ნუგეში,
იმედი არა მაქვს სხვისა..

ჩემი დარდის აღსრულება
არ ეგების ასრე წესით,
ღმერთო, თუ გწადს, მისი ნახვა
მეღირსება ისევ შენით,



სიშორის მადლობას გიძღვნი,
განმაცოცხლე ანბის სმენით,
კიდევ ვნახო სიკვდილის დღეს,
დავიმარხო მისი ხელით.

ღმერთო, რომელმან აგვიხსენ
ცოდვილნი ცეცხლთა წვისაგან,
მეც შემიბრალე უღირსი,
დამწვარი ცრემლთა ყრისაგან,
ვისაც გახვეწებ ისმინე,
განთავისუფლე მტრისაგან,
არვის ვეწყალა მის გარდა,
ბედი არა მაქვს სხვისაგან.

სანამეტნაოდ სხვაზედა
გული მითა მაქვს მრჩობლადა,
დამიპყრა სნეულობამა,
ტანი შემექნა სრბოლადა,
არა მყავს ხელის მკიდველი,
საწოლს მიმიღოს სწორადა,
დამრჩება სამი ქალვაჟი
შეიქნებიან ობლადა.

დედმამით დავრჩი ობოლი
დებისგან დაუტირალი,
აქამდინ არვინ მახსოვდა,
არც მქონდა გულსა მე ალი,
თავს მადგა ჩემი ნუგეში,
მით ვიყავ მუდამ მცინალი,
მომშორდა, ამად შევიქენ
ყველასი ახლა მტირალი.

ვიცი, ყველას მოუნახავს
ჩემგან კიდე მწუხარება,
სანამეტნაოთ მით ვწუხარ,
აღარა მაქვს ტანსა შვება,
სანამ ვყვანდი გვერდთა მისცა
ჩემგან ქონდა შეწუხება.
ახლა ვკვდები, ნუგეშისგან
ცრემლი აღარ მეღირსება.

უნუგეშოს ვიცი სოფელს
ყოფნა არსით არ ეგების,
თუ არა სჭვრეტს საყვარელხა
გული ლახვარს დაეგების,
მერმე ჩემსავით უდასო
გული ვისგან დაედების,
ვინცა ხარობს სამშობლოთი
ბედი იმას დაედების.

სიმწარემ ასე დამადნო
ვითა სანთელი ალითა,
ჯერ სიკვდილისგან დავარდი,
მზე ვეღარ ვნახე დარითა,
ახლა ფიქრებმა მომიცვა,
ძილი ავკვეთე ღამითა,
ცრემლისა დენამ მომაგო,
ვეღარას ვხედავ თვალითა.

ჩემსა დარდსა სოფლიერად
ბრძენი მცირედ განასრულებს,
თორემ მე რით შემიძლია
თვალი ცრემლსა დააგუბებს,

თუმცა ვსთმენდი მოლვაწებას,
სულსა ადგილს დააყუდებს,
ჩემგან კიდე ფიქრში მყოფი
სულსა ვერვინ დაიუნჯებს.

სულსა ვჭანჭამ, ხორცსა ვაკლებ
მე ამა ფიქრის მოყოლით,
სნეულობასაც ამიშლის,
ლოგინს გავხდები მიწოლით,
ვერ მოვთვლი ჩემსა დარდებსა,
ვინ იცის ვისი სიშორით,
სანამ სული მიდგს, გაწუხებთ
მოყვასთა დარდი იპოვით.

სიკვდილეულის მადლობას
უფალს უძღვნიდი ყოველთვის,
კმა იყო ჩემთვის ნუგეშად,
ვის მუდამ თვალი ხედევდის,
ვერ ვხედამ ახლა მოყვასსა,
ცრემლი მით ზღვასა შეერთვის,
ვინა მწვავს მისი ალითა,
მას ჩემგან მჯიღვი არ ეკვრის.

ვის გინდოდესთ ჩემთვის კარგი,
ღმერთსა სთხოვეთ მუდამ ესა:
დამიტიროს საყვარელმა,
მან უჭვრიტოს კიდევ მზესა,
ოღონც პირში სული ჭდგას,
თუნდ ნუ ვნახო ორმოც წელსა,
თუმცა მოვკვდი უიმისოდ,
გულხელს არვინ დამიკრეფსა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქაია



მაია გაბაონი

მაია გაბაონი, ანუ გაბაშვილი, მე-18 ს. პოეტების რიცხვს ეკუთვნის. მისგან შენახულა ერთად-ერთი ანბანთქება—„ახზე სით მიხვალ„, რომელიც ჩვენი აღორძინების ხანის პოეტური კულტურის მეტად დამახასიათებელ ნიმუშს წარმოადგენს.

გაბაშვილების გვარი მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში გამოვიდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწინავე ასპარეზზე. ამ გვარის ცალკეულ წარმომადგენლებს საკმაო გავლენა ჰქონდათ მმართველ პოლიტიკურ და კლერიკალურ სფეროებზე და აგრეთვე საზოგადოებრივ—სახელმწიფო ცხოვრებაზე.

გაბაონელთა გვარს ეკუთვნოდნენ თავის დროზე ცნობილი პირები: ტიმოთე მიტროპოლიტი, ზაქარია დეკანოზი, მისი შვილები: ოსე, ბესიკი (პოეტი) და სხვ.

ტიმოთე მიტროპოლიტი დაახლოვებული პირი იყო ანტონ კათალიკოზისა. ტიმოთე ავტორია თეოლოგიური ტრაქტატების. მან იმოგზაურა აღმოსავლეთის წმინდა

ადგილებში და თავისი შთაბეჭდილებები აღწერა მეტად საგულისხმო წიგნში „ტიმოთიანში“. ეს წიგნი 1852 წელს გამოსცა პლატონ იოსელიანმა.

უდიდესი გავლენით სარგებლობდა თავის დროის საზოგადოებაში მეორე წარმომადგენელი გაბაშვილების გვარისა, — ზაქარია დეკანოზი. ეს იყო თეიმურაზ მეორისა და ერეკლეს კარის მოძღვარი. „მცირე უწყების“ ავტორის სიტყვით, ზაქარია იყო „ძველთა ფილოსოფიისა სწავლათა შინა გამოცდილი და ღვთისმეტყველებისაცა მიწევნილი, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე... მშვენიერი მწერალი და მთხუზველი მაღალსა ფრასსა ზედა, უცხო პიიტიკოსი და მღვდელობითა სრული“...[1]

ზაქარია მოძღვარმა თავი ისახელა ორტოდოქსალური მართლმადიდებლობით. მან თავისი გულმოდგინე მეცადინეობით და საბა ნინოწმინდელის თანადგომობით მოახერხა გაკათოლიკებული ანტონ კათალიკოზის სამშობლოდან გაძევება.

ზაქარიას კალამს ეკუთვნის ცნობილი პოემა-სატირა „კატის ომი“, სადაც აწერილია ანტონ კათალიკოზის გაბმა კათოლიკე მისიონერთა ქსელში, მისი გასამართლება და შემდეგ ექსორია[2].

ზაქარია გაბაშვილის ოჯახი განთქმული იყო მწიგნობრობითა და განათლებით. ამ ოჯახმა ქართულ პოეზიას მისცა მე-18 ს. უდიდესი პოეტი-ლირიკოსი ბესიკი.

გაბაშვილების მწიგნობრობის სიყვარულით განთქმულ გვარს ეკუთვნის ზაზა გაბაშვილის ასული მ ა ი ა ც. მის-

---

[1] „ძველი საქართველო“, ტ. II, განყ. 3, გვ. 35. „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“.

[2] „ანთოლოგია“, ტ. II, გვ. 232, 1928 წ.

გან დარჩენილა ერთი პატარა, მაგრამ მეტად თავისებური პოეტური ნაწარმოები, რომელსაც ეწოდება „გ ა მ ო ც ა ნ ა ა ნ ბ ა ნ ზ ე“. ის წარმოადგენს ორიგინალური ხასიათის ანბანთქმებას.

მაია გაბაშვილის ცხოვრების შესახებ თითქმის არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. მისი ბიოგრაფიის შესახებ ვერაფერს გვეუბნება მისი ანბანთქმებაც. ამ მხრივ მაიაზე უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან სხვა პოეტი ქალები: სალომე, მანანა, მაკრინე.

—

„ანბანთქმა“ სამაგალითო და მეტად საგულისხმო ნიმუშია მე-17-18 ს. ვირტუოზობამდე მისული ქართული პოეტური ხელოვნებისა. ამ დროს აღარ კმაყოფილდებიან რუსთველის თექვსმეტმარცვლოვანი შაირით და ჩახრუხაული, ძაგნაკორული და სხვა მეტრებით. ქართული ვერსიფიკაცია მრავალფეროვანი ხდება. შემოდის ირანული და თურქული ყაიდის ლექსები. ჩნდება ახალი პოეტური ფორმები: დიალოგი, ანბანთქმა, ეპისტოლარულ-ბიოგრაფიული პოემა და სხვ.

ანბანთქმა წარმოადგენს აკროსტიხულ ლექსს. იგი მრავალნაირი ტიპისაა. ანბანთქმის სხვადასხვა ფორმის გასაცნობად მოგვაქვს რამდენიმე ნიმუში:

პ ი რ ვ ე ლ ი ტ ი პ ი:

პირველი ხანის ყველა სტრიქონი იწყება ა-ნზე დაწყებული სიტყვით, მეორე ხანის ყველა სტრიქონი—ბ-ანზე დაწყებული სიტყვით, მესამე ხანის—გ-ანზე, დ-ონზე და ასე ბოლომდის,—გამოყენებული უნდა იქნეს ქართული ანბანის ყველა ასო.

ასეთი ტიპის ანბანთქმების ნიმუშს წარმოადგენს სალომე ფარსადანის ასულის „მწუხარებისა ანბანთქმანი“.

მეორე ტიპი:

სიტყვები ხანაში მისდევენ ერთმანეთს ანბანის თანრიგით, ა-ნიდან ჯ-მდე:

„არა ბძანებ ბიორგ დედად
ესე ბიყავ ზეზ ცეთერად“
(ვახტანგ მეექვსე).

„აღვძრა ბაგე, ბული დავდვა
ეს ვის ზე ცე თამაშობდეს,
იცოდე ძი ლომ-მონაკვთე
ნებ ტრ პრტყელი შამად რბოდეს...
(არჩილ მეფე)[1].

მესამე ტიპი:

„ანო ალვისა, ბანო ბროლო,
ბანო გარევით ნაყოფად ესხეს...“
(თეიმურაზ პირველი)[2]

„ამას ვსტირი, ბნელსა მჯდომი,
ბულთა მდუღრად დადაგული“...
(ქეთევანი)

სამივე ტიპის ანბანთქმა შემოიღო ქართულ პოეზიაში თეიმურაზ პირველმა. არჩილ მეფეც იჩემებს ერთი ახალი ტიპის ანბანთქმის შემოღებას, სადაც პირველ

[1] წ. კ. № 135. „არჩილიანი“.

[2] თეიმურაზ პირველის ლექსები. ზ. ჭიჭინაძის გამოც. ტფ. 1886 წ. გვ. 61.

სტროფში ყველა სიტყვა იწყება ა-ნით, მეორეში ბ-ანით, მესამეში გ-ანით და ასე ბოლომდე, მაგალითად:

„ასე არის აგებული
ამგებელსა აქ აქებდეს“... და სხვ.
(ვახტანგ VI)

მოტანილ ნიმუშებს გარდა იყო კიდევ ანბანთქების მრავალრიცხოვანი ვარიაციები. ყოველი პოეტი ცდილობდა გამოეგონებინა ახალი ანბანთქება; მე-18 ს-ში ანბანთქება გადაიქცა პოეტის ვერსიფიკატორული დახელოვნებისა და შემოქმედებითი პოტენციის ერთგვარ კრიტერიუმად.

ანბანთქება საუკეთესო გამოხატულება იყო თვითმიზნური პოეზიისა; არისტოკრატიულ-ფეოდალური ლიტერატურა, დაშორებული ხალხის ცოცხალ შემოქმედებას, მოკლებული ჯანსაღ საზოგადოებრივ ფუნქციას და მიზანსწრაფვას, იქცეოდა სალონურ გართობის საგნად, იცლებოდა იდეური შინაარსისაგან, ხდებოდა ცარიელ ვირტუოზობად, უსაგნო და უმიზნო ფორმად...

ეს იყო ჩიხი, რომელშიდაც მოექცა მე-18 ს. ქართული პოეზია. ამ ჩიხიდან მან გამოსავალი ჰპოვა მხოლოდ დავით გურამიშვილის შემოქმედებაში. ამ გენიოსმა პოეტმა ქართული პოეზია დაუბრუნა ხალხური შემოქმედების პირველწყაროს, მისცა მას ახალი იდეური შინაარსი და გარკვეული სოციალური დანიშნულება დაუდვა საფუძვლად მის შემდგომ განვითარებას...

თეიმურაზისა, არჩილისა და ვახტანგ მე-VI-ის გარდა ანბანთქება უწერიათ თეიმურაზ მეორეს, ბესიკს, თვით დავით გურამიშვილს და სხვა ცნობილსა და უცნობ პოეტს, რომელთა რიცხვი უთვალავია მე-18 საუკუნეში.

ანბანთქებათა შორის მეტად თავისებურია გასაოცარი ხასიათის ანბანთქება „ანზე სით მიხვალ“. კლასიკური ნიმუში ამგვარი ანბანთქებისა მოცემული აქვს ბესიკს:

„ათინად ბრძენთა გაზრდილი
აზიად ვმგზავრობ არესა,
ამირბარს ვეყმე ავთანდილ,
ამოდ რა ლმობიარესა..“ [1]

ანბანთქებანი უწერიათ აგრეთვე დიმიტრი ორბელიანს, იოანე ბატონიშვილის ძეს გრიგოლს და სხვა უცნობსა და ნაცნობ პოეტებს.

მაია გაბაშვილს თავისი „გამოცანა ანბანზე“ ჯერ კიდევ „სიყრმისა ჟამსა“ ჰქონია „წარმოთქმული“. ამ ნაწარმოების წინასიტყვაობაში მაია მკითხველს აცნობს თავისი ორიგინალური ანბანთქების ერთგვარ სუჟეტურ კომპოზიციას:

„აწ ასე მინდა ანბანის
გამოცანა ვთქვა ენითა,
ვის ვმონებ, ანუ სით წავალ,
სახელად რა გვიხმენითა,
მშვილდი რისა გვაქვს, ისარი
ან რისა იხმარენითა,
ნადირს რას მოჰკლავთ, რაში ჰკრავთ,
ქვევითად სდევთ, თუ ცხენითა?“

ამ დასახულ ამოცანას მაია ზედმიწევნილი ერთგულებით ასრულებს თავის ნაწარმოებში. საგულისხმოა ეს ანბანთქება და საერთოდ ყველა ამ ტიპის ანბანთქება იმ მხრივ, რომ იგი გვიჩვენებს ავტორის გონება-მახვილობას, მხატვრულ გემოვნებას, ლექსალურ კულტურას

[1] ბესიკი—„ფედერაციის“ გამოც. 1932 წ. გვ. 71.

და ამავე დროს ერუდიციას მითოლოგიის, გეოგრაფიის, ისტორიის და ბუნებისმეტყველების სფეროში. ამდენადვე იგი მაჩვენებელია თანადროული საზოგადოების კულტურული დონისა.

მოგვყავს მაიას ანბანთქების დასაწყისი ორი ხანა:

„ალმასხანისა მოყმე ვარ,
ანდრია მეწოდებისა,
ანდრით წამოსული ვარ,
ამლევს მავალი ნებისა,
ალუჩის მშვილდი ხელთა მაქვს,
ატმის ისარი ეწებისა,
ალაღს ვკარ, ასო მოვტეხე,
იგი უმალვე კვდებისა“.

—


„ბაგრატიონთა ყმობითა
ბარამ თავი მაქვს ქებულად,
ბარალეთიდამ წამოველ,
ბახტრიონს გზა მოვლებულად,
ბალამწარისა მშვილდი მაქვს,
ბალის ისარზე წებულად,
ბატსა ბარკალს ვკარ, მოვტეხე,
სისხლით შეიქნა ღებულად“...

ამგვარ შემოქმედებას, ცხადია, არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის, მაგრამ იგი მოწმობდა იმ უდავოთ დიდ ვერსიფიკატორულ კულტურაზე, რომელიც მე-18 საუკუნის საქართველოში აღორძინდა[1].

---

[1] მაია გაბაშვილის „გამოცანა ანბანზე“ შენახულია წ. კ. ხელნაწერში № 1582. დედანი ანბანთქებისა ჯერჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. არსებული პირი სავალალო სანახაობას წარმოადგენს უმეცარი გადამწერის წყალობით. პირი გაკეთებული უნდა იყოს მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, რაც სჩანს სათაურიდან, სადაც მაია გაბაონის ნაცვლად სწერია გაბაოვი...

მაია გაბაშვილის ანბანთქება იბეჭდება პირველად.





თქმული ზაზა გაბაოვის ასულის მაიასი გამოცანა ანბანზედ



ენ ასე მინდა ანბანის
გამოცანა ვთქვა ენითა:
ვის ვმონებთ, ანუ სით წავალთ,
სახელად რა გვიხმენითა,
მშვილდი რისა გვაქვს, ისარი
ან რისა იხმარენითა,
ნადირს რას მოჰკლავთ, რაში ჰკრავთ,
ქვეითად სდევთ, თუ ცხენითა.

—

ალმასხანისა მოყმე ვარ,
ანდრია მეწოდებისა.
ანდრიით (?) წამოსული ვარ
ავლევს მავალი ნებისა.
ალუჩის შვილდი ხელთა მაქვს,
ატმის ისარი ეწებისა.
ალალს ვკარ, ასო მოვტეხე,
იგი უმალვე კვდებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრატიონთა ყმობითა
ბარამს თავი მაქვს ქებულად,
ბარალეთიდამ წამოველ,
ბახტრიონს გზა მოვლებულად,
ბალამწარისა მშვილდი მაქვს,
ბალის ისარზე წებულად,
ბატსა ბარკალს ვკარ, მოვტეხე,
სისხლით შეიქნა ღებულად.

გარსევანისა მოყმე ვარ,
გურგენ არს ჩემი სახელი.
განჯით წამოველ, ვიარე,
განძღომით ვიქმენ მნახველი.
გუნდისა მშვილდი ხელთა მაქვს,
გრაკლის ისარი მახული,
გარიელს გვერდსა ვესროლე,
ისარი იქმნა მარხული.

დავით სარდლისა ყმაჲ ვარ,
დომენტი მქვიან სახელად,
დამშლუტით (?) მგზავრი-მაშვრალი,
მივალ დრესისა მნახველად,
დაფნისა მშვილდი ხელთა მაქვს
დასნტამბოლისა (?) ისარი...
დათვსა ვკარ, დაყვი მოვსტეხე,
მე ეს მეყოფის სახელად.

ერეკლეს ყმა ვარ, ერასტი,
ერთგულად ნამსახურები,
ერევნით მოვალ ერტისას,
მრავლად მახლავან ყულები,

ეკალ-მუხისა მშვილდი მაქვს,
ეკლის ისარზედ სხმულები,
ერკემალსა ვკარ ენასა,
მტერთა მით ვწიე გულები..

ვახტანგის განაზარდი ვარ,
ვახუშტი მეწოდებისა,
ვახანით ვანათს მავალსა,
ბელადათ მახლავს გზებისა.
ვაშლისა მშვილდით ვარდისა
ისარი მარჯვედ ხვდებისა,
ვეფხვსა ვკარ, ფეხი მოვტეხე,
უმალ შიგ გავარდებისა.

ზურაბის ყმა ვარ, სახელი
ჩემი ზაალი არისა,
ზაულისტანით წამოველ,
ჩღუდრს ჩემი სახლი არისა,
ზეთისხილისა მშვილდი მაქვს,
ზღმარტლის ისარი არისა,
ზაქსა ზურგში ვკარ, მოვტეხე,
მისთვის დღე მწარე არისა.

Ცენუქს ვემონე Ცულისა,
დავჯერდი, შემწედ მეყოფა,
Ცალაბით Ცარშტახანს მიველ,
მგზავრობა მუნაც მეყოფა,
Ცმშვილდი ისრითურთ დავკარგე,
საწუხრად ესეც მეყოფა,
Ცუიარაღოდ ვინც ნადირს
მოჰკლავს, სახელად ეყოფა.

თამაზის მოყმეს სახელად
თომაი მეწოდებისა,
თამგრგვალით მივალ თაგუთსა,
მრავალი ვაცი კვდებისა,
თრიმლის ისარი ხელთა მაქვს,
თხილისა მშვილდს ედებისა,
თაყვსა ვკარ, თავი გავუპე,
ის ფეხზე ვეღარ დგებისა.

იულონისა მოყმე ვარ,
იოანე მძის სახელი.
იმერეთს მივალ მაშვრალი,
ისპაანისა მნახველი,
იფნისა მშვილდი ხელთა მაქვს,
ილისა ისრის მჩახველი
ირემს იდაყვს ვკარ, მოვტეხე,
მე შემრჩა მხარი და ხელი.

კიკოლას ვმონებ, სახელად
კონილი მეწოდებისა,
კონდოლით მოვალ კოდაზედ,
ცოტა რამ საქმე მხვდებისა,
კაკლისა მშვილდი ხელთა მაქვს,
კუნლის ისარს ეწებისა.
კატას ვკარ, კუდი მოვწყვიტე,
ვგონებ ჯერისც ეწვებისა,

ლუარსაბისა მოყმე ვარ,
მე ლომე მეწოდებისა,
ლორით წამოველ ლუკუნში,
სად ირმის ჯოგი დგებისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიმონის ხელთ მაქვს ისარი,
ლეღვის მშვილდს დაეგებისა,
ლაკლაკს ვკარ, ლაში გავუპე,
ერთს ალაგს გაშეშდებისა.

მირკვირი მწყალობელი მყავს,
მანუჩარს სახელოვანსა,
მარაბდით მოვალ მანგლისსა,
ამბობენ დიდად მთოვანსა,
მუხისა მშვილდი ვუშოვი,
მურყნის ისარსა ფრთოვანსა
მაიმუნსა ვკარ მუცელსა,
იგ შეიხვეწა კლდოვანსა.

ნარიმანმა ღვაწლი დამდვა,
ნოდარსაცა მივებარე,
ნორიო—ნინოწმინდიდამ
ცეცხლი დავავსე მგზებარე,
ნარინჯის მშვილდი ვიშოვნე,
ვარ ნაძვის ისრის მქებარე,
ნარაქლემას ვკარ ნაჩერსა,
მუნ მკვდარი იქმნა მდებარე.

ომანის ყმა ვარ, სახელად
ოთარი მეწოდებისა,
ოსეთით მივალ ოდიშსა,
მათ არ იციან მცნებისა,
ოტურის მშვილდი ხელთა მაქვს,
ოფის ისარი ხმებისა,
ორბსა ვკარ, ორად გავაპე,
ეს იქნა თქვენის ნებისა.

პეტრეს ვემონე, პავლეცა
არს დიახ დიდათ ქებული,
პონტოით შევხვდი ვაჭართა,
პეტრებრუხს ვიქმენ რებული,
პანტისა მშვილდი ვიქონე,
პილპილის ისარს ხებული,
პილოს უმარჯვე პირშია,
ხორთუმი იქნა სვებული.

ჟამუტა მქვიან სახელად,
ჟურულსა ვეყმო მე ვითა,
ჟანგისიდან მე მოვედი,
ჟინვანს კაისა ქცევითა,
ჟოლოს შვილდის თლა მომწყინდა,
ჟოლოს ისრისა წევითა,
ჟრუნს ჟამად ისარს ვერ ესვრით,
მითა ხართ ცნობა რევითა.

რომანოზს ვმონებ როსტომი,
ერთგულად ნამსახურია,
რუისით რუსეთს წავედი,
მგზავრობა მოსასურია,
რტოს მშვილდად ვპოე ისარი,
შიგან მუცელში ურია,
როჭო მან უნიშნოთ მოკლას,
ვითა ირემი ფურია.

სოლომონ ბრძნისა ქებასა
სვიმონ ვერ ვიტყვი ენითა,
სასირეთიდამ სურამსა
გზა შევიმოკლე ცხენითა,

საროსა მშვილდი ვიქონე,
სხლისა ისარი ფრენითა,
სასარაკსა ვკარ სასასა,
უკან გაუდექ რბენითა.

ტარიელ ტეტიას ვმონებ,
მისგან ვარ განაზარდია,
ტინისხიდიდან ტბას მიველ,
გზას ვერ ვიხილე ბარდია,
ტირიფის მშვილდი ტივისა
ისარს არ აუჩქარდია,
ტურას ტანში ვკარ, მოცავკალ,
მით მომწონს თავი მარდია.

ურბნელს მივემხრე უთრუთი,
მან უნდა მომიაროსა,
ულუნბით ვგვალე უსანეთს,
ამათ რა შეედაროსა?
ურთხლისა მშვილდი ვიქონე,
უნაბი მსგავსი საროსა,
უზანბარს უპეს გაუპობ,
ვგონებ მასცა უმწარესა.

ფირანს ვეახელ ფარსადან,
მისგან წყალობას მოველი,
ფხვენისით მივალ ფიტარეთს,
მით გავახარე ყოველი,
ფისტისა მშვილდსა ვიხელთებ,
ფინიკის ისრის მთხოველი,
ფოცხვერს ფაშშიგან გავავლე,
დაუმწარე დღე ყოველი.

ჰექეოზს ვფიცამ ქაქუცა,
მიმოვრბი მისად მპოვნელად,
ქარელით ქალაქს სავაჭროდ
მივდივარ დაუყოვნელად,
ქაცვისა მშვილდი ხელთა მაქვს,
ისრად ქლიავის მპოვნელად,
ქურციკს ქეჩოსა ვაწვიე,
დაეცა დაუყოვნელად.

ღონენას ვმონებ ღარიბა,
მორჩილობს სხვაცა მრავალი,
ღოუბნით ღომელამდისინ
არის ერთის დღის სავალი,
ღოღნოში მშვილდათ შევმზადო,
ისრად ღვიაა მრავალი,
ღორსა ვკარ ღაწვში, გავარდა,
ველარვინ ნახა მავალი.

ყაფლანიანთა ყმობითა
ყოინიძე ვარ ქებული,
ყუნჩო ქალაქად მოვედი,
ყანდაარიდამ რებული,
ყამბროლის მშვილდი ხელთა მაქვს,
ყურძნის ისარსა წებული
ყარყუმს ყბაში ვკარ, მოვტეხე,
სისხლით შეიქმნა ღებული.

შანშეს დია ვყმობ, სახელ მძეს
შაბური მოსასურეო,
შინდისსა ვაქებ, მაგრამე
მას შირვანი სჯობს თურეო,

შინდ ლარწის მშვილდი ვიქონე,
შინდის ისარსა ვხურეო,
შველს შუბლსა შიგან ვაწვიე,
ყელსაც უმღერა თურეო.

ჩაჩიქას ვმონებ, სახელად
ჩივაძე მეწოდებისა,
ჩაჩანით ჩილდირსა მივალ,
კაცი მცოდნე ვარ გზებისა,
ჩათლაყუჩისა მშვილდი მაქვს,
ჩუონის ისარი ყვებისა,
ჩიტსა ჩინჩახვსა უმარჯვე,
მსწრაფლად შიგ გავარდებისა.

ციცის ვეახელ ცხინვალით,
ცოგოლა სახელდებული,
ციხედიდიდამ ციბირსა
წაველ დაკარწახებული,
ცაცხვისა მშვილდი ხელთა მაქვს,
ცარცის ისარსა წებული
ციხვსა ვესროლე, ცხვირსა ვკარ,
სისხლითა იქნა ღებული.

ძალუყა, ძაბილას ყმა ვარ,
ერთგული მოსამსახურე,
ძელქვეშით ძევერას მივალ,
მგზავრს, ღმერთო, მადლი წამხურე,
ძერწისა მშვილდსა ძეძვისა
ისარი უჩახმახურე,
ძღარბი მოვკალ ძილად მწოლი,
მისი ტყავი ცხენს წავხურე.

წულუკიძესა წაუველ,
წერეთელს ვეახელია,
წრაუთით წილკანს წავედი,
მისგან წყალობას ველია,
წიფლისა მშვილდი ვიქონე,
წაბლის ისარი გრძელია,
წვავსა წელშიგან ვესროლე,
სისხლით შევღებე ველია.

ჰარუა გავიმეგობრე,
ჰიკუა მეწოდებისა,
ჰატორით ჰარში გავედი,
სად ბევრი ლეკი დგებისა,
ჰანდრისა მშვილდი ვიქონე,
ისარი ვთალე ჰერმისა
ჰივჰავს მოფრინვალს ჰიას ვკარ,
უმალვე გავარდებისა...

ხოსრო ხუნძახს ვყმობ, იმისი
ოჯახი სრულად დაიქცა,
ხიდისთავიდამ ხატავეთს
მრავალი კაცი გაიქცა,
ხართუთის მშვილდი მაგარი,
ისრად ხეჭრელა წაიქცა,
ხარსა ხახასა უმარჯვე,
მით მისი სისხლი დაიქცა.

კელმწიფეს ვახლდი კიმშია,
სისხლი მასთანა ვღვარეო,
კვედურეთიდამ წასულმან
კევიცა გავიარეო,

კიოფა მშვილდათ შევმზადე,
ისარი მასთან ვარეო,
კოკობს კაკაში შევსტყორცნე,
მსწრაფლად კერკემალს ვკარეო.


ჯანდიერს ვმონებ ჯაჯანა,
მიბრძანე რა ვყო აწა მე,
ჯავახეთიდამ ჯოჯოხეთს
მივალ, მუნ თავი ვაწამე,
ჯავზისა მშვილდი ვიქონე,
ისრად ჯღარდლა წავაწამე,
ჯიხვსა ჯიგარსა ვაწვიე,
სუკიცა მწვადათ შავწვა მე.

ჰაბრაჰამისა ტომი ვარ,
ჰარონ არს ჩემი სახელი,
ჰალაბით ჰავლაბარს შევალ,
გავიმეგობრე კახელი,
ჰმშვილდმან ჰისრითურთ მიმუხთლა,
შევიქენ მათი მზრახველი;
ჰნადირი თუ ჰრამ ვიხელთე,
ჰვკრენი თვალდაუფახველი.

ჭონოფრემ დამხსნა ჭორესტი,
დიადსა შეჭირვებასა,
ჭოი, რომაშნისა მხილველი
ჭოი, ვით შევასხამ ქებასა,
ჭოი, მშვილდი რვალის, საბელი
ლომის კანისა ებასა,
ჭოი, მინდორს მხეცნი მოვწყვიტენ,
ხმლითა არ აელვებასა.


მელექსე ვინცა იკითხოს,
ვინ არის, ვისი გვარისა,
გაბაონისა ასული
მისივე გვარი არისა,
სიყრმისა ჟამსა წარმოვსთქვი,
ოსტატს არ მივეფარისა,
ნუ ვინ მიკიცხამთ ავად თქმას,
ვის შუქი გადგასთ მთვარისა.

(გასრულდა მაიას ნათქვამი,
ღმერთო აცხონე!)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქარიაქი



მარიამი

მარიამი იყო ერეკლე მეორის ასული და მეუღლე „სარდალ-ქალაქის მოურავის“ დავით ციციშვილისა.

თავის დროზე მარიამი ჩინებულ მელექსედ ითვლებოდა. ერთი მისი თანამედროვე ქალის, ბარბარე ქობულაშვილის [1] სიტყვით „მარიამი იყო დიდი ნიჭიერი, დიდათ დახელოვნებული საღმთოს წერილში, ისეთი მოლექსე, რომ ამბობდნენ — დიდის მეფის თეიმურაზის ნიჭი გამოჰყვა ამ ქალსაო“. ბარბარეს სიტყვითვე მარიამი „იყო დიდათ მუზიკის მოყვარე და თითონაც იცოდა მუზიკები, იყო სევდიანი, ვითარცა ბაგრატიონი, რომელთაც გვარად მოსდგომთ და უყვარდა მხიარულება და ისეც ჰქონდა თავისი სახლი დაჩვეული... ოთხი ვაჟი

[1] მეისტორიე ომან ხერხეულიძის ასული და მეუღლე პოეტის ოთარ ქობულაშვილისა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰყვანდა და ოთხთავ იცოდნენ ქართული საკრავები და ამხიარულებდნენ დედასა[1]...

მარიამი 1755 წელს დაბადებულა. 1801 წელს მარიამი უკვე ქვრივია და ჰყავს ოთხი ვაჟი და ორი ქალი: ესტატე, ნიკოლოზი, იოანე, დიმიტრი, ანასტასია და ნატალია[2].

დავით ციციშვილი მარიამის მეუღლედ და ტფილისის მოურავად სჩანს ჯერ კიდევ 1772 წელს, როდესაც საქართველოში მოგზაურობს გერმანელი მეცნიერი გიულდენშტედტი[3]. 1773 წელს ციციშვილი ტფილისელ მოქალაქეს უმიკაანთ ოსეფას განჩინებას უწერს და ზედ თავის ბეჭედსაც ასვამს წარწერით: „მონა სიძე სიმაღლისა, მოურავი მყო ტფილისისა. დავით“[4].

1792 წლის აპრილში დავითი ბარათს უგზავნის ყაზახის ოლქის მოურავს იოსებ მიშკარბაშს ბებუთაშვილს. ბარათში ლაპარაკია ლეკების რაზმის შემოსევის შესახებ არღუნელ მუსას წინამძღოლობით. წერილიდან ირკვევა, რომ ამ დროს დავითი ჯანზე კარგად ვერ არის: „თუმე ჩემს ქეიფზე ვყოფილიყავ, — სწერს იგი ყაზახის მოურავს, — თითონ მე წამოვიდოდი და მე მოვნახემდი მაგათ და მე ვინადირებდი, მაგრამ მე არ შემიძლია[5]“...

მართლაც, იმავე წელს დავითი გარდაცვლილა. დაქვრივებული მარიამი ნათლისმცემლის მონასტრისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოძებულ საბუთ[illegible]
წმიდანს: „...და ს[illegible]
ახალ მიცვალებულთა ჩვ[illegible]
თისა და ასულის მისისა ელენესა

* * *

მარიამი უკვე ხანდაზმულობაში შეიქნა მოწმე უდიდესი პოლიტიკური ცვლილებებისა თავისი ქვეყნის ცხოვრებაში. ამ ისტორიულმა გარდატეხამ მაგარი დაღი დაასვა მის ცხოვრებასა და პოეტურ შემოქმედებას.

მარიამი აღიზარდა გვირგვინოსანი მშობლების ოჯახში, მეფის ასულისათვის შესაფერ კმაყოფილებასა და ფუფუნებაში. მის გონებრივ განვითარებაზე შეუძლებელია გავლენა არ მოეხდინა იმ მრავალფეროვან მწიგნობრულს და პოეტურ ინტერესებს, რომლითაც გამსჭვალული იყო მრავალრიცხოვან ბატონიშვილებისა და საძეფო კართან დაახლოვებულ არისტოკრატიული საზოგადოების საგრძნობი ნაწილი.

მწიგნობრობა, მწერლობა, პოეტური შემოქმედება, რაც საერთოდ ახასიათებდა ძველ საქართველოს სამეფო ოჯახებს და ფეოდალურ ბუდეებს, განსაკუთრებით საგრძნობი იყო მეფე ერეკლეს კარზე. როგორც ვიცით, სექართველოს უკანასკნელ ბატონიშვილთა წრიდან გამოვიდა მრავალი მოღვაწე: მეცნიერი, მწერალი, მთარგმნელი და მწიგნობარი.

მსრიამი თავის უმცროს დებთან, ქეთევანთან და თეკლესთან ერთად, კარგად იყო გაცნობილი ქართულ კლასიკურ და უახლოეს საუკუნეთა მხატვრულ შემოქმედებას.

[1] ს. კაკაბაძე — „ისტორიული საბუთები“, წ. 4. გვ. 114. ტფ. 1913 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოძებულ საბუ...
წმიდანს: „...და ...
ახალ მიცვალებულთა ჩვე...
თისა და ასულის მისისა ელენესა“[1]...

* * *

მარიამი უკვე ხანდაზმულობაში შეიქნა მოწმე უდიდესი პოლიტიკური ცვლილებებისა თავისი ქვეყნის ცხოვრებაში. ამ ისტორიულმა გარდატეხამ მაგარი დაღი დაასვა მის ცხოვრებასა და პოეტურ შემოქმედებას.

მარიამი აღიზარდა გვირგვინოსანი მშობლების ოჯახში, მეფის ასულისათვის შესაფერ კმაყოფილებასა და ფუფუნებაში. მის გონებრივ განვითარებაზე შეუძლებელია გავლენა არ მოეხდინა იმ მრავალფეროვან მწიგნობრულს და პოეტურ ინტერესებს, რომლითაც გამსჭვალული იყო მრავალრიცხოვან ბატონიშვილებისა და საძეფო კართან დაახლოვებულ არისტოკრატიული საზოგადოების საგრძნობი ნაწილი.

მწიგნობრობა, მწერლობა, პოეტური შემოქმედება, რაც საერთოდ ახასიათებდა ძველ საქართველოს სამეფო ოჯახებს და ფეოდალურ ბუდეებს, განსაკუთრებით საგრძნობი იყო მეფე ერეკლეს კარზე. როგორც ვიცით, სექართველოს უკანასკნელ ბატონიშვილთა წრიდან გამოვიდა მრავალი მოღვაწე: მეცნიერი, მწერალი, მთარგმნელი და მწიგნობარი.

მსრიამი თავის უმცროს დებთან, ქეთევანთან და თეკლესთან ერთად, კარგად იყო გაცნობილი ქართულ კლასიკურ და უახლოეს საუკუნეთა მხატვრულ შემოქმედებას.

[1] ს. კაკაბაძე — „ისტორიული საბუთები“, წ. 4. გვ. 114. ტფ. 1913 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

[redacted] კულტით, რაც[redacted]
[redacted]ნე ნახევრის ფეოდა-

[redacted]დად იცნობდა, ალბათ, თავისი ეპოქის დიდ პოეტს ბესიკს, გატაცებით უსმენდა კარის აშუღს საიათნოვას, მეგობრობდა თავისი დროის გამოჩენილ მოღვაწეებსა და სამეფო ოჯახთან დაახლოვებულ მწერლებს.

ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მარიამის პოეტური გემოვნებისა და ნიჭის განვითარებისათვის,

მარიამი მომსწრე და მხილველი იყო ყველა იმ პოლიტიკურად მნიშვნელოვანი მოვლენებისა, რომელიც განიცადა საქართველოს სახელმწიფოებრივობამ მე-18-19 საუკუნეთა მიჯნაზე.

ერეკლე მეფის სამხედრო ოპერაციები, ლეკების თარეში, აღამაჰმადხანის შემოსევა და ტფილისის აოხრება. რუსეთის შემოსვლა და საქართველოს მეფობის გაუქმება, ბატონიშვილ ძმებისა და ძმისწულების გადასახლება ჩრდილოეთში, სამეფო სახლის დაშლა და თანდათანი გაჩანაგება მისი ოჯახისა, — ყველა ეს ისტორიული ხასიათის ამბები მეტად თუ ნაკლებად მის პირად ცხოვრებასაც ეხებოდა და დაღს ამჩნევდა მის სულიერ განწყობილებასა და შეხედულებებს.

ჩვენ ძალიან მკრთალი ცნობები მოგვეპოვება მარიამის სრული ბიოგრაფიის აღსადგენად. განსაკუთრებით ეს ეხება პერიოდს რუსეთის თვითმყრობელობის დამყარებამდე.

აღსანიშნავია, რომ მარიამი თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით რუსეთის მართებლობის პირველ წლებში განიცდის მატერიალურ ხელმოკლეობას. ამ მხრივ საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს 1802-06 წ.წ. შედგენილი ნუსხა

საქართველოს სამეფო სახლის წევრთა საუფლისწულო მამულებისა. ამ ნუსხიდან სჩანს, რომ იმ ხანებში მარიამ ბატონიშვილს კარალეთსა და სამწვერისში ჰყოლია 43 კომლი აზნაური და მდაბიო მცხოვრები, ხოლო სხვა სოფლებში — 49 კომლი ყმა-გლეხი. „მაგრამ,— დასძენს ნუსხის შემდგენელი, — ამ გლეხებისგან მათი მფლობელი არავითარ შემოსავალს არ ღებულობს, რადგან გლეხები სხვის მიწებზე ცხოვრობენ და ღალასაც ამ მიწის პატრონებს უხდიანო“[1].

საქართველოს მთავარმართებელი კნორინგი იძულებული შეიქნა ყურადღება მიექცია მარიამისა და მეფის სხვა ასულების უმწეო მდგომარეობისათვის. 1802 წლის 5 ივნისს იგი სპეციალური პატაკით მიმართავს პეტერბურგს:

...„არ შემიძლია აგრეთვე დაგიმალოთ, უმოწყალესო ხელმწიფეო, ხელმოკლე მდგომარეობა საქართველოს სამეფო სახლის კიდევ რამდენიმე წევრისა, სახელდობრ ერეკლე მეფის ასულთა, რომელნიც გათხოვილნი არიან ქართველ თავადიშვილებზე: მარიამ ბატონიშვილის, ანასტასია ბატონიშვილის, ეკატერინე ბატონიშვილის, თეკლე ბატონიშვილისა. ყველა ესენი მართლაც გაჭირვებაში იმყოფებიან, რადგან ზოგ ამათგანს გათხოვების დროს მზითევი არ მიუღიათ, ზოგს კიდევ-შესაფერი საღსრები თავის სარჩენად“.

კნორინგი შუამდგომლობდა იმპერატორის წინაშე, რათა ჩამოთვლილ ბატონიშვილებს ხაზინიდან სიკვდილამდე პენსიის სახით დანიშნოდათ ათას-ათასი მანეთი წლიურად [2].

---

[1] Акты, ტ. 2. გვ. 80.

[2] Акты, — ტ. 1. გვ. 211.

იმავე წლის 5 აგვისტოს ამ შუამდგომლობაზე ქნორინგს პეტერბურგიდან ცივი უარი მოუვიდა. უარი ასაბუთებული იყო იმით, რომ ჯერ გამოკვეული არ არის მეფის სახლის წევრების ქონებრივი გარემოება და საუფლისწულო მამულების მდგომარეობაო[1].

ინტერესს მოკლებული არ არის მარიამ ბატონიშვილის მდგომარეობის გასათვალისწინებლად აგრეთვე ერთი დოკუმენტი, რომელიც შენახულა ჩვენს სიძველეთსაცავებში. ესაა მეფის ასულის თხოვნა, მიმართული ალექსანდრე პირველისადმი.

„განსვენებულმან მამამან ჩემმან მეფემ ირაკლიმ, — სწერს ამ თხოვნაში მარიამი, — მიბოძა ტფილისის მოურავობა სარჩოდ ჩემდა საუკუნოდ წერილით და მაქვნდა წელიწადში სარგებლობა ოთხასი თუმანი.

ამას გარდა ყოველს წელს ჩემი საკმაო საზრდო და სამოსელი ყოვლითურთ, ვით ეკადრებოდა ჩემად, ის წყალობად მოუკლებელი მაქვნდა განსვენებულის მამის ჩემის მეფის ირაკლისაგან და ვცხოვრობდი ამით.

მერმე კნიაზ ციციანოვს, პავლე დიმიტროვიჩს, ამ ჩემის შემოსავლის მამის ჩემისაგან ნაბოძები დავთარი წარუდგინე და ამ ჩემს ოთხას თუმანში და სხვას შემოსავალში ასორმოცდაათი თუმანი ჩემს შვილს თავადს ევსტათის შულავერის სოფლის შემოსავლიდამ განუწესა.

და მე ასე მითხრა, თქუენ ყოვლად მოწყალეს ხელმწიფესთან არზის შავს გაგიკეთებო და დასწერეო და ელისაბედ-პოლიდამ რომ მოვბრუნდები, ერთს არზას მე მივართმეო, მაგ თქვენის შემოსავლის ანგარიშიდამ საკ-

[1] Акты, т. I. გვ. 211.

მაო წყალობას გაგირიგებო და სარწმუნო იყავ, ყოვლად მოწყალე ხელმწიფე არ დაგაგდებსო.

და ახლა ჩემის უბედობით ამასაც აღარ დასცალდა[1] და დავშთი ყოვლითურთ უმოწყალეო და უნუგეშო და რომელიც მამის ჩემისაგან ბოძებული ყმა და მამული მაქვს, ჩემი შვილი ევსტათი დამიტყვევდა ლეკთაგან და ეს ყმა და მამულიც ამის სახსარში მაქვს დაგირავებული სამას თუმნად და ასე ყოვლითურთ უბედურობაში უნუგეშოთ დავშთი,

და ამაზედ ხომ არ ვაწყენ თქვენს დიდებულების თავს, მე რომელიც განსვენებულის მამის ჩემისაგან წყალობად მაქვნდა ბოძებული ტფილისის მოურაობის შემოსავლიდამ, იმ საკმაოს წყალობას ვითხოვ.

გარნა ვსასოებ ყოვლად უდიდებულესობასა თქვენსა, რათა აღმისრულოთ სათხოვნელი ჩემი თქვენის იმპერატორების დიდებულებამან და განუზომელმან მოწყალებამან თქვენმან.

ყოვლად უავღუსტესსა ერთმთავარ ყოვლად უმოწყალესო ხელმწიფევ თქვენის იმპერატორების დიდებულების ყოვლითურთ უკნინესი მხევალი საქართველოს მეფის ირაკლის ასული მ ა რ ი ა მ[2].

ჩვენ აღარ ვიცით, რა პასუხი მიიღო მარიამმა თავის თხოვნაზე. სიმართლესთან დაახლოვებული იქნება ვიფიქროთ, რომ მეფის ასულს გაუცრუვდა ყველა იმედი, რომელსაც იგი ამყარებდა „ყოვლად უმოწყალეს ხელმწიფეზე“...

---

[1] პავლე ციციანოვი ღალატით იქნა მოკლული ბაქოსთან, 1806 წლის 8 თებერვალს.

[2] წ. კ. № 1167.

მარიამი რომ უაღრეს მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა, ამას ამტკიცებს საკვირველის შემთხვევით გადარჩენილი ორი მცირე ბარათი, რომელიც მარიამს მიუწერია იოსებ მიშკარბაშის მეუღლე ქალუასათვის[1]. ეს წერილები, ექვთ. თაყაიშვილის აზრით, დაწერილი უნდა იყოს 1816-1822 წლებს შორის. მოგვყავს ერთი მათგანი:

---

[1] იოსებ მიშკარბაში (მონათირეთ ანუ ბაზიერთუხუცესი, ეგერმეისტერი, გვარად ბებუთაშვილი, აღზრდილი იყო მეფე ერეკლეს კარზე, ბატონიშვილებთან ერთად. მას ცოლად ჰყავდა ოსეფა ყორღანაშვილის ასული მარიამი, ცნობილი „ქალუას“ სახელით. ექვთიმე თაყაიშვილი იოსებ მიშკარბაშის შესახებ სწერს: „იოსები თვალსაჩინო კაცი იყო და დიდი გავლენა ჰქონდა მეფე ერეკლეს უკანასკნელ დროის მეფობაში და პირველ ხანებში რუსეთის მფლობელობისა კავკასიაში. მეფენი—ერეკლე მეორე, გიორგი მე-12 და საქართველოს გამგენი არა ერთხელ გზავნიდენ მას დიპლომატიური მინდობილობით განჯის ხანთან, ალაზნის ფაშებთან და სხვა მეპატრონეებთან...

ერეკლემ იოსებს მიშკარბაშობა უბოძა 1784 წელს; როდესაც 1787წ. ერეკლემ ყახახის ოლქის მმართველად თავისი შვილი იულონი განაწესა, მიშკარბაში იოსები ამ ოლქის მოურავად დანიშნა. ტფილისის ქალაქის აოხრების შემდეგ აღამაჰმადხანის მიერ, 1795 წელს, ერეკლემ იოსებს ქალაქის მმართველობა ჩააბარა. რუსთა მფლობელობის დამყარების შემდეგ, 1806 წელს, იოსები განაწესეს ყახახის ოლქის მმართველად. 1818 წელს თავადაზნაურთა არჩევით დანიშნეს „ისპოლნიტ. ექსპედიციის“ მმართველად. იოსებ ბებუთაშვილი დიდ მხნეობას იჩენდა როგორც ირაკლის ომებში, ისე რუსთა ომებში საქართველოს მოსაზღვრე ხალხებთან. დიდი დახმარება გაუწია მან რუსებს ალექსანდრე ბატონიშვილთან ბრძოლაში. ორჯერ შეიტყო და ჩაშალა მისი მემოსვლა საქართველოში სპარსელების ჯარით. ასეთივე სამსახური გაუწია მან რუსებს კახეთის ამბოხების დაწყნარებაში 1812 წელს. რუსეთის მთავრობისაგან იოსებ მიშკარბაშმა მიიღო ჯილდოთ პოლკოვნიკის ჩინი, ორდენები და მამულები ბორჩალოსა და კახეთში. იგი გარდაიცვალა 1822 წ.“ (იხ. „საქართველოს სიძველენი“, ტ. 3, გვ. V-VI.)

„ბრწყინვალე კნეინას, მოურავის ჯვალაბს და უსაყვარ-
ლეს დას, ბატონს ქალუას მოწყალე ხელმწიფას!

ვიცი, მწყალობელი ბრძანდები და ამისათვის გიკად-
ნიერე მოხსენება. ვითხოვ: ცოტა ბრინჯი მიბოძოთ თა-
ვისის ერბოთი. ეგების მეც მაგიერი სამსახური შევიძლო.

მეფის ასული მარიამ“[1].

ძალიან დამახასიათებელია მარიამის ოჯახური მდგო-
მარეობის გასათვალისწინებლად ეს პატარა დოკუმენტი.
„ყოვლისა საქართველოს მეფისა ირაკლი მეორისა ასუ-
ლი“, ეხლა ყორღანაშვილის ასულს ქალუას ეხვეწება
„ცოტა ბრინჯს თავისის ერბოთი“...

როგორც სჩანს, ეს ქალუა ხშირად უმართავდა ხელს
გაჭირვებაში მყოფ მეფის ასულს. იოსებ მიშკარბაში იმ
დროს დიდ პატივში იმყოფებოდა რუსეთის ხელისუფლე-
ბასთან. როგორც მდიდარი კაცი და წინათ მეფე ერე-
კლესგანაც დავალებული ადამიანი, ეტყობა იგი დროგა-
მოშვებით ყურადღებას აქცევდა ხელმოკლე ბატონიშვილს.
მარიამის ერთ წერილში ვკითხულობთ:

„ქ. თქვენს ბრწყინვალებას ორი ოქრო ებოძა.
გმადლობ მრავლად. ღმერთმან მრავალს ამ ბრწყინ-
ვალეს დღესასწაულს დაგასწრასთ კარგის ქრმითა და
შვილებით და ჩემი თავიც გამსახუროსთ.

მეფის ასული მარიამ[2].

პოეტი ქალის ცხოვრების სხვადასხვა მომენტის გასა-
თვალისწინებლად მეტად საგულისხმოა ზემოთ უკვე მო-
ხსენებული ბარბარე ქობულაშვილის ცნობები. ეს
ქალი ცოცხალი მოწმე იყო გარდასულ ისტორიულ ამბე-

---

[1] „საქართველოს სიძველენი“ ტ. 3, გვ. 122.

[2] „საქართველოს სიძველენი“, ტ. 3, გვ. 123.

ბისა და მდიდარ მასალებს აწვდიდა პლატონ იოსელიანს მისი ცნობილი მონოგრაფიის „გიორგი მე-13-ის ცხოვრების“ შედგენის დროს. რატომღაც ბარბარეს ცნობა მარიამის შესახებ, ისე, როგორც ბევრი სხვა მასალა, პლატონ იოსელიანს არ შეუტანია თავისი ნაშრომის საბოლოო ვარიანტში[1].

ბარბარეს ცნობით, მარიამ ბატონიშვილი უკვე ახალგაზრდობაში სწერდა ლექსებს და იმდენად ჩინებული მელექსე იყო, რომ თანამედროვენი დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე — ამბობდენ: „დიდის მეფის თეიმურაზის ნიჭი გამოუვა ამ ქალსაო“[2].

ამ პერიოდიდან, სამწუხაროდ, მარიამის მხოლოდ ორი ლექსია დარჩენილი: „მეფის ირაკლის ძის ალექსანდრეს დაწინდულს ნინოს სიკვდილზედ თქმული“ და „საქმროსთან“[3]. დანარჩენი ცნობილი ლექსები, როგორც მათი შინაარსიდან სჩანს, ეკუთვნიან მერმინდელ ხანას--რუსების შემოსვლის შემდგომ პერიოდს. ეს ლექსებია: 1)„თურქთა ხმასა ზედა სათქმელი ნუხამბაზი-ჯი დამწარდეს დროთა ტკბილობა“...[4] 2)„აჰა, დამეცნეს რისხვით

---

[1] „ცხოვრება მეფე გიორგი XIII-სა და საქართველოს რუსეთთან შეერთება“, ტფილისი, 1895 წ.

[2] ს. კაკაბაძე — „წვრილი შენიშვნ. და მასალები“,-„საისტორიო კრებული“. წ. 4, გვ. 118-119. ავტორის სიტყვით, ბარბარე ქობულაშვილის ცნობა დაცულია პლ. იოსელიანის ხელნაწერებში. ტფ. უნივ. სიძველეთა წ. კ. კოლექცია №3057.

[3] წ. კ. №1635 (ბ)

[4] წ. კ. №1512 გვ. 203-205.

ცანია"...[1] და 3)„მოვსთქვამ სულთქმითა ბრალოდ"...[2]

ყოვლად შეუძლებელია, რომ მარიამს სხვა ლექსებიც არ დარჩენოდა. მის შესახებ, როგორც ვიცით, უკვე თანამედროვეებს ჰქონდათ შემუშავებული გარკვეული შეხედულება, როგორც ნიჭიერ მგოსანზე. მისი ლექსები ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა ფართო საზოგადოებაში. მარიამს ჰყავდა მრავალრიცხოვანი მკითხველი, რომელიც ძალიან აფასებდა პოეტ-ქალს. ერთი უცნობი გადამწერი ლექსისა „საქმროსთან", მარიამის შესახებ ამბობს:... „იყო ჩინებული მელექსე, მრავალსა აქვს ამისი ნათქვამიო".

ყველა ეს ლექსი, ხუთის გარდა, როგორც ვთქვით, დაკარგულად უნდა ჩაითვალოს...

მარიამ ბატონიშვილი, რასაკვირველია, არ შეიძლება მივიჩნიოთ დიდ და ღრმა პოტენციის მწერლად. როგორც მარიამი, ისე მისი დები, ქეთევანი და თეკლე, უფრო „ჩინებული მელექსეები" იყვნენ, ვიდრე პოეტები მოწოდებით და ძირითადი საქმიანობით. მაგრამ მათი ლექსები, სპეციფიკური თემატიკით, გულწრფელობით, გრძნობათა გამოხატვის სიმძაფრით და ჟანრით,—უეჭველად სავურადღებო და საგულისხმო პოეტურ დოკუმენტებს წარმოადგენენ ჩვენი ლიტერატურის ისტორიისათვის.

სანამ ამ ლექსებს შევეხებოდეთ, გვინდა შევჩერდეთ მარიამის ორ ადრინდელ ნაწარმოებზე: „მეფის ირაკლის ძის ალექსანდრეს დაწინდულს ნინოს სიკვდილზედ თქმული" და „საქმროსთან".

---

[1] წ. კ. № 15 12. გვ. 321-322.

[2] იქვე, გვ. 322-324.

ორივე ლექსი, როგორც სათაურიდან სჩანს, ერეკლე მეფის ოჯახში დატრიალებულ სამწუხარო ამბავს ეხება,— ალექსანდრე ბატონიშვილის საცოლეს სიკვდილს.

ამ შემთხვევას მოკლედ გადმოგვცემს ლექსების უცნობი გადამწერი:

„წელსა ათას შვიდას ოთხმოცდაათში,—გვიამბობს იგი,—მეფე ირაკლიმ ითხოვა ყაბარდოს მთავრის ქალი თავის შვილის ალექსანდრეს საცოლეთ, რომელიც მოიყვანეს და მოყვა ძიძა და ორნიც თავადნი.

მიაბარა მეფემ თავის რძალს ამილახვრის ქალს სალომეს [1]. ასწავლა საღმრთო წიგნი და სამეფო სახლის შესაფერი ქცევა. მონათლეს და უწოდეს ნინო. არ დასცალდა ქორწილი და მოკვდა, როგორც ამბობენ, სიჭლექით. ამის მოსამსახურეთ ჰქონიათ სამაგალითო გლოვნა და მხარჩახდილთ მათრახით ცემა და სისხლის დენა. ყურფილა ეს ქალი ფრიად მშვენიერი, უმეტესად ჩინებული ტანადი.

ამის სიკვდილის შემდგომ ეს ლექსი უთქვამს მეფის ირაკლის ასულს მარიამს, რომელიც იყო ჩინებული მოლექსე. მრავალსა აქვს ამისი ნათქვამი და აქვს კნეინა მაია თუმანოვისას, თამაზ ორბელიანის ასულს“ [2].

---

[1] იულონ ბატონიშვილის მეუღლე, რევაზ ამილახვრის ასული.

[2] წ. კ. №1635. ეს ხელნაწერი წარმოადგენს ფოსტის თეთრი ქაღალდის ოთხ გვერდს. მარიამ ბატონიშვილის ორ ლექსს უკავია პირველი ორი გვერდი. ამ ლექსებს მოსდევს ალ. ჭავჭავაძის ლექსები და ბატონიშვილებისა და სხვადასხვა თავადების ბეჭედ-აზარფეშების წარწერანი. ხელნაწერს ბოლო გვერდზე აქვს მინაწერი,— „კნიაზო ალექსანდრე! ეს ლექსები კერასელიძეს უბოძე უთუოდ დაბეჭდოს. საჭიროა და ყველასაც წაკითხვს იამება“. ამ მინაწერიდან სჩანს, რომ ხელნაწერი გადაწერილია არა უადრეს გას. საუკუნის ორმოცდაათიანი წლებისა (ივ. კერესელიძის „ცისკარი“ გამოდიოდა 1857-1875 წლ. შორის).



4. გართობა ქალაქ გარეთ

აღნიშნული ორი ლექსი მარიამს დაწერილი აქვს 35-36 წლის ჰასაკში. ეს ლექსები უკვე საკმაოდ მოწმობენ მათი ავტორის ვერსიფიკატორულ დახელოვნებას. მაგრამ ჩვენთვის უფრო საგულისხმო ნაწარმოებებს წარმოადგენენ, თავისი პოლიტიკური თემატიკითა და გარკვეული განწყობილებით, მარიამის სხვა ლექსები, დაწერილნი მისი ხანდაზმულობის პერიოდში, როგორც სჩანს მაშინ, როდესაც მარიამს, ბარბარე ქობულაშვილის თქმით „სამშობლო რუსეთში გადაუსახლდა, ყოველივე მხიარულება დაივიწყა, წავიდა თავის სოფელს ქარელში და სწერდა სამგლოვიარო ლექსებს, რომელიც ბევრსა აქვს საქართველოში“...[1]

ეს ლექსები დიდი ექსპრესიით გამოხატავენ პოეტი-ქალის უნუგეშო სულისკვეთებას, გამოწვეულს როგორც პირადი, ისე მისი სოციალური წრის საერთო მდგომარეობით. მარიამი დასტირის „დამწარებულ დროთა ტკბილობას“, რომელიც აღარ დაბრუნდება, იგი გლოვობს დაშორებას თავისი უახლოესი ნათესავების, ძმების და ძმისწულებისა, რომელნიც „ჩრდილოს კერძომან საბავთოს ქარმან ჰყო გარისგარად“. იგი სასოწარკვეთილია, რადგან „დაბრუნდა ეტლი უკუღმა, წარხდა დღე კეთილ-მზიანი, დაემხო ტახტი მაღალი, რა ბედნიერი, სვიანი“.

მარიამ ბატონიშვილი თავისი ლექსებით გამოხატავს ჩვენი ფეოდალური არისტოკრატიის იმ ნაწილის უკმაყოფილებას, რომელმაც მე-19-ს. დასაწყისში, ახალი—რუსული ბიუროკრატიული რეჟიმის დამყარებით სამუდამოდ ჰკარგავს თავის ძველ პოლიტიკურ ძალა-უფლებას და ამას-

[1] „საისტორიო კრებული“, წ 4, გვ. 118-119.

თან, ახალ სოციალურ-ეკონომიურ პირობებში, ადგება ეკონომიური დეგრადაციის გზას. აქედან გასაგებია მის იმედების გაცრუება და უკმაყოფილება, რომელიც ჩაისახა და თანდათანობით ძლიერდებოდა ჩვენი ფეოდალური კლასის იმ ნაწილში, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მოახერხა რუსული სამხედრო ბიუროკრატიული სახელმწიფოებრივობის „მსახურეულ არისტოკრატიად“ ქცევა და მისი ექსპანსიისა და აღვირ ახსნილი იმპერიალიზმის უერთგულეს იარაღად გახდომა.

ჩვენი არისტოკრატიის ამ უკმაყოფილო ფენას გარკვეული გავლენა ჰქონდა მოპოებული მაღალ საზოგადოებაში და აგრეთვე გლეხობის ნაწილში, რომელიც, ცხადია, სრულიად განსხვავებულ სოციალ-ეკონომიური მოტივებით გამოსთქვამდა პროტესტს ახალი, უცხო ხელისუფლების წინააღმდეგ.

„პოლიტიკური ძალაუფლების შებღალვას ქართული ფეოდალური კლასი პასიურად არ შეხვედრია: ნაწილი ბატონიშვილებისა და დიდი ფეოდალებისა ნაცადი ფეოდალური ჯიუტობით და შეურიგებლობით ებრძვის ახალს ცენტრალურს ხელისუფლებას და საუკუნის პირველ ნახევარში მთელს რიგს აჯანყებებისას აწყობს მის წინააღმდეგ“. (პროფ. კ. კეკელიძე — „ქართ. ფეოდალური ლიტერ. პერიოდიზაცია“, გვ. 52. ტფ. 1933 წ.).

გლეხობისა და თავად-აზნაურობის ამ სხვადასხვა ნიადაგზე წარმოშობილმა უკმაყოფილებამ საერთო ობიექტის,—რუსეთის დამპყრობი პოლიტიკის წინააღმდეგ,—თავისი მძაფრი გამოხატულება ჰპოვა მთელ რიგ აჯანყებებში (მთიულეთი 1804 წელს, კახეთი 1812 წ. და სხ.). სამხედრო თავდასხმა-შეტაკებაში უცხო ძალის საშუალე-

ბით (ალექსანდრე ბატონიშვილი და სხვ.) და ბოლოს ცნობილ 1832 წ. შეთქმულებაში.

ამ უკმაყოფილებამ ჩვენს ფეოდალურ ლიტერატურაშიაც იჩინა თავი მე-19 ს. პირველ მეოთხედის პოეზიაში, სახლედობრ მარიამისა და მისი დების შემოქმედებაში. რამდენიმე ნაწყვეტი მარიამის ლექსებიდან ჩვენ საშუალებას მოგვცემს წარმოვიდგინოთ, თუ როგორი სიძლიერით გაძოიხატა ეს უკმაყოფილება საუკუნის დასაწყისის ქართულ პოეტურ მეტყველებაში.

„იგრგვინვა ცამან ჩვენზედა
რისხვითა საშინელითა,
დაჰფარნა ჩრდილოთ ღრუბელმან
მნათობთ არეჲი ბნელითა,
წარჰხდეს წალკოტნი მაღალნი,
ჭი საცთურითა ძნელითა,
ვაჲ დიდებულნი პალატნი
იქნა მტერთ საცინელითა.
აწ განწირული უწყალოდ
ვიწვი ცეცხლით არ ნელითა.
სად ხარ სიკვდილო, რას ჰყოვნი,
არ მიმცემ დღესა მცირებსა,
მიგლოვდით მეცა, მოყვასნო,
სოფლისა განაწირებსა,
აწვე ჰშთასრულსა საფლავად,
მეცნთაგან დასატირებსა...

მარიამი ცდილობს თავის მწუხარებას, გამოწვეულს პირადი, ოჯახური და ეროვნული წოდებრივი მოტივებით, მისცეს ზოგადი ნაციონალური ელფერი და ამ შემთხვევაში დაუახლოვდეს დავით გურამიშვილის პოეზიას ანალოგიურ

თემატიკაზე, რომელიც გამსჭვალულია ქვეყნის ისტორიული უბედობის შეგნებით და ღრმა პესიმისტური სულისკვეთებით:

„დახდა მზე იგი აზიით,
აწ ჩრდილოთ მოეფინება...
მიგვიხვნეს მსწრაფლად მთიებნი,
ვით უძლოს გულმა თმინება,
არ დასცხრა ჩვენზედ მარადის
სოფლის საცთურთა შინება,
ამად მაქვს თვალთა მარადის
სისხლისა ცრემლთა დინება.
ვაჰმე მას აქათ ცოცხალსა
არღარა მამელხინება,
ნუ ვინ ეტრფობით სოფელსა
ნიადაგ მუხთლად მზიარებსა“... [1]

მარიამ ბატონიშვილის ლექსები გვაძლევენ ნათელ წარმოდგენას მისი დროის ქართული საზოგადოების ნაწილის პოლიტიკურ განწყობილებებსა და სულისკვეთებაზე. 1832 წლ. ცნობილი შეთქმულების იდეურად მომზადების ხანაში, როგორც სჩანს, მარიამის ლექსებიც ასრულებდნენ თავის საზოგადოებრივ ფუნქციას, ისინი გავლენას ახდენდნენ გარკვეული სოციალური წრეების აზრის განვითარებაზე. ამით აიხსნება მისი ლექსების გავრცელება და პოპულარობაც. თავის დროზე მარიამის ლექსები „ბევრსა ჰქონდა საქართველოში“, ეს ლექსები დავით რექტორმა შეიტანა თავის ცნობილ ანთოლოგიაში [2], როგორც მნიშვნელოვანი პოეტური

[1] წ. კ. № 1512, გვ. 322—324.
[2] წ. კ. № 1512.

ნაწარმოებნი თავისი დროისა, ისინი ხელიდან ხელში გადადიოდნენ ხელნაწერის სახით, რადგან მათი დაბეჭდვა მოსახერხებელიც რომ ყოფილიყო თავის დროზე, პოლიტიკური ცენზურა მათ არ გაუშვებდა.

რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც კი, როდესაც მარიამი ცოცხალი აღარ იყო, მკითხველები მაინც აფასებდნენ მარიამის პოეტურ შემოქმედებას. „ეს ლექსებიო,—სწერს ზემოთ უკვე მოხსენებულ ბარათში ორმოცდაათიანი წლების მკითხველი თავის ნაცნობს,—კერასელიძეს უბოძე, — უთუოდ დაბეჭდოს, საჭიროა და ყველასაც წამკითხავს იამებაო“...

უკანასკნელი ხანა თავისი ცხოვრებისა მარიამს გაუტარებია თავისი ქმრის საგვარეულო მამულში, სოფლად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბარბარე ქობულაშვილის სიტყვით, მარიამს „როდესაც სამშობლო რუსეთში გადაუსახლდა, წავიდა თავის სოფელ ქარელში, სწერდა სამგლოვიარო ლექსებს, რომლებიც ბევრსა აქვს საქართველოში და იყო ლოცვაში და ღვთის ვედრებაში. რომელიც ძმა მოუკვდებოდა, ანუ ძმისწული რუსეთში, ვერავინ ეტყოდა და ისე გარდაიცვალა“ [1].

დანამდვილებითი თარიღი მარიამის სიკვდილისა ჩვენ არ მოგვეპოვება.

---

[1] „საისტორ. კრებული“, წ. 4, გვ. 119.

მარიამის ოჯახში დარჩენილა მწიგნობრული და ლიტერატურული ტრადიცია. მარიამის უფროსი შვილის ესტატეს (1778—1828) ვაჟი იყო ცნობილი მთარგმნელი დავით ესტატეს ძე ციციშვილი. მის კალამს ეკუთვნის თარგმანები: ბაუმეისტერის „მეტაფიზიკა“ (1822—24 წ.). რუსსოს ტრაქტატი—„აღდგინება ჰსწავლათა და ხელოვნებათა შეეწყოდაა წარმართთვასა ზნეთა ანუ ყოფაქცევათასა?“ (1849 წ.) და სხვ. თანამშრომლობდა ივ. კერესელიძის „ცისკარში“—1857 წ. (ამის შესახებ იხ. ლ. ასათიანი „ვოლტერიანობა საქართველოში“, ტფ. 1933 წ. გვ. 81—82).

ყოველ შემთხვევაში, მისი გარდაცვალების შემდეგ განვლო ერთ საუკუნეზე მეტმა დრომ. ამ ხნის განმავლობაში თაობათა ხსოვნაში წარიშალა მარიამის სახელი, დაიკარგა მისი საფლავი, დავიწყებას მიეცა მისი მწუხარე და სევდიანი ელეგიები...

მხოლოდ ჩვენმა დრომ აღადგინა ინტერესით მისი პოეტური სახე. არქივის ფურცლებიდან მზის სინათლეზე ამოდის მისი ლექსები, იბეჭდება და ნახულობს ახალ მკითხველს.

ლიტერატურის ისტორიკოსები ცნობისმოყვარე თვალით დასჩერებიან ამ პაწია პოეტურ ქმნილებებს.

ამ ლექსებში ისინი ხედავენ მე-19 საუკუნის ქართული „პატრიოტული რომანტიზმის“ სუსტად მჩქეფარე სათავეს[1].

---

[1] მარიამ ბატონიშვილის ლექსების ნაწილი დაიბეჭდა გაზეთ „ბახტრიონში“ 1922 წ. № 13. 1928 წელს, აგრეთვე ნაწილი მარიამის ლექსებისა გამოქვეყნდა ია ეკალაძის „ანთოლოგიაში“. აქ ვაქვეყნებთ მარიამის ყველა ხუთ ლექსს ერთად.

თურქთა ხმასა ზედა სათქმელი
მუხამბაზი



ოი, დამწარდეს დროთა ტკბილობა,
უწყალომ ეტლმან რა ქმნა ცილობა,
აღფხვრა წალკოტსა ვარდთა შლილობა,
დაჰსთურგნა ჩემი დღე-კეთილობა,
ბნელჰყო ქართლოსის ძვირფას მტილობა,
მესისხლე მარიხს აქვს ხრმალწვდილობა.

მზის მჰსგავსნი სხივნი ღრუბლით დაჰფარნეს,
მიქმნეს სიცოცხლე ნაღვლის უმწარეს,
ჩემსა მომლხენსა ვერ ვსჴვრეტ მთოვარეს,
ამად ვჰზი და ვჰსტირ, ვღვრი ცრემლს მდუღარეს;
ვინ მანუგეშებს მარად მწუხარეს?
მრისხანეთ ჯალათთ აქვთ ხრმალწვდილობა.

ედემის ბაღსა ზრდილნი ყვავილნი,
ვარდნი კოკობნი, ნაზად გაშლილნი,
გულდამატკბობლად ახლად ფურჩვილნი,
ვაჰმე, უწყალოდ ჰყვეს აღმოფხვრილნი!
შორად მიმტაცეს მე მათნი ჩრდილნი,
ნუ მჰგმობთ, თუ მათთვის მაქვს ცრემლნილობა.

ჩრდილოს კერძომან საბავთოს ქარმან,
მძვინვარედ მჭროლმან და დაუწყნარმან,
ჩემნი მთიებნი ჰყო გარისგარმან.
მიმოაბნივნა შავ ბედის ღვარმან,
ვინ ვჰპოვო შემწე მე მათთვის მკვდარმან,
სახმილი მშრიტოს, მცეს გულსგრილობა?

დასდასად მწყობრნი, დაუნდობელნი,
მუხთლად მქცევ მრავლად-ლხინთ მცხოვრებელნი,
სხვა და სხვად მქცევნი, ურთერთს მსწრობელნი,
კეთილ სუნნელთა ყვავილთ მზრობელნი,
ჩემად საკვდავად აქვსთ შეყრილობა.

ჩემი წალკოტი აღყვავებული,
ყვავილთ სიმრავლით განშვენებული,
იქმნა, ამად ვჰსტირ, ცეცხლმოდებული,
ოთხკიდე სახელ განდიდებული.
ვის შეხვდა მათი მოადგილობა?

ეჰა, მაღრიბის მანათობელო,
ჩემის გულისა მაცოცხლებელო,
ვინ მოგიმძლავრა ტკბილ სამფლობელნო?
მარიხს შეჰვსტირე მამღრუბლებელნო?
გკადრებ ქვეყანის შემამკობელნო,
ყარიბო დამჰშრიტე გულს სახმილება.



აჰა, დამეცნეს რისხვით ცანია

აჰა, დამეცნეს რისხვით ცანია,
ისმინეთ საწყლად გლოვის ხმანია:
ნეტარ რად მოვვლე ესდენ ხანია.
რად არ სიკვდილად ვიქმენ მზანია!
რაბამ მწარე არს ესე თქმანია,
ვისნი მომაკლდენ თვალთ შედგმანია!
ვაჰ, დაჰხდეს მზენი მაღალ გვარნია,
ვაჰ, ჰსდიან თვალთა ცრემლთა ზღვანია,
მეცა მტიროდეთ მოყვას ძმანია,
მარად მწვენ ცეცხლნი სხვა და სხვანია.
აჰა, დამეცნეს რისხვით ცანია,
ისმინეთ საწყლად გლოვის ხმანია!

ვჰგონებ სიმწარით ძნელ სატირებსა,
მჰსმენელთა გულთა გასაგმირებსა,
მიმცა სოფელმან მრავლად ჭირებსა,
ოხვრა-სულთქმასა, ესდენ ხშირებსა,
ვაჰ, ბედთაგანცა განაწირებსა,
მიმიღო შვება, არ მცა ლხინებსა.

რადგან მაშორვა მნათობ-გმირებსა,
ვარ სიცოცხლისა განაპირებსა.
ჰხამს გებრალოდეთ, ყოვლსა მზირებსა.
აწ სავალალოდ ესე კმანია.
აჰა, დამეცნეს რისხვით ცანია,
ისმინეთ საწყლად გლოვის ხმანია!


ჰოჲ, რად შევესწარ ამა დარესა,
ძნელ სახილველსა შესაზარესა!
სადავითოს მტილს, მოფხვრულს არესა,
მხედველთ სისხლისა ცრემლ-საღვარესა,
ვაჰ, ვერ ვჰსჭვრეტ დიდთა მნათობთ გვარესა,
ამად მივეცი დღესა მწარესა,
რადგან მზე ჩვენი ჩრდილოთ ჰფარესა,
აწ დამჭოლვიდეთ არ სახმარესა.
სევდით გრაგნილსა, ძნელ სამყაროსა,
აწ, გულო, გქონან ესდენ წვანია.
აჰა, დამეცნეს რისხვით ცანია,
ისმინეთ საწყლად გლოვის ხმანია!

განცვიფრდი ცაო, განჰკრთი მიწაო,
მეცა დამფარეთ ღრუბელთ, ნისლთაო,
აჰა, დანთქმული ჩრდილოთ ზღვითაო.
მარად ყაფრქვევდე ღრუბელ-ნისლთაო,
ვაჰ, განგვაშორეს მზენი სითაო,
ჰყვეს განდევნილნი შორის გზითაო.

არ გვაქვს ნუგეში არ თუ ღვთისთაო,
მას ვეედრები მწარის ხმითაო,
მათი მგონები, გულთა მღონები,
მარად მტირალნი, მხევალნ დანია.
აჰა, დამეცნეს რისხვით ცანია,
ისმინეთ საწყლად გლოვის ხმანია ...[1]

---

[1] წ. კ. № 1512, გვ. 321.



მოვსთქვამ სულთქმითა საბრალოდ

Მოვჰსთქვამ სულთქმითა საბრალოდ,
ძნიად სათქმელსა ჭირებსა,
მსმენელთა შესაწყალებლად,
ჭმუნვაოა გასახშირებსა,
ვარდთა, დასხმულთა ედემით,
მჭვრეტელთა გასაკვირებსა,
ვაჲ კიდეგანთა მამულთა,
სამყოფთა განამწირებსა!
მიგლოვდით მეცა, მოყვასნო,
სოფლისა განაწირებსა,
აწვე ჰშთასრულსა საფლავად,
მეცნთაგან დასატირებსა.

იგრგვინა ცამან ჩემზედა,
რისხვითა საშინელითა,
დაჰფარნა ჩრდილოთ ღრუბელმან
მნათობთ არენი ბნელითა,
წარჰხდეს წალკოტნი მაღალნი,
ღი, საცდურითა ძნელითა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჲ დიდებულნი პალატნი
იქმნა მტერთ საცინელითა.
აწ განწირული უწყალოდ,
ვიწვი ცეცხლით არ ნელითა,
სად ხარ, სიკვდილო, რას ჰყოვნი,
არ მიმცემ დღესა მცირებსა.
მიგლოვდით მეცა, მოყვასნო,
სოფლისა განაწირებსა,
აწვე ჰშთასრულსა საფლავად,
მეცნთაგან დასატირებსა.

დაბრუნდა ეტლი უკუღმა,
წარხდა დღე კეთილ-მზიანი,
დაემხო ტახტი მაღალი,
რა ბედნიერი სვიანი,
განჰქირვნა ვარდნი სატრფონი,
არღარა ჰყვავის იანი,
განმწარდა ყოვლნი შვებანი,
ტკბილნი საამო ხმიანი,
აწ საწუთოსა მდურავი,
ვსტირ უბედური დღიანი,
დაბნელდით თვალნო ბრტირალნო,
ჰხედავთ რა განსაცვიფრებსა.
მიგლოვდით მეცა, მოყვასნო,
სოფლისა განაწირებსა,
აწვე ჰშთასრულსა საფლავად,
მეცნთაგან დასატირებსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახდა მზე იგი აზიით,
აწ ჩრდილოთ მოეფინება,
მიგვიხვნეს მჰსწრაფლად მთიებნი,
ვით უძლოს გულმა თმინება,
არ დაჰსცხრა ჩვენზედ მარადის,
სოფლის საცთურთა შინება,
ამად მაქვს თვალთა მარადის
სისხლისა ცრემლთა დინება,
ვაჰმე, მას აქათ ცოცხალსა,
არღარა მამელხინება,
ნუ ვინ ეტრფობით სოფელსა,
ნიადაგ მუხთლად მზირებსა.
მიგლოვდით მეცა, მოყვასნო,
სულისა განაწირებსა,
აწვე ჰშთასრულსა საფლავად,
მეცნთაგან დასატირებსა.

რა ითნო დიდმა მთიებმა
მაღალგვარ მტილთა შლილობა,
დაბინდდა ხმელთა არენი,
არღარ აქვსთ ვარდთა შლილობა,
აწ იწყო ჩვენდა მარადის
ქუფრმა ღრუბელმა ჩრდილობა,
ჰსცანით ყოველთა, ესე არს
სოფლის ქცევა და ზრდილობა.
მიგლოვდით მეცა, მოყვასნო,
სულისა განაწირებსა,
აწვე ჰშთასრულსა საფლავად,
მეცნთაგან დასატირებსა [1].

[1] წ. კ. № 1512, გვ. 322.



მეფის ირაკლისძის ალექსანდრეს დანიშნულს ნინოს სიკვდილზედ

Ყაბართოს იყო ერთი მზე,
ბრწყინვალე მანათობელად,
მისივე ხანთა ასული,
ვინ არის ჩერქეზთ მფლობელად,
რძლად მოუწოდა მეფემან,
პალატის შესამკობელად,
იესოს ქრისტეს სძლად ექმნა,
უმანკო დაუჭნობელად.

იქმნა ქალწულთა მოდასათ,
სიწმინდით სახელიანად,
იგი სოფლისა მნათობი,
ვარდი ყვავოდა იანად,
დასთმო სოფლისა დიდება,
ედემის ტახტს ზის სვიანად,
აწ რა ქნას მისმან მშობელმან,
ნახვა მიხვდების გვიანად.

წარმოვთქვა მისი შვენება,
თუ მიხვდეს ჩემი გონება,
ხელმკლავია ნაზად გაზიდვა,
შავთა წამწამთა ქონება,
უშინჯოს პირის მხატვრობა,
ჩინელთაც მოეწონება,
ვისთვის გასწირა სიცოცხლე,
მკერდს ველარ დაეკონება.

ეთხოებოდა სოფელსა,
ქვეყნად მნათობი მზეოდა.
აწ დაუტეო სოფელი,
სად ვიმყოფები მეოდა,
სად არის ჩემი დიდება,
ლომგულო მეფისძეოდა,
ველარ გიხილვენ მშობელნი,
ჟამი მაქვს მცირე დღეოდა.


დაელულნეს მელნის ტბანი,
ინდოელნი სცვივდენ ჯარად,
ლალთა კარნი დაერაზნეს,
ელვა კრთების აღარ ჩქარად.
ენა ტკბილად მოუბარი
აღარა ხმობდა ნარნარად,
ბროლის თითნი დაეკრიფნეს,
ქალალდზედან დასაფარად.

მეფე მიბრძანდა კრებულით,
ახლდნენ მნათობნი ასული,
მისი სანდომი შვენება,
ვით დავთმო სოფლის გასული,

ჰოჲ, საბრალონო მშობელნო,
იგ ვისი იყო ასული,
ვერღარა გნახოს მამამა
ყაბართოს შიგან მისული.

თვით დედოფალიც ნარნარად
სალმობით ხმობდა ამასა,
მელნის ტბაშიგან ნადები
ვარდი დაელტო ნამასა,
ბრძანა, უშენოდ მნათობნი
ვეღარ მისცემენ დრამასა,
შენის მეტი არა ყავს რა
შენგან ბნელქმნილსა მამასა [1].

[1] წ. კ. № 1635/ბ.



საქმროსთან

Ვატრფოდ მქონდა თქვენი ხლება,
ხელმწიფის შვილო სვიანო,
მსურდა თქვენი სიახლოვე,
ტანად ალვისა ხიანო,
ტანახოვანო ჭაბუკო,
მებრძოლთა თქვენთა სვიანო,
ნუ დამივიწყებ შენთვის მკვდარს,
მეფისძევ, დავითიანო.

დაეფლა მიწას მნათობი,
ყაბართოს მთავრის ასული,
ბაგე ლალისა მბაძავი,
ნაზი, ნარნარად მკობილი,
იაგუნდისა ბაგესა
შიგ მარგალიტი წყობილი,
ედემის სიტყვით ველარ ხმობს,
იქმნა სოფლისგან ჭნობილი.

———

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ბალადა



ქეთევან ირაკლის ასული

ქეთევანი იყო უმცროსი და მარიამ ბატონიშვილისა, იგი ცნობილია ერთად-ერთი ლექსით, რომელიც შენახულა ჩვენი სიძველეთსაცავების სხვადასხვა ხელნაწერში [1]. ეს ლექსი,—„ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი“, თემატიკით ძალიან უახლოვდება მარიამის ლექსებს. შინაარსის მიხედვით იგი დაწერილი უნდა იყოს დაახლოვებით 1805 წელს, ქეთევანის პატიმრობის დროს.

ქეთევანი დაბადებულა 1764 წელს [2]. იგი ცოლად

---

[1] ეს ხელნაწერებია: ა) წ. კ. № 1512 (გვ. 20ა-208), ბ) წ. კ. № 2455, გვ. 4-7), გ) წ. კ. № 3723 (222-223) და დ) წ. კ. № 1543 (გვ. 18-19). ჩვენ ვაქვეყნებთ ქეთევანის ლექსს ხელნაწერების №1512 და №3723-ის მიხედვით.

[2] „აქტების“ მიხედვით 1801 წელს ქეთევანი 37 წლის იყო (Акты, ტ. I, გვ. 199).

ჰყავდა იოანე მუხრანბატონს, რომელსაც ერეკლე მეფემ მიუბოძა სახლთხუცესობა, ჩამორთმეული მეორე სიძის, სარდალის დავით ორბელიანისაგან[1].

ქეთევანი იმავე კულტურულ ატმოსფეროშია აღზრდილი, სადაც ვითარდებოდა მისი უფროსი და მარიამი. ისიც ახლოს იდგა თავისი დროის ლიტერატურულ და პოლიტიკურ მოღვაწეებთან, ისიც განიცდიდა იმ კულტურული გარემოცვის გავლენას, რომელიც ხელს უწყობდა ბატონიშვილების გონებრივ და ესტეტიურ აღზრდას.

ქეთევანის ცხოვრების შესახებ, რუსეთის ხელისუფლების დამყარებამდე, ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპოება.

ამ დროიდან დარჩენილია მხოლოდ ორი წერილი ქეთევანისა, მიმართული იოსებ მიშკარბაშის მეუღლე ქალუასადმი.

ქეთევანის ცხოვრების ზოგიერთი ყოფითი დეტალის გასაცნობად ეს წერილები ინტერესს არ არიან მოკლებულნი. მოგვყავს ორივე უცვლელად. პირველი წერილი დათარიღებულია 1797 წლის 20 მაისით[2].

„ქ. მის ბრწყინვალებას მისკარბაშის ჯალაბს, ჩემს საყვარელს დას, მეფის ასული ქეთევან მრავალს მოკითხვას მოგახსენებ.

---

[1] პლ. იოსელიანი—„ცხ. მეფე გიორგი XIII-ისა", გვ. 17.

დავით ყაფლანისშვილი-ორბელიანი (1716-1796),—სიძე ერეკლე მეფისა, სახელგანთქმული სარდალი და მეომარი. ბესიკი მისი ახლო მეგობარი იყო. დავითი მსხვერპლი შეიქნა ირაკლის კარზე გამეფებულ ინტრიგებისა. დავით ორბელიანის კალამს ეკუთვნის „ყარამანიანის" თარგმანი.

[2] „საქართველოს სიძველენი", ტ. III, გვ. 70-71.

ამას წინათ თქვენი წიგნი მომივიდა და ბატონისაგან ნაბოძები აბრეშუმი გამოგეგზავნათ და უკლებლად მომივიდა.

იმ წიგნის პასუხი ვერ მოგართვი, დიდათ ვწუხვარ და მრცხვენიან. იმ ჟამზედ ამგვარი მიზეზები მქონდა, რომ პასუხი ვერ მოგართვი და რადგანაც მაშინ ვერ მოგწერე, მას უკან სირცხვილით ვეღარ გამოგელაპარაკეთ. ამისთანა გული მაქვს, რომ თუ დავრჩი ასე ადამიანთანა, რას უკან ვეღარ გავბედავ გალაპარაკებას. ახლაც თქვენი წიგნი მომივიდა კიდეც და იმან გამაბედვინა.

მე დიაღ მსურს, რომ წიგნს მოგართმევდე და თქვენს ამბავს შევიტყობდე ხოლმე და თქვენგანაც დაუვიწყებელი ვიყო.

ვიცი, ჩვენს ამბავს მოიხსენებთ, ღვთის მოწყალებით ყველანი მშვიდობით გახლავართ, მაგრამ ამდენს ხანს ბატონების მოშორებულსა, რა მშვიდობა მექნება, დიდათ მწუხარებაში ვარ იმათის ასე დაშორებისათვის. თქვენმა მზემა, უფროსი ერთი სულ შეუძლოთაცაა ვარ.

თქვენს მშვიდობის ამბავს მიბრძანებდეთ ხოლმე.

პური გეთხოვათ და მომირთმევია, დიაღ ბევრი ხარჯი მომივიდა წელს და აღარც მქონდა, თორემ ასე ცოტას კი არ მოგართმევდი. მაისის კ. ქკს უპე.

ეს ბარათი კარალეთს გაგზავნეთ მამასახლისთან და იქიდამ მოატანინეთ. (ბეჭედი).

ყმაწვილებმა მოკითხვის მადლობა მოგახსენეს. ჩვენმა კერძობამ მოკითხვის მადლობა მოგახსენეს"...

მეორე წერილი 1800 წლის 2 თებერვალს[1] არის და-

[1] „საქართველოს სიძველენი", ტ. 3, გვ. 83.

წერილი. ისიც ძალიან დამახასიათებელ დეტალებს შეიცავს ქეთევანის ცხოვრებიდან. ამ წერილს წარმძღვარებული აქვს, ისევე როგორც პირველს, მიმართვა: „ქ. ღვთით მისკარბაშის ჯალაბს ქალუას მიერთვას“. შემდეგ ვკითხულობთ:

„ქ. მის ბრწყინვალებას, ჩემს საყვარელ დას, მეფის ასული ქეთევან მრავალს მოკითხვას მოგახსენებ და თქვენს მშვიდობის ამბავს ვიკითხავ.

დიდათ ვწუხვარ, რომ ამდენი ხანია წიგნი არ მომირთმევია, მაგრამ ერთხელ და ერთხელ რომელისამე მიზეზით ვერ მოგწერე. იმგვარი გული მაქვს, რომ ასე ერთხელ და ერთხელ უკაცრავად რომ დავრჩები, ველარ გაგებედავ.

მაგრამ არც თქვენგან მოველოდი ასე დავიწყებას, რომ ერთხელ თქვენს ამბავს არ შემატყობინებთ.

ჩვენს ამბავს მოიხსენებთ, ღმერთმან იმდენი თავისი მოწყალება მოგცეს, რამდენი მწუხარება ყმაწვილების ავადმყოფობაზე მე გამოვიარე. და ეხლა ღვთის მოწყალებით ყველანი მშვიდობითა ვართ.

ბარგი თუ რამ გვაქვს, ყველა საოფლიან სახლში დაგვრჩა და მე გამოხიზნული ვარ. ხომ მოგეხსენება, იქიდან ვერას მოვინდობ და ამისთვის გთხოვე. სოლომონ ქორწილს აპირებს და თქვენი ჩამოსავლები და ყელსაბამი მათხოვეთ სოლომონის ცოლისათვის. თქვენის ხელმწიფის მზემ, ღვთის მოწყალებით ერთს კვირაზედ უფრო მალე მგონია, რომ მოგართვა. თებერვალს ბ, ქკს უპპ (ბეჭედი).

ქ. თქვენს რძლებსა და თქვენს მულს ელისაბედს სიყვარულით აღესილს მოკითხვას მოვახსენებ.

ქ. პატარა გრიგოლ მომიკითხე, მაგან როგორღა დაგვივიწყა“.

რუსეთის ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქეთევანი ეკუთვნოდა ქართველ ფეოდალებისა და ბატონიშვილების იმ უკმაყოფილო ბანაკს, რომელიც აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა ახალ მთავრობას.

ჩვენ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, რომ ქეთევანს კავშირი ჰქონდა ირანში გაქცეულ ალექსანდრე ბატონიშვილთან და მთიულეთის 1804 წ. ამბოხების მეთაურებთან.

რუსეთის მთავარსარდალს პავლე ციციანოვს ქეთევანმა ბევრი თავსატეხი და საზრუნავი საქმე გაუჩინა. 1805 წ. თებერვალს ციციანოვი სწერს საგანგებო მოხელეს, სტატსკი სოვეტნიკ ტარასოვს:

„მრავალრიცხოვანმა დაკითხვებმა გვიჩვენა, რომ მეფე ირაკლის ასული ქეთევანი მონაწილეობას იღებდა აღნიშნულ ამბოხებაში (იგულისხმება მთიულეთის აჯანყება 1804 წ. ლ. ა.); ამიტომ, თუ საჭირო იქნეს მისი დაკითხვა, ან ვინმესთან პირისპირ წაყენება, ყოველივე მოიმოქმედეთ ჩემი ნებართვით“ [1].

ქეთევანის საქმიანობის და როლის გასათვალისწინებლად რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობაში, საგულისხმო დოკუმენტს წარმოადგენს აგრეთვე პ. ციციანოვის „უქვეშევრდომილესი რაპორტი“, დათარიღებული 1805 წ. 29 თებერვლით:

„სარდარი ბაბა-ხანი, — სწერს ამ პატაკში ციციანოვი, — რომელმაც ვერ გაუძლო თქვენი იმპერატორებითი უდიდებულესობის ძლეველ ლაშქარს და რომელიც სირცხვილისაგან გულში ატარებს ბოროტ განზრახვას, თავს

[1] Акты, ტ. II. გვ. 336.

არ ანებებს თავის სპარსულ გაიძვერობას, — გულმოდგინედ და განუწყვეტლად აგზავნის აქეთკენ ფირმანებს, ხალათა გაზაფხულისთვის განაახლოს ამბოხებები საქართველოში, სადაც შარშან ზაფხულში დატოვებული ჩვენი ჯარის უმოქმედობამ შესაძლებელი გახადა მისი თავხედობა.

ამის დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს 11 ფირმანი, რომელსაც ამასთანავე გაახლებთ თარგმანებითურთ. მათ რიცხვში ოთხი, — მიმართული: პირველი არაგვის მცხოვრებთა და ოსებისადმი, მეორე — ფარნაოზ ბატონიშვილისადმი, მესამე — ქეთევან ირაკლის ასულის ვაჟის, თ. კონსტანტინე მუხრან-ბატონისადმი და მეოთხე — ბრიგადირ თ. თამაზ ორბელიანისადმი, — მოტანილ იქნა ტფილისში გასული წლის დეკემბერს, ოსეთის მთებში ჩემი სალაშქროდ ყოფნის დროს, ირაკლი მეფის ასულის ქეთევანის მოსამსახურის მიერ და აღმოჩენილი იქნა ჩემი დაბრუნებიდან 10 დღის გასვლის შემდეგ.

დასახელებული კაცის სიტყვით, მისგან მეფის ასულს ეს ფირმანები მიუღია ტფილისში მისი ჩამოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ, მაშასადამე მეფის ასული მათ ინახავდა გაუმჟღავნებლად ერთი თვის განმავლობაში.

ამ ეჭვმა და პირადად ჩემ მიერ ფარნაოზ ბატონიშვილისგან[1] ჩამორთმეულმა ჩვენებამ, სადაც უკანასკნელი ამბობს, რომ მისმა დამ, ქეთევან ირაკლის ასულმა, ზაფხულში წერილი მისწერა ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელშიაც მას აქეთკენ მოუწოდებდაო, — მე იძულებული გამხადა მისი სახლისათვის

[1] მთიულეთის 1804 წ. ამბოხების ერთი მეთაურთაგანი, უფროს ძმასთან, იულონ ბატონიშვილთან ერთად.

გუშაგი მიმეყენებინა და ამით აღმეკვეთა მისი ურთიერთობა სხვებთან.

ამ მკაცრი ზომის გასამართლებლად, — დასძენდა ერთგული სატრაპი, — მე ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს, უქვეშემრდომილესად მოვახსენო თქვენს ი. უ., რომ მშვიდობიანობა და სიწყნარე ხალხისა ვამჯობინე ამ წარჩინებული გვარის პიროვნების დროებით შეურაცყოფას,— თუმცა, თუ კანონებს მივხედავთ, მას არ შეუძლია ეს პატიმრობა შეურაცყოფად მიიჩნიოსო"... [1]

ქეთევანი მუდამ არაკეთილსაიმედო პიროვნებად ითვლებოდა რუსეთის ხელისუფალთა თვალში. ალბათ ამიტომ იყო, რომ ალექსანდრე იმპერატორის რესკრიპტით 1804 წელს მას ჩამოერთვა საუფლისწულო სოფელი კარალეთი, რომელიც მთავრობამ რუსეთის ერთგულ ფეოდალებს-ქსნის ერისთავებს გადასცა.

გასული საუკუნის ოციან წლებში ქეთევანს ცხოველი მიმოწერა აქვს რუსეთში მყოფ ქართველ ემიგრანტებთან.

1820 წელს რუსეთიდან მას წერილებს უგზავნის მოხუცი პოეტი დიმიტრი ბაგრატიონი, ავტორი გალექსილი „ქეთევან დედოფლის წამებისა" და სხვა პოეტური ნაწერებისა [2].

---

[1] Акты, ტ. II. გვ. 822.

[2] დიმიტრი ბაგრატიონის წერილები, წ. კ. № 303, იხ. ე. თაყაიშვილის Описание, ტ. II. вып. 3, გვ. 425.

დიმიტრი გიორგისძე ბაგრატიონი იყო ქართველი მეფეების შთამომავალი (შვილისშვილი იესე მეფისა). დაიბადა მე-18 ს. ორმოციან წლებში. რაღაც დანაშაულისათვის რუსეთში იქნა გაძევებული. დ. ბაგრატიონს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა რუსეთში მყოფ ქართულ პოლიტიკურ და ლიტერატურულ წრეებთან, აგრეთვე ხშირი მიმოწერა ჰქონდა საქართველოში მყოფ წარჩინებულ პირებთან. დ. ბაგრატიონის ლექსები იხ. „ანთოლოგია". ში, ტ. II. გვ. 249—256, ტფ. 1928 წ.

დიმიტრი ბაგრატიონმა თავისი „წამება წმინდისა ქე-
თევან დედოფლისა“ ცალკე წიგნად დაბეჭდა პეტერბურგ
ში 1822 წელს. თავისი ნაშრომი მან უძღვნა ქეთევან
ბატონიშვილს. წიგნს დართული აქვს პიიტიკური ლექ-
სით მიძღვნა:

მეფის ასულო, ქველ კეთილ სულო,
ძვირ უფასულო, ქეთევან რქმულო...
მონარგიზულო, ჯერ არ დაზრულო,
პირ მომანგულო, სადაფ განბმულო...

ასეთი სიტყვებით მიმართავს პოეტი ქეთევან ბატონი-
შვილს, რომელიც ამ დროს სამოც წელს არის მიღწეული...

ქეთევანის ყველა ლექსი, გარდა ერთი ცნობილი ლექ-
სისა, ჯერჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

ქეთევანიც, თავის დასთან, მარიამთან ერთად, დასტი-
რის გარდასულ დროებს, „ბედნიერთ პალატთ“, აწ დამ-
ხობილთ, „გაერანებულ წალკოტთ, რომლებიც აღარ
იფურჩქნებიან“...

ალეგორიულ ფორმებში იგი გადმოგვცემს რუსეთის
შემოჭრას და სამშობლო ქვეყნის გაერანებას, სამეფო
ოჯახის დანგრევას და ბატონიშვილების გადასახლებას.
ქეთევანი მწარედ უჩივის თავის მწარე ხვედრს,—პატიმ
რობას და მოსალოდნელ უბედურებას:

... ჩრდილოთ მგზავრობას,
უცხოს, მწირს ადგილს გრძლად სადგურობას...


ქეთევანის ლექსი თავისი შინაარსით და საერთო განწყობილებით ძალიან უახლოვდება მარიამის ლექსებს. ორივე ქალის შემოქმედება ერთი საზოგადო მოტივით არის აღძრული, მათი ლექსებიც ერთსა და იმავე სოციალურ გარემოცვას ემსახურებოდნენ თავის დროზე[1].

—

[1] ქეთევანის ლექსი პირველად გამოაქვეყნა დ. ჩუბინაშვილმა თავის ქრესტომატიაში (II, გვ. 111—113). დაიბეჭდა აგრეთვე გაზეთ „ბახტრიონში" № 13—1922 წ. და „ანთოლოგიაში" II, გვ. 275—276, 1928 წელს.



გაფი დუგაში სათქმელი [1]



ოი, ვითარ ვსთქვა, განსაკრთომელი
ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი;
ჩრდილოთ ვიხილე მცირე ღრუბელი,
აზიის მთიებთ დამბნელებელი,
ბედნიერთ პალატთ დამამხობელი,
შვენიერთ წალკოტთ არ მფურჩქნებელი.
ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი,
ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი!

—

აღმოფხვრნა ვარდნი, უცხოდ ნაზარდნი,
თვისთა მამულთა ჰყო განავარდნი,
აღარ ჰყვავიან ზამბახნი, ვარდნი,
განჰქრივნა ყოვლგნით, მჰკლავს მათნი დარდნი.
მათი მგონები, აწ გულო, დადნი,
არ გაქვს წამალი მამთელებელი.
ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი,
ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი!

—

[1] გადამწერის შენიშვნა: „გაფი არს თათრული, რომელთა იხტილათი, ქართულებრ—შექცევა.

ზოგნი დაჰფარნა თვისით ნისლითა,
ზოგნი დილეგთა არვინ უშლითა,
მეცა მეწია ბედით ჩემითა,
მიმცა პატიმრად წვიმის ცრემლითა,
მათთვის ცეცხლითა არ მწვავს ნელითა,
ვინცა არს ჩემი მაცოცხლებელი.
ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი,
ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი!

—

გუშაგნი მრავლად ჩემთვის მცველობენ,
სხვა და სხვა ჰაზრით გველებრ ჭრელობენ,
არ მცემენ ნუგეშს, მჰსწრაფლად მწყრალობენ,
მათნი მახვილნი გულსა მჭრელობენ,
კვლავ სხვანი მოვლენ, სადგურს მცველობენ,
მჭმუნვარის გულის დამწყლულებელნი.
ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი,
ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი!

—

არ დამაჯერა აქ პატიმრობას,
ესდენ უწყალოდ განაწირობას,
უთმინოს სევდით გულის შეპყრობას,
მსწრაფლად მპირდება ჩრდილოდ მგზავრობას,
უცხოს, მწირს ადგილს გრძლად სადგურობას,
მყისვე სიკვდილის ვარ მახლობელი.
ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი,
ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი!

—

აწ მე მიგლოვეთ, სატრფონო ძმანო,
ყოვლნო მოყვასნო და ზრდილნო ყმანო,
ყაი, მათთანა შვების აღთქმანო,
აწღა სადა ხართ, გლოვისა ხმანო,
სადავითოსა მტილს შინა თქმანო,
უნუგეშოდ არ დასათმობელი.
ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი,
ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი!

—

რად არ დაგვიწყდი ჰოი, სოფელო,
არ ხანიერო, ცუდ საყოფელო,
მცირის ჟამისავ, არ დამყოფელო,
ჩემებრ უბედოთ ცუდ საყოფელო,
მაგრამ ბედნიერთ პირდამყოფელო,
ვინც არ გენდობის, ვარ მადლობელი.
ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი,
ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი[1].

—

[1] ქეთევანის ეს ლექსი უმნიშვნელო ცვლილებებით რამდენიმე ხელნაწერშია შენახული: წ. კ. № 1512. გვ. 206—208; წ. კ. № 2455, გვ. 4—7; წ. კ. № 3723. გვ. 222—223 და წ. კ. № 1543. გვ. 18—19.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



თეკლე

1776-1846

თეკლე უმრწემესი და უსაყვარლესი ასული იყო ერეკლე მეფისა. პატარაობიდანვე იგი განირჩეოდა თავისი დებისაგან ვაჟკური იერით, სიმკვირცხლით და მარჯვე ქცევით. ალბად ამიტომ იყო, რომ ოთხი წლის თეკლესთვის ერეკლეს სახუმარო სიგელი უბოძებია: „თუმცა აქამდის შენ ყველასაგან ქალად იყავი ცნობილი, მაგრამ ამიერითგან გიწყალობებთ ბიჭის სახელს და ვუბრძანებთ ყველა შენს ძმებს და დებს გიწოდონ თეკლა ბიჭიო“. ამ სიგელს ხუმრობითვე ამტკიცებდნენ კათალიკოზი ანტონი, ბიძა თეკლესი და ძმა, იულონ ბატონიშვილი[1].

---

[1] ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქ. ისტორ. წ. I, გვ. 133, ტფ. 1914წ.

ჩვენამდე შენახულა რამდენიმე წერილი ერეკლესი, მინაწერი თეკლესადმი ჯერ კიდევ მის მცირეწლოვანებაში. ეს წერილებიც იმავე ხუმრობის კილოთია დაწერილი.

„თეკუნავ ჩემო,—მიმართავს 1781 წელს ერეკლე ხუთი წლის ასულს,—შენი სიბრძნით სავსე წიგნი მომივიდა, რომლისაგან შენ ხომ იცი და გონიერი ქალიცა ხარ, როგორ მეამებოდა და მაგებდა. მაგრამ უცხოს ოსტატობით და მდივნობით იყო შენი გარჯილობა. უფრო რომ არაბულს ხელს გემსგავსებინა. მეტის სიღრმისაგან ვერ აღმოვიკითხეთ და ვერც არა შევიტყვეთ. შენთვის ახლა პირს კოცნა მომიხსენებია. ჩემაგიერად დედაშენმა გაკოცოს.

ექვსი კარგი ბროწეული გამომიგზავნია. ხვალ ღვთით კიდემ ბევრს შაქრის ყინულს და ნუღლს და შაქარს გამოგიგზავნი“[1].

მეორე წერილი ერეკლესი თეკლესადმი 1785 წლით არის დათარიღებული. ამ დროს თეკლე უკვე ცხრა წლის ჰასაკშია. ეს წერილიც იმავე ალერსით არის გამსჭვალული. „ღვთით ალექსანდრეს მოუვიდეს. იმან თეკლას გადასცეს“,—ვკითხულობთ მისამართში. ამას მისდევს ეპისტოლე: „ჩემო შინაგან გულის ნათელო თეკლავ,—სწერს მოხუცი მეფე თავის ასულს,—შენს ლამაზს პირს კოცნას მოგახსენებ, შენი ბრძნულებ გაწყობილი წიგნი მომივიდა. მიამა შენმა გაზდამ და დიდათაც დაგიმადლე. არაბული კი ვეჭოს დაგვიწყებია წერა და ახლა ქართულის წერას მოყოლიხარ, მაგრამ კინაღარ ის უფრო აღმოიცნობოდა.

თუ ჩემი თეკლა ხარ და დაც და ძმებიც, დებიც და რძლებიც და ძმისწულებიც, ყველანი, ვინც შენნი იყვნენ,

[1] იქვე, გვ. 135.

მომიკითხე და კიდეც აკოცე ჩემაგიერ ყველას და ამ ხანად ვერა გამოგიგზავნე და ნუ დამემდურები“...[1]

თეკლას ბიოგრაფიული ცნობები, ისევე, როგორც მარიამისა და ქეთევანისა, ნაკლებად მოგვეპოება: ეს შეეხება განსაკუთრებით მისი ახალგაზრდობის პერიოდს.

ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვით თეკლე „სამეფო სახლში იყო აღზრდილი, თავისი დედის დარეჯან დედოფლის გავლენის ქვეშ. სწავლა ისე ჰქონდა მიღებული, როგორათაც იმ დროის საქართველოს ქალებს ასწავლიდნენ საქართველოში და სწურთნიდნენ[2]. მან იცოდა ქართული წერა-კითხვა, მშვენიერად ლაპარაკი, მწიგნობრობა და სუყველა ის კრძალულება და სათნოებითი მხარეები, რასაც მის დროს ასწავლიდენ ქართველ ქალებს. მწიგნობრობის მოყვარეც იყო და ხშირად ლექსებსაც სწერდა“...[3]

თეკლე ბატონიშვილის გონებრივ განვითარებაზე უეჭველად დიდ გავლენას მოახდენდნენ ერეკლეს კარზე დაახლოვებული კათოლიკე პატრები და აგრეთვე სხვა უცხოელები, რომლებიც ხშირი სტუმრები იყვნენ იმ დროის საქართველოში. ამ უცხოელებში აღსანიშნავია, სხვათა შორის, დავით ბატონიშვილის აღმზრდელი, ავსტრიელი მსწავლული პირი ო. გეტტინგი, რომელიც 1789 წ. პეტერბურგიდან იქნა სპეციალურად მოწვეული მეფე ერეკლეს მიერ[4], აგრეთვე დოქტორი იაკობ რეინეგსი, რომელიც წარმოგზავნილი იყო თავად პოტიომკინის მიერ საქართველოს სამეფო კარზე, პოლიტიკურ

---

[1] იქვე, გვ. 136. იხ. იქვე მესამე წერილი ერეკლესი თეკლესადმი, უთარიღო.

[2] აქ, ცხადია, ფეოდალური წრის ქალებზეა ლაპარაკი. ლ. ა.

[3] ზ. ჭ.—„ვახტანგ ორბელიანი“—ტფილისი, 1892 წ. გვ. 12-13

[4] Ал. Хаханов—Очерки, ტ. 3, გვ. 335.

აგენტად. სხვათა შორის, ამ დოქტორ რეინეგსს და კათოლიკე მისიონერებს ჩაუნერგიათ დავით ბატონიშვილისათვის ინტერესი საფრანგეთის რევოლუციის და ნაპოლეონ პირველის პიროვნებისადმი[1]. ამ საზოგადოებასთან ახლო ყოფნას, თეკლესთვის, რომელიც პატარაობიდანვე განირჩეოდა თავისი მახვილი გონებით, არ შეიძლება შეესაფერი ნაყოფი არ გამოეღო.

კათოლიკე მისიონერებთან ახლო ნაცნობობა და ურთიერთობა თეკლეს ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეშივე ჰქონდა დამყარებული. ეს კავშირი შემდეგშიც არ დარღვეულა. „ფრანგული ენის სწავლებაშიო,—ამბობს პოეტი ვახტანგ ორბელიანი[2], უმცროსი ვაჟი თეკლესი,—მე მეხმარებოდა ერთი პატრი, დედაჩემის კარგი ნაცნობი, მომსწრე მეფე ერეკლესი და გიორგი მეფისაო... დედაჩემი მათ ბევრჯერ მოურჩენიათ ავადმყოფობისაგან... პირველ წლებში, რუსობისას, პატრები ჩვენსა ხშირად დაიარებოდნენ. დედაჩემი დიდი პატივისმცემელი იყო მათიო“[3].

თეკლე ოცდაორი წლის იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა. ეს მოხდა 1798 წლის 11 მარტს. ამ დროიდან გადარჩენილა თეკლეს წერილი, მიმართული გარსევან ჭავჭავაძის მეუღლის მაიასადმი, სამძიმრის პასუხად. წერილი რიტორიული სტილის ნიმუშს წარმოადგენს. „ცვალებამან მრავალ საგლოველისა ამის სოფლისამან, განკვეთა გული ჩემი საშვებელისა ხედვისაგან, დამაკლო სატრფიალოსა სიცოცხლესა, აღავსო საცრემლე თვალთა ჩემთაო,“—სწერს „მარადის ცრემლმომდინარე, მრავლის

---

[1] А. Хаханов-Очерки, ტ. 3, გვ 336.

[2] 1812-1890 წ.

[3] ზ. ჭ. „ვახტანგ ორბელიანი“-ტფილისი, 1892 წ. გვ. 1.

მწუხარებით გულ სისხლ-მჩქეფარე“ თეკლე თავის ბებ გობარს[1].

ორი წლის შემდეგ, გიორგი მეცამეტის სიცოცხლეშივე, თეკლე ცოლად მიჰყვება ვახტანგ ორბელიანს. „მეფე იქნა სნეულებითა დამძიმებული,--გვიამბობს პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი,—მოახსენეს ბრძანოს გათხოვება მეფის ასულის თეკლასი. ბრძანა, დალოცა, აკურთხა და დასწერა ჯვარი ვახტანგ ყაფლანისშვილზედ, რომელიცა იყო ძე თავადის დიმიტრისა“...[2]

თეკლეს ვახტანგ ორბელიანისაგან სამი ვაჟი ჰყავდა: ალექსანდრე, შემდეგში მწერალი,—„პუპლიად“ წოდებული[3], დიმიტრი და ვახტანგი[4], ცნობილი პოეტი. სამივე ძმა შემდეგში აქტიური მონაწილე შეიქნა 1832 წლის შეთქმულებისა. ამ შეთქმულების თანამგრძნობი იყო თვით თეკლეც, რომელმაც შემდეგში გაიზიარა აგრეთვე მწარე ხვედრი შეთქმულთა და მათ შორის თავისი შვილებისა.

არ ყოფილა არც ერთი დიდი პოლიტიკური მოვლენა საქართველოს ცხოვრებაში, რომ თეკლეს ასე თუ ისე მონაწილეობა არ მიეღოს. პასიური იყო ეს მონაწილეობა თუ აქტიური, ეს მეორე საკითხია, ფაქტი ის არის

---

[1] „ცისკარი“ 1860 წ, 11, გვ. 441. თეკლე ბატონიშვილი: „წიგნი, სამძიმრისა პასუხად, მეფის ირაკლის გარდაცვალებაზედ“..

[2] პლ. იოსელიანი-„ცხოვრ. გიორგი მე-13-სა“ გვ. 250. პლატონი თეკლეს ქორწინების თარიღად თვლის 1799 წლის 7 სექტემბერს; გენ. ლაზარევი კი 1800 წლის 8 სექტემბერს სწერდა კნორინგს: Вчерашний день совершился брак царевны Ѳеклы за.к. Вахтанга Орбелиани“ (Акты, т. 1, стр. 150) ეს ვახტანგ ორბელიანი მოჰკლეს 1812 წელს.

[3] 1801-1869 წ. (იხ. „ანთოლოგია“ ტ. 3, გვ. 252).

[4] 1812-1890 წ.

მხოლოდ, რომ თეკლე ყოველთვის ახლოს იდგა თავის ქვეყნის და თავისი კლასის ცხოვრების ვითარებასთან და არც ერთი საზოგადო მოვლენა არ რჩებოდა მისი ყურადღებისა და გამოხმაურების გარეშე.

თეკლეს უმფროსი შვილის, ალექსანდრე ორბელიანის სიტყვით, 1812 წელს დედამისი კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის აქეზებდა ქმარსა და ნათესავებს.

„მე ჩემი ყურით მესმოდა ხოლმე, მაშინ ყმაწვილი ვიყავ 9 წლისა,—მოგვითხრობს ალექსანდრე ორბელიანი,—მამაჩემთან და დედაჩემთან რომ მოვიდოდნენ მაშინდელი დიდი კაცნი და ჩუმად ლაპარაკი ჰქონდათ და დაწყობილება, რუსები როგორ გავლალოთო. ეს იმათი დაწყობილობა მთელ ქართლ-კახეთში მოფენილი ჰქონდა თავიანთი კაცების პირით და ზრუნვიდნენ ამაზე“...[1]

იგივე ალექსანდრე გვასურათებს თეკლეს აქტიურ როლს რუსეთის საწინააღმდეგო მოძრაობის იდეური მომზადების საქმეში. „ჩემი რჩევა ეს არის,—აქეზებდა თეკლე თავის ქმარს 1812 წელს,—რომ თქვენ სულ ერთიან კახელებს მიუდგეთ, წადით, ნულარ დააყოვნებთ საქმეს. აქ ჩვენ რაც უნდა მოგვივიდეს თქვენ ცოლშვილებს, თუნდა სულ ერთიან ლუკმა-ლუკმა დაგვჭრან, ერთი არაფერი არის, ოღონდ მიუდექით თქვენ ძმებს კახელებსა...“[2].

დაახლოვებით ასეთსავე როლს თამაშობდა თეკლე 1832წ. შეთქმულების დროს. მიუხედავად ხანდაზმულობისა,—მაშინ თეკლე ორმოცდაათ წელს იყო უკვე გადაცილებული,—იგი, როგორც ახლო მცნობი შეთქმულთა პოლი-

---

[1] მოგონება ალექსანდრე ორბელიანისა თავის მამის ვახტანგ ორბელიანის შესახებ. 1867 წ. გამოც. ს. კაკაბაძისა, 1914 წ. გვ. 9.

[2] იქვე, გვ. 13.

ტიკური ზრახვებისა, თავისი თანაგრძნობით, რჩევით, წე-
ქეზებითა თუ გამხნევებით, როგორც სჩანს, ხელს უწყობ-
და მათ პრაქტიკულ განხორციელებას.

თეკლეს შვილები—ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგი უახლოესი მონაწილენი იყვნენ შეთქმულთა საზოგადოებისა და შეუძლებელია მათ თავის საქმეში განდობილი არ ჰყოლოდათ დედაც. რომანტიულ-პატრიოტულად განწყობილი, შეთქმული თავადაზნაურული ახალგაზრდობისათვის, რომელიც ძველი მეფობის აღდგენას ლამობდა, ბატონიშვილი თეკლე იმ დროს წარმოადგენდა ბაგრატიონთა გადასული სამეფო დინასტიის ცოცხალ სიმბოლოს.

რუსეთის უმაღლესმა საგამომძიებლო კომისიამ, სჩანს ჯეროვანად შეაფასა თეკლეს როლი 1832 წლის შეთქმულების საქმეში და სათანადო მსჯავრიც გამოუტანა მას. თეკლე გადასახლებულ იქნა ქალ. კალუგაში თავის შვილებთან, დიმიტრისთან და ვახტანგთან ერთად[1].

უფროსი ვაჟი თეკლესი, იმ დროს პოდპორუჩიკის ჩინში მყოფი ალექსახდრე, გამწესებულ იქნა ალექსანდროვის ფორტში, კასპიის ზღვის აღმოსავლეთ კიდეზე[2].

გადასახლებაში თეკლემ ერთ წელიწადზე მეტი ხანი დაჰყო. ეს დრო საკმარისი იყო იმისთვის, რომ მოხუც მეფის ასულს სათანადოთ შეეფასებინა მომხდარი ამბავი და არსებული პოლიტიკური სიტუაცია.

რომანტიული ბურუსი ქართველ ფეოდალურ არისტოკრატიისა სწრაფად გაჰფანტა ორთავიანი არწივის გაშმაგებულმა მძვინვარებამ.

---

[1] დ. ყიფიანი-„მემუარები“ გვ. 133.

[2] იქვე, გვ. 136.

მეოცნებე პატრიოტების ოპოზიციონურმა სულისკვეთებამ ჩქარა დაჰკარგა თავისი სიმძაფრე და შეურიგებლობა. იგი შესცვალა შეგუებისა და „უქვეშევრდომილესი“ გრძნობების მძლავრად წამოსულმა ტალღამ. ჩქარა თითქმის ყველა შეთქმული ქართველი არისტოკრატი შეიქნა უერთგულესი მოხელე და მეომარი რუსეთის თვითმპყრობლური ტახტისა. თავისი ერთგულობით ბევრმა მათგანმა მიაღწია სამხედრო და სამოქალაქო იერარქიის უმაღლეს საფეხურებსაც კი. როგორც მაგალითად გრიგოლ ორბელიანმა ან დიმიტრი ყიფიანმა.

ეს არ შეიძლება ითქვას ჩვენი ინტელიგენციის იმ დემოკრატიულ ნაწილზე, რომელმაც არისტოკრატიასთან ერთად მონაწილეობა მიიღო 1832 წ. შეთქმულებაში; ესენი იყვნენ წვრილი აზნაურები, მასწავლებლები, ხალხიდან მოსული პირველი „რაზნოჩინცური“ ახალგაზრდობა: სოლომონ დოდაშვილი, რაზმაძე, ფილადელფოს კიკნაძე... ქედის მოხრას მათ არჩიეს ამაყი შეურიგებლობა, სამსახურში პირფერობით დაწინაურებას—მდუმარე, გულჩახვეული, ჩრდილმიფარებული არსებობა და ადრიანი სიკვდილი ციხესა და ჩრდილოეთის შორეულ გადასახლებაში.

ქართულ არისტოკრატიის შეცვლილ განწყობილებებს საუცხოოდ გვიხატავს თეკლეს მიმოწერა შვილთან და რძალთან[1]. ეს მიმოწერა მისი გადასახლების პერიოდს (1834—35 წ.) ეკუთვნის.

1834 წლის 12 დეკემბერს კალუგიდან იგი სწერს შვილს, ალექსანდრე ორბელიანს, რომელიც იმ დროს იმყოფებოდა ალექსანდროვკაში, კასპიის ზღვის კიდეზე:

[1] თეკლეს წერილები, იხ. წ.კ № 1631/ა.

„კარგი მოწყალე ხელმწიფე გვყავს და არ შეიძლება მისი წყალობით არ მოგვხედოს. კარგი იყო არ მომხდარიყო და მეც ისე არ დავეღუპეთ უბრალო სული ყოვლითურთ. ღმერთთან გამცენ პასუხი მიზეზთა“...

ერთი კვირის შემდეგ თეკლე კვლავ მიმართავს ალექსანდრეს: „დღეის სწორს, შენ რომ წიგნი მოგწერე, იმ საღამოს მეცხრე საათზედ გამომიცხადეს, იმის დიდებულებას განუთავისუფლებივარ, კალუღიდამ პირდაპირ ისევ ჩემს ქვეყანაში, საქართველოში, უნებებია ჩემი წასვლა“... თეკლე დაღონებული დასძენს: „მე კი ეხლა ამისთანა ზამთარში არ შემიძლია წასვლა, ნახევარ აპრილს იქით წავალო“. ბოლოს კვლავ იმეორებს ფრაზას, რომელიც გვხვდება თეკლეს თითქმის ყველა წერილში: „კარგი ხელმწიფე გვყავს, შენმა მზემ!“

ეს სიტყვები მარტო თეკლესი არ არის. ეს უკვე საერთო აზრია გადასახლებაში მყოფ შეთქმულ არისტოკრატების.

პოლიტიკური რეჟიმის მრისხანე ხელმა ჯერ მაგრად დაარტყა რომანტიკოს თავადებს, შემდეგ იგივე ხელი მამობრივი მზრუნველობით მოეფერა მათ, დაუყვავა, ერთგულებისათვის პატივი მიანიჭა. თუ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, სულ სხვა სოციალ-პოლიტიკურ პირობებში, რუსულ ინტელიგენციაში ჩვენ ვეცნობით ეგრედწოდებულ „მონანიებულ აზნაურებს“, აქ ჩვენ საქმე გვაქვს „მონანიებულ თავადებთან“. მხოლოდ მათ შორის არის „პატარა“ განსხვავება. თუ პირველნი თავისი კლასის საუკუნოებრივ ცოდვებსა და დანაშაულს „ინანიებდნენ“ ხალხის წინაშე, ჩვენი ახალგაზრდა თავადიშვილები თავის სინანულს უქვეშევრდომილესად უცხადებდნენ რუსეთის თვითმპყრობელს. თავისი ლოიალური გრძნობებისა და საქმიანობის ჯილ-

დოთ მათ წინ ესახებოდათ საიმედო პერსპექტივები წარ-
დებრივ პრივილეგიების და კმაყოფილებისა. „თიბათვეს
ტფილისში თქვენთან ვიქნები,—სწერდა თეკლე თავის
რძალს ეკატირინეს ჯალუგიდან (1835 წ. 7 თებერვალს),—
ღვთის გულისათვის, ნურავინ რას იწუხებთ, კარგი დღეები
მოდის, ყველას ერთად გაგვახარებსო... როგორც ჭუხდა,
ღვთით ისე არა სწვიმს, ყველამ ისე იცოდეთო",—დას-
ძენდა იგი იმედიანად...

ჯალუგიდან თეკლემ მხოლოდ 1835 წლის მაისში შეს-
ძლო გამომგზავრება. „ამ თვის რვას ჯალუგიდან წამოველ
და გუშინ აქ ტულაში მოველო,—სწერდა თეკლე ალექ-
სანდრეს ორენბურგში,—მოწერა არ შემიძლიან, რასაც
პატივით მე წარმომგზავნეს შენმა გაზრდამ, ღმერთმან
უმეტესად ადიდოს ჩვენი ხელმწიფე... ჩვენ ღირსნი არა
ვართ ასეთი ხელმწიფე გვყავდეს"...

ერთი თვის მგზავრობის შემდეგ თეკლე ჩამოდის სამ-
შობლოში. ამიერიდან თეკლეს ცხოვრებაში არაფერი
ღირსშესანიშნავი აღარ მომხდარა. იგი უმეტეს ნაწილად
ცხოვრობდა ტფილისში. მის საზოგადოებას შეადგენდა
ქართული თავადაზნაურული არისტოკრატია და სალო-
ნები, სადაც იკრიბებოდნენ საუკეთესო ძალები მაშინდე-
ლი ქართული ლიტერატურისა: თეკლე თანამედროვე იყო
ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკო ბა-
რათაშვილის, გიორგი ერისთავის, ნინო ჭავჭავაძე-გრი-
ბოედოვისა, მანანა ორბელიანის. იგი დიდ ყურადღებაში
იყო მეფის ნაცვალ მ. ს. ვორონცოვთანაც, რომელსაც
ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმ დროის ქართველ
მაღალი წრის თავად-აზნაურობასთან.

მუშს წარმოადგენს თეკლეს ერთი ლექსი, რომელსაც წარმძღვარებული აქვს შენიშვნა: „რასტის გუშა გულ ჰამანუმ ჯამანის ხმაო“.

თეკლეს ლექსები შენახულა დავით რექტორის [1] მიერ შედგენილ და გადაწერილ კრებულში [2].

ისინი ეკუთვნიან მე-19 საუკუნის დასაწყისს წლებს.


---

[1] დავით რექტორი ალექსიშვილი გარდ. 1825 წ. (იხ. პლ. იოსელიანი.—„ცხ. გიორგი მეცამ.“ გვ. 319.)

[2] წ. კ. № 1512, გვ. 208. „ქეთევანისადმი პასუხი“-ს პირი გადაწერილია აგრეთვე წ. კ. № 3723, გვ. 223-4. (ეს უკანასკნელი ხელნაწერი საერთოდ ცუდი და უვიცი გადამწერლის უხეირო ხელით არის შესრულებული. თეკლეს ლექსი აქ მეტად დამახინჯებულადაა წარმოდგენილი).

თეკლეს ლექსებიდან „ქეთევანისადმი პასუხი“ დაბეჭდილი აქვს ნაკლულად დ. ჩუბინაშვილს (ტ. 2, გვ. 113), იგივე ლექსი წ. კ. № 1512 და № 3723 ხელნაწერების მიხედვით დაბეჭდილია „ანთოლოგიაში“—ტ. 2, გვ. 277. დანარჩენ ორ ლექსს ვაქვეყნებთ პირველად. (იხ. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“—№ 1-2)“





თეკლა გატოჩნიშვილისაგან თქმული გაფი, ქეთევნს, თავის დას პასუხს უგებს ამ ლექსით

რად გიკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირეს ხანს ლხინთა განმწარებანი,
თუმცა იხილეთ მნათობთ ვნებანი,
ერიქოს ვარდთა უცხოდ რებანი,
ნაზთა იათა ცრემლით ვჰსებანი,
უთმინოთ ოხვრით სულთქმა-ვებანი.

ჰსტირ შესაწყალად წალკოტთა ჰრგულთა,
შვენიერთ ვარდთა, ედემით სხმულთა,
ზამბახთა თხზულთა, უზადოდ მკულთა,
თვისთა მამულთა აწ განკარგულთა,
არ ჰსცემს ლხენასა მცირეს ჟამს გულთა,
მწადს სევდით მოცულს, ველად ჰრბენანი.
რად გიკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირეს ხანს ლხინთა განმწარებანი?

იგლოვ მაღალს ტახტს, ვაჲ წაბდომილს,
დიდებულს პალატს, მჰსწრაფლად დამხობილს,
შვება - სიხარულს, ტრფობით შემკობილს,
ეტლ-დაბრუნებულს, მოყვასთგან გმობილს,
გსურს მყის სიკვდილი, გულლახვარსობილს,
არღარა გნებავს სიტყვის გებანი.
რად გიკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირეს ხანს ლხინთა განმწარებანი?

ჰე გულო, რად გაქვს ესდენ წყინება,
მარად სისხლისა ცრემლთა დინება,
გუშაგთ სიმრავლით თვალთა შინება,
მათგან უწყალოდ ჭირთა ჰსმინება?
რადგან ჩრდილოთ მზემ ესრეთ ინება,
გრძალვით ითმინე სახმილთ გზებანი.
რად გიკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირეს ხანს ლხინთა გამწარებანი?

ჰგოდებ სიმწარით მრავლად ჭირებსა,
მჰსმენთაგან ძნიად გასაკვირებსა,
უთმინოდ სულთქმას განსახშირებსა,
სიცოცხლისაგან განაწირებსა,
ყოვლთა მტერთაგან დასატირებსა,
ნუ ჰსწუხ, დაშრტება ცეცხლთა დებანი!
რად გიკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირეს ხანს ლხინთა განმწარებანი?..[1]

---

[1] წ. კ. № 1512, გვ. 208 და წ.კ. № 3723, გვ. 223 - 224.



თ ე ჯ ლ ი ს ი

Ყოველთ მოდასეთა დაისრეს გული,
დამგმეს სხვისგან კიდე ნათელი დღისა,
რადგან მათთან ვიქმენ დღისგან კლებული,
ჩემად მაქვს ნუგეშად იმედი მზისა.

მოყვასნი ჩემნიცა მიცვევდენ გულსა,
მათგან ამაგ ნაშრომს ჩემგნით დარგულსა.
სხვისგან ჭირ-ჩავარდნილს და განკარგულსა,
ველარ ვჰპოვე აწა მე შუქნი მთვარისა.

შავნი თვალნი მხედვნი სად განკარგულა,
სად ვეძიებ მთიებს, და სად დარგულა,
რისთვის ჩემი გული სად დადაგჯულა,
მოვედ შავნო თვალნო, მხედველნო ცისა!

განვეშორე რაყიფს, ცეცხლსა იდებდა,
რისთვის ამდენს შრომას გარდამიგდებდა,
გონებით ეგონა წილს დაიდებდა
ლმობით ზის ყარიბი მჭვრეტ ვარსკვლავისა [1].

---

[1] წ. კ. № 1512, გვ. 325.

„როგორ მოვიპოვოთ ცოდნა“
ხმაზედ სათქმელი:
(რასტის გუშა, გულ ჰამანუმ ჯამანის ხმა)

Ამოგახსენებთ ყოვლთა, აზიელთ ერთა,
მოყვარეთა თვისთა, ამერთ-იმერთა,
ზოგთა მეცნთა ჩვენთა მხილველთ ივერთა.
ვჰმუნვარებ, ვინადგან საწუთო ერთა,
არა არს დამფარველ არც ბედნიერთა.

განგიცხადოთ ყოველთ ჩემნი თქმანია,
ჩვენ ვჰყვავოდით, ვითა ედემი კმანია,
დაგვნატრიდენ ყოველნი სხვანია.
ვჰმუნვარებ, ვინადგან საწუთო ერთა,
არა არს დამფარველ არც ბედნიერთა.

ვით უძლო ვჰსთქვა ჩემნი აწ შვებანი,
მარად უცხოდ ტაროსის დარებანი,
კარგის ხვედრით ყოველ ჟამ წარმატებანი.
ვჰმუნვარებ, ვინადგან საწუთო ერთა
არა არს დამფარველ არც ბედნიერთა.

მოვაკლდით მას, ვით ვაზთ ნასხლევ ხევანი,
მუნით იწყო სვე-ბედის დარღვევანი.
მისთვის მსურის გლოვით ცრემლთა ფრქვევანი.
ვჰმუნვარებ, ვინადგან საწუთო ერთა,
არა არს დამფარველ არც ბედნიერთა!

თუმც სოფელი ნათობს, არსა დარია,
ჩემთვის ეგრეთც ბნელობს, არ სად არია,
ყოველთ ბედნიერთ შემდგომ ეს უდარია.
ვჰმუნვარებ, ვინადგან საწუთო ერთა
არა არს დამფარველ არც ბედნიერთა.

ვისცა გესმნესთ ესე მოჰხსენებანი,
ეს იკმავეთ, ნუ გაქვსთ დროთ ქენებანი,
გთხოვთ ილმევით, ვით კაცთა თვისებანი.
ვჰმუნვარებ, ვინადგან საწუთო ერთა
არა არს დამფარველ არც ბედნიერთა.

სოფლის ცემით გარეგანით ვარდითა,
დაუდგრომლად ცვლილობს ნურვინ ხადითა,
გვაქვს ნუგეშად მან მხოლოდ ვარდითა.
ვჰმუნვარებ, ვინადგან საწუთო ერთა
არა არს დამფარველ არც ბედნიერთა [1].

---

[1] წ. კ. № 1512. გვ. 863.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამატებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსიკონი

აბბა (45)—მამა.

არდაგი (94)—წელს ქვეით მოსაფარი (საბა ორბ.); მოსასხამი, სამოსელი.

აღვიმსთობ (58); აღიმსთო—ადრე ისწრაფა (საბა); აღმსთობა—ადრე ადგომა, ასწრაფება, ადრე აყენება.

აჯები (32); აჯა—ვედრებასავით (საბა); თხოვნა, ვედრება; ვეაჯები—ვევედრები, ვთხოვ.

განიცდიდ (60); განცდა—დანახვა (საბა); განიცდიდ—ხედავდი.

გარიელი (184)—გარეული, წითელი იხვი; Карагатка, турпан (რაფ. ერისთავი).

გაძაბეს (32); გაძაბვა—მცირედ გაჭიმვა (საბა); გაჭიმვა.

გიძნობენ (53); ძნობი—შეწყობილი ხმა (საბა); ძნობა—შეწყობილი ხმით მღერა, გალობა.

გრაკლის ისარი (184); გრაკი— ბრაწის ხე (საბა).

დაკორდებული (46); კორდი—დაუმუშავებელი მიწა.

დასნტამბოლი (184); „დასტამბო—სპარსულია, ქართულად პუმპულა ჰქვიან“ (საბა); პუმპულა— პაწია ნესვი.

დაყვი (184)—იდაყვი, ნიდაყვი.

დაუყო, დამიყო (135,140); დაყოფა—ხანთ დაზმა (საბა).

დილეგი (239)—საპყრობილე.

დრამა (103)—დრაჰქმა (ფული); „წონითი ერთეულის ტერმინი... ქართული დრამა... ალბათ

გრამს, უდრიდა... ჩვეულებრივ ქართული დრამა, ანუ თეთრი წონით მერმინდელს XVII—XVIII ს. ს. ვერცხლის აბაზიანს უდრიდა“ (ივ. ჯავახიშვილი).

ებანი (45)—დაფი (საბა); აგრეთვე სიმებიანი საკრავი (ჩანგი, ქნარი).

ეჟღვანი (109), ეჟვანი—საჟღერი.

ერთბამად (49)—ერთპირად (საბა).

ერქვანი (60)—გუთანი.

ეტლი (215)—ბედის ვარსკვლავი, ბედი.

ვილაყაბე (133); ლაყაფი—ცუდმოუბარი (საბა); ვილაყაბე—ცუდმოუბრობა გავსწიე, ვილაყბე.

ვება (36)—ვაება.

ზაკვა (154)—„პირით სიყვარულს იჩემებდეს და გულითა ბოროტი დაიმარხოს“ (საბა).

ზილფი (33)—კულული, ლოყათ-მაშვენებელი თმა, კავი, ნაწნავი, დალალი.

ითნო (222); თნევა—სათნო ყოფა (საბა); ეთნების—მოსწონს, ესიამოვნება.

ილის ისარი (186); ჰილი—კაკულა (მც.), Кардамон (რ. ერისთ.)

ილმევით (259); ლმობა—ტკივილი; ელმოდა—სტკიოდა (საბა).

იურვი (136); ურვა—მწუხარება დამამძიმებელი (საბა); იურვი—მწუხარე, გლოვობ.

კადნიერება 64); „ოდეს სხვისათვის იღუწიდეს, იგი კადნიერებად არს“ (საბა).

კილო (134)—„თვალის კუთხე წარზიდული“ (საბა).

კნინი (66)—მცირეთ-უმცირესი (საბა).

კონობით (140)—„ლექსი ვერა ვსთქვა კონობით“,—ძრავლად.

ლაკლაკი (187)—ფრინველი.

ლამებული (36); ლმობა—ტკივილი, ლამებული—ნატკენი.

ლარნაკი (48)—კიდობანი; „ესე არს მსგავსად კიდობნისა შემზადებული ფიცართაგან, ანუ ქვათაგან“ (საბა).

ლაყაფი (101,124,134)—ცუდმოუბარი (საბა); გრძელი, გაჭიანურებული ლაპარაკი (იხ. „ვილაყაბე“).

მართ (168)—„მართ ვერ გაქებს შემხედველი“; მართლა, სწორედ, ჭეშმარიტად.

მარიხი (215)—მარსი, ომის ღმერთი.

მახული (184)- გამახვილებული, მოლესილი, მოპირული, წვერ-წაწვეტილი.

მაღრიბი (216)—დასავლეთი.

მთიები (222)— ცისკრის ვარსკვლავი, აფროდიტა.

მილი (36,95); „მილი ცრემლისა“--ნაკადი, ღვარი.

მირკვირი (187)—მერკური.

მოუგიე, მოგიგიეს (56,64); მოგება—შოვნა.

მოწლედ (48)—„მოწადინითა თვალითა და გულითა მხიარულითა“ (საბა).

მრჩობლად, მრჩობლი სოფელი (170, 64), მრჩობლი—ორი, ორკეცი.

მტილობა (215); მტილი—ბოსტანი (საბა), ბაღი.

მურყანი (187)—თხმელა.

მჭისი (121); „სატანა მჭისი“—უხეში, უშნო, უკმეხი, მოღუშული.

ნარინჯი (109)—ფორთოხალი.

ორნატი (60)—გუთნის მიერ გავლებული კვალი; „სახვნელთა მიერ გაკვალული“ (საბა).

ოტური (187) — შავქლიავი, ღორ-ქლიავი (ხე).

ოფი (187) — გველის-ენა, წყლის მრავალძარღვა (ხე); осокор (რ. ერისთ.).

ოშოში (107) — ჭარაძენძი (მც.).

პატიჟნი (67) — გასაჭირი, ტანჯვა, სასჯელი.

პირმომანგული (236); „მანგი — მარგალიტი, გინა მთოვარე“ (საბა); პირმომანგული-პირმოელვარე, ბრწყინვალე.

რაბამ (217) — როგორ; „როგორსავით“ (საბა).

რაყიფი (257) — მოცილე, მოქიშპე; „ორი ერთის ტრფიალი იყოს“ (საბა).

როჭო (188) — Тетерев (რ. ერისთ.)

რუდუნება (67) — ვარჯა, შრომა, ღვაწლი.

საბავთოს ჭარი (209); ბავთი — ბოროტი მოამბე, „ჰავი, ბოროტის ამბის მომღები (საბა); საბავთო— სამწუხარო, საზარი.

სალმობა (225) — სატკივარი.

სამარხო (55) — დასამარხავი.

სამყოფი (220) — სადგური.

სამჭედური (53) — ანკესი.

სანახები (45) — ახლო-მახლო ადგილი.

საოლავი (33) — ცხენის ქაჩაჩს ზეითი (საბა).

სარო-ოშოში (107) — სამკურნალო ბალახები: სარო — огуречная трава (რ. ერისთავი), ოშოში—ჭარაძენძი.

სასარაკი (189) — ფრინვ. стрепет (რ. ერისთავი).

სახიერება (36), სახიერი — კეთილსანახავი, ლამაზი. სახიერება — სილამაზე.

სახმილი (216), **სახმილავი** (66); სახმილი—მგზებარე, გახურებული ქურა, ღუმელი, ცეცხლი; სევდა; ხმილვა (66) — დარაჯობა, ყარაულობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯები (32)—სასჯელი, წამება.
საწმისი (49)—მატყლი.
საწუთო (258)—წუთის ხნისა, წუთისოფელი.
სერი (63)—სერობა, საღამო ჟამი, ვახშამი.
სვინა (107)—შვილის მომნათლავი (საბა).
სორო (48); „სორო ნაწილთა"—საფლავი.
სური (166)—„შენ ხედავ ჩემსა სურსა"; სური—სასური; სასურველი, მოსურნე; სურება—სურვილი, ნდომა, ტრფიალი, სიყვარული.
ტაკუკი (158)—მომცრო ჭურჭელი საღვინე (საბა).
ტარიგი (126)—დიდი კრავი უბიწო (საბა); მსხვერპლი, ცხვარი.
ტყება (36)—თავს-ცემა (საბა); თავში ცემა, გოდება.
უზანბარი (189)—ვეფხვი, აფთარი.
უტევანი (137)—ასპარეზი, სტადიონი; უტევანი სევდა-დიდი, უსაზღვრო მწუხარება.
უჭრელებია (134); ჭრელი—სხვადასხვა ფერი; უჭრელებია—სხვადასხვა ფერად, არეულად, უხეიროდ უთქვამს, უწერია.
ფადიშა (137)—თურქეთის მეფე.
ფარდი (137)—ტოლი, სწორი, შესაფერი.
ფიცხელი (45)—მაგარი, გამაგრებული.
ფლასი (133)—ბალნის ძაძა (საბა); სამგლოვიარო სამოსი, ძაძა.
ფლობა (154)—შეძლების ქმნა (საბა); თავისუფლება; „მფლობელობა არს თვისისა ნებისა ქმნა" (საბა).
ფონა (142)—კინობითი ფორმაა — ფონი—გასასვლელი თხელი ადგილი მდინარეში; იხ. ფონება.
ფონება (136); ფონე—მოშვებული, მოფონებული (საბა).

ფრანგული (139); „წიგნი გებოძა ფრანგული“—არაბული, მრუდე (?).

ქიქი (133); „სატანას ქიქით ვაღამებ“—წბილი, განქიქება, გინება, ძაგება.

ქოლა (128)—ფრინველის ბარტყი.

ქუფრი (222)—ბნელი, წყვდიადი, შავი, მუქი, მოწყენილი.

ყამბროლის მშვილდი (190); ყამბრო—კნაპი, კირკიტი (ხე).

ყამჩა (33), ყამჩი; „ყანჩი—ქალთა მოსართავი იარაღი, თავზედ შემოსაკრავი, თვლითა და მარგალიტით მოოჭვილი“ (საბა); დედაკაცთა თავსახურავი.

ყარიბი (216)—მწირი, უცხო, უცხოობაში მყოფი.

ყირმიზი (144)—წითელი, სისხლისფერი, წითური, ალისფერი.

ყული (184)—მონა, ყმა.

ჩათლაყუჩის მშვილდი (191); „ჩათლაყუჩი—ბელეკონი, ხერკინა, კალანოხი, ტერევინთო“ (საბა); (Терпентинное дерево (რ. ერისთ.).

წალკოტი (215)—ბაღი.

ძელი (63)—ხე მოკვეთილი (საბა); მოჭრილი ხე.

ძნიად (220)—ძნელად.

წაგრაგნვა (94)—შეხვევა, შესუდრვა.

წინწილი (129)—ტკბილი საკრავი (საბა); „წინწილა—ქნი, რვალის საჩხარუნებელი დიდი“ (საბა).

ხლათი (140)—მახე, ცბიერება, ეშმაკობა, მზაკვრობა.

ხმილევდი (66); ხმილვა—დარაჯობა, ყარაულობა (იხ. სახმილი).

ხურთი (162); „კურთი არს მჯიღი შეკონვილი“... „კურთი არს წკეპლები და ეკალნი შეკონვილი“ (საბა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარეჯან დედოფალი — 245
დაფქვიევი ვარინკო — 74
დელლა ვალე, პიეტრო — 4, 17, 29
დელაპორტი — 4

ე

ეკალაძე ია — 32, 214
ეკატერინე ბატონიშვილი — 201
ეკატერინე, თეკლე ბატონიშვილის რძალი — 252
ელენე, ათაბაგის ქალი — 15, 16
ელენე, მარიამ ბატონიშვილის ასული — 199
ელისაბედ, თარხან-მოურავის ასული — 8
ერეკლე I, ნაზარალიხანი — 18, 39, 41
ერეკლე II (ირაკლი) — 21, 24, 74, 75, 77, 91, 114, 115, 116, 117, 134, 176, 200, 201, 202, 203, 204, 205, 208, 233, 243, 244
ერისთავი ნუგზარ — 31
ერისთავი გიორგი — 252

ვ

ვახტანგ გორგასლანი — 5
ვახტანგ VI — 76, 117, 178, 179
ვახუშტი ბატონიშვილი — 4
ვორონცოვი, მ. ს. — 352

ზ

ზედგინიძეები — 76

თ

თამარაშვილი მიხ., პატრი — 3, 15, 16, 34
თამარ, ასლან ორბელიანის მეუღლე (მე-17 ს.) — 7

თაყაიშვილი ეკვთიმე — 5, 34, 235
თეიმურაზ პირველი — 16, 17, 30, 31, 32, 33, 34, 40, 78, 178, 194, 206
თეიმურაზ მეორე — 78, 176
თეიმურაზ ბატონიშვილი — 24
თეკლე ბატონიშვილი — 24, 199, 201, 243, 244, 245, 246, 247, 251, 252, 253, 254, 255
თინათინ დედოფალი (მე-16 ს.) — 7
თუმანიშვილი მაია — 208

ი

იაზიკოვი, კაპიტანი — 12
იაკობ ხუცესი — 5
იაკობ, გადამწერი — 6
იესე, მეფე — 235
იესე, ქსნის ერისთავი — 43
ივანე მინჩხი — 42
იოანე ბატონიშვილი — 180
იოანე მტბევარი — 42
იოვანე საბანიძე — 42
იოვანე ქონქოზის ძე — 42
იოვანე ზედაზნელი — 42
იოსებ ალავერდელი — 41
იოსელიანი პლატონ — 41, 44, 176, 206, 230, 247
ირაკლი II (იხ. ერეკლე II).
იულონ ბატონიშვილი — 24, 204, 208, 243

კ

კაკაბაძე სარგის — 40, 206, 243
კასტელი ქრისტეფორე — 4, 15, 16

კეკელიძე კორნელი, პროფ. — 32, 33, 34, 209
კერესელიძე ივანე — 208, 213
კნორინგი — 201, 202, 247
კოზმანი, მღვდელმონაზონი — 33
კოტაშვილი, მესტვირე — 30, 74
კოტეტიშვილი ვახტანგ — 20
კურდანაჲ — 42

ლ

ლაზარევი, გენერალი — 247
ლამბერტი არქანჯელო—4, 11
ლევან მეფე — 43
ლევან ბატონიშვილი, თეიმურაზის ძე — 31
ლუარსაბ მეფე — 30

მ

მაია, გარს. ჭავჭავაძის მეუღლე—246
მაკრინე, მარიამყოფილი (იხ. მარიამ-მაკრინე)
მგალობლიშვილი დიმიტრი—43
მალაქია კათალიკოზი, გურიის მთავარი—15
მანა (XII ს) — 6
მანანა—20, 21, 73, 74, 75, 76, 77, 78, 86, 92, 100, 101, 102, 119
მანია, ლიპარტიანი-დადიანის ასული (XVI ს.)—8
მარიამ-მაკრინე—8, 19, 39, 40, 41, 43, 44
მარიამ ბატონიშვილი (ერეკლე II-ის ასული) — 24, 197, 198, 199, 200, 201, 202, 203, 204, 205, 206, 207, 208, 209, 210, 211, 212, 213, 214, 229, 230, 236, 237
მარიამ დედოფალი, ბაგრატ IV-ის ასული (XI ს.) — 6
მარიამ დედოფალი (XVII ს.) — 5, 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზექალი (XVI ს.) — 7
მიქელაძე როდია — 16
მიქელ მოდრეკილი — 42
მუსა, არღუნელი — 198
მუხრან-ბატონი, აშოთან — 31
მუხრან-ბატონი, იოანე — 230
მუხრან-ბატონი, კონსტანტინე — 234

ნ

ნაპოლეონი — 246
ნიკოლოზ ალავერდელი — 19
ნიკოლოზ ტფილელი — 34, 43
ნინო, წმინდა — 5, 96
ნინო, ალექსანდრე ბატონიშვილის დაწინდული — 206, 207, 208, 223

ო

ორბელიანი, ალექსანდრე ვახტანგისძე — 247, 251, 252
„ გრიგოლ — 252
„ დავით (სარდალი) — 230
„ დიმიტრი — 180
„ დიმიტრი ვახტანგისძე — 247
„ ვახტანგ ვახტანგისძე (პოეტი) — 246
„ ვახტანგ (თეკლე ბატონიშვილის მეუღლე) — 247
„ თამაზ — 208, 234
„ მანანა — 252
„ სულხან-საბა — 30, 33
ორსინი გრიგოლ, მისიონერი — 29, 34
ოსეფა, უმიკაანთი — 198

პ

პართენი, პამფილიის მიტროპოლიტი — 41
პეროჟავრი სივნიელი — 5

რ

რეინეგსი იაკობ — 245, 246
რუსთაველი შოთა — 17
რუსსო — 213

ს

სააკაძე გიორგი — 31
„ დიმიტრი — 76
საბა, ნინოწმინდელი — 176
საბინინი მიხეილ — 34
საგდუხტი (ვახტ. გორგასლ. დედა) — 5
საიათნოვა — 200
სალომე — 20, 22, 75, 77, 113, 114, 115, 116, 178
სალომე უჟარმელი — 5
სტეფანე ჭყონდიდელი — 42

ტ

ტარასოვი, სტატსკი სოვეტნიკი — 233

ფ

ფაიანცელი, პავლე-მარია, მისიონერი 3, 4
ფარნაოზ ბატონიშვილი — 234
ფარსადანი (პოეტ სალომეს მამა) — 114

ქ

ქალუა (იოს. გებუთაშვილის მეუღლე) — 204, 205, 230, 232
ქეთევან ბატონიშვილი (XVI ს) — 7

ქეთევან (წამებული) — 16, 17, 18, 29, 30, 31, 32, 33, 34, 178
ქეთევან ბატონიშვილი (ერეკლე II-ის ასული)—24, 33, 199, 229, 230, 232, 233, 234, 235, 236, 237, 254, 255
ქლაუდიო, მისიონერი — 15
ქობულაშვილი ბარბარე — 197, 205, 206, 209
ქობულაშვილი ოთარ — 197

შ

შარდენი — 4
შაჰაბაზი — 17, 30, 31, 32
შუშანიკი — 5

ჩ

ჩოლოყაშვილი ედიშერ — 18, 41
ჩუბინაშვილი დავით — 237, 254

ც

ციციშვილი დავით — 197, 198, 199
" ესტატე დავითისძე — 198, 202, 203, 213
" ნიკოლოზ " — 198
" იოანე " — 198
" დიმიტრი " — 198
" ანასტასია დავითის ასული — 198
" ნატალია " — 198
" დავით ესტატესძე — 213
ციციანოვი პავლე — 202, 203, 233

ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე — 208, 252, 253
" გარსევან — 246

ჭავჭავაძე - გრიბოედოვისა ნინო — 252
ჭილაიშვილი ზაქარია — 43
ჭიჭინაძე ზაქარია — 245, 246

ხ

ხამფერმ ბატონიშვილი (XVII ს.) — 7
Хаханов Ал. — 42, 245, 246
ხელაშვილი ივანე — 10
ხერხეულიძე ომან — 197

ჯ

ჯავახიშვილები — 76
ჯანაშვილი მოსე — 40, 41, 44
ჯარდინა ანტონ, მისიონერი — 15

ჰ

ჰაბო — 42
ჰაფიზი — 32

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

1. მ. თამარაშვილი — „ისტორია კათოლიკობისა საქართველოში“.
2. იაკობ ხუცესი — „შუშანიკის წამება“. გამოც. ს. გორგაძის, ქუთაისი, 1917 წ.
3. „ქართლის ცხოვრება“, მარიამ დედოფლის ვარიანტი. გამოც. ე. თაყაიშვილისა.
4. არქანჯელო ლამბერტი — „სამეგრელოს აღწერა“. ტფ. 1901 წ.
5. პროფ. კ. კეკელიძე — „ქართ. ფეოდალ. ლიტერატ. პერიოდიზაცია“. 1933 წ. ტფ.
6. მისივე — „ქართ. ლიტერატურის ისტორია“ ტ I და II.
7. ვ. კოტეტიშვილი — „ხალხური პოეზია“ — სახელგამი, 1934 წ.
8. ანთოლოგია ქართული ლიტერატურისა, ტ II.
9. დიმ. ბაგრატიონი — „ქეთევანის წამება“. პეტერბურგი, 1822 წ.
10. მ. საბინინი — „საქართველოს სამოთხე“.
11. ანტონ კათალიკოზი — „წყობილსიტყვაობა“, ტფ. 1853 წ. პ. იოსელიანის რედაქციით.
12. ზ. ჩხიკვაძე — „ალავერდის ტაძარი და წმ. მოწამე ქეთევან დედოფალი“ („ივერია“ 1893 წ. № 51,
13. დიმ. ჯანაშვილი — „ისტორიული სურათები“ („ივერია“, 1882 წ. № 10).
14. თეიმურაზ ბატონიშვილი — „მოწმობა ქეთევან დედოფლისა“ („ცისკარი“. 1857 წ. № 12).

15. დ. კარიჭაშვილი—ბიბლიოგრაფია—„წმ. დიდი მოწამე დედოფალი ქეთევანი“—„მწყემსის“ გამოცემა. („მოამბე“, 1895 წ. № 1)

16. ილ. ფერაძე — „დიდი მოწ. ქეთევან, კახეთის დედოფალი“ („ცნობის ფურცელი“ №№ 698-703, 1898 წ.).

17. დ. კარიჭაშვილი —„ქეთევან დედოფალი“ (საქართველოს კალენდარი, 1893 წ. გვ. 410-418)

18. სარგ. კაკაბაძე — „ისტორიული საბუთები“. წ. წ. I და V (1913).

19. მ. ჯანაშვილი — „მაკრინე ბატონიშვილი“ („სახალხო გაზეთი“ № 868,1913 წ.).

20. მ. ჯანაშვილი —„მგოსანი მეფე დავითი და მისი დაი მაკრინე“ (გაზ. „საქართველო“ № 94-95, 1919 წ.).

21. პ. ინგოროყვა — „ძველი ქართული სასულიერო პოეზია“ წ. I. ტფ. 1913 წ.

22- „აკაკის კრებული“ № 12, 1898 წ. (ს. მერკვილაძის მიერ ჩაწერილი „ციების ლექსი“).

23. გაზ. „ბახტრიონი“ № 14, 1922 წ. (შ. აფხაიძის წერილი — „პოეტი ქალები“).

24. ქრ. რაჭველიშვილი—„საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია“, სახელგ. 1927 წ.

25. „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“ („ძველი საქართველო“ ტ. 2).

26. თეიმურაზ პირველი — „ლექსები“, გამოც. ზ. ჭიჭინაძისა. ტფ. 1886. (იხ. აგრეთვე „თხზ. სრული კრებ“. 1934 წ. „ფედერაცია“).

27. ბესიკი — „თხზ. სრული კრებული“. „ფედერაცია“ 1932 წ.

28. ს. კაკაბაძე—„წვრილი შენიშვნები და მასალები“ („საისტორიო კრებული წ. IV. ტფ. 1929 წ.)
29. „საქართველოს სიძველენი“, ტ. III.
30. პლ. იოსელიანი—„ცხოვრება მეფე გიორგი XIII-ისა“ ტფ. 1895 წ.
31. დ. ჩუბინაშვილი—„ქართული ქრისტომატია“ II.
32. ს. კაკაბაძე—„წერილები და მასალები საქ. ისტორ.“ წ. I. ტფ. 1914 წ.
33. ზ. ჭ.—„ვახტანგ ორბელიანი“. ტფ. 1892 წ.
34. თეკლე ბატონიშვილი—„წიგნი, სამძიმრისა პასუხად, მეფის ირაკლის გარდაცვალებაზედ“. („ცისკარი“, 1860 წ. XI).
35. ალექსანდრე ორბელიანი—„მოგონება ალექს. ორბელიანისა თავის მამის ვახტანგ ორბელიანის შესახებ“. გამოც. ს. კაკაბაძისა, 1914 წ.
36. დიმიტრი ყიფიანი—„მემუარები“-ს. ხუნდაძის რედაქციით,
37. „მეფის ირაკლის ასულის თეკლეს გარდაცვალება და მისი დასაფლავება“ („ცისკარი“, 1869 წ. № 9, 10).
38. დ. ბ. (დიმ. ბაქრაძე)—„ქართველი ქალები“ ისტორიული მიმოხილვა („ცისკარი“, 1860 წ. № 4).
39. Е. Такайшвили—„Опис. рукоп. Об-ва распр. гр. ср. груз. нас.“ т. I и II.
40. Ф. Жордания—„Опис. рукоп. тифл. церк. музея“, кн. I и II.
41. М. Г. Джанашвили—„Опис. рук. тифл. церк. музея“ кн. III.
42. Пл. Иоселиани—„Путевые записки от Тифлиса до Мцхеты“.

43. М. Джанашвили—„Алавердский Собор“(„Вестник Груз. Экзархата“, 1914 г. № 23).
44. Д. П. Пурцеладзе— „Грузинские церковные гуджары“. Тифл. 1881 г.
45. А. Хаханов—„Очерки по ист. груз. словесности“. Вып. III.
46. „Кавказский Календарь“ 1848 г.
47. Акты Кавк. Археограф. Комиссии, т. I и II.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათების სია

1. **ფომინისია ბერიძე**—ნახატი ქრისტეფორე კასტელისა (XVII ს.). ორგინალი ინახება იტალიაში, პალერმოს კომუნალურ მუზეუმში, ფოტო-პირი—საქართველოს მუზეუმში.
2. **როდია მიქელაძე**—ნახტი ქრისტეფორე კასტელისა. ესეც პალერმოშია დაცული. პირი—საქ. მუზეუმში.
3. **ალავერდობა**—ნახატი გაგარინისა (ფოტო-პირი საქართვ. მუზეუმში).
4. **გართობა ქალაქ გარეთ**—ნახატი მისივე (იქვე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეკანი, ყდა, ტიტული და თავბოლოხატულობა
პროფ. ლ. გუდიაშვილის

ტექრედაქტორი და პ/მგ. კორექტორი
ნინო ჯუმბაურიძე

ტირაჟი 2200. მთავლიტი № ა—7029.
ნაბეჭდი ფურც. 18. შეკვეთა № 126

ცეკავშირის სტამბა. პუშკინის ქუჩა № 3, ტელ. 3-54-89

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა